

# ლიტერატურული გაზეთი

№13 (317) 8 - 21 ივლისი 2022

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

## ლია სტურუა ტყუილი

ღმერთო, გააჩერე ეს ქარი!  
წაავლე თმაში ხელი და გააჩერე!  
თმა ლურჯი აქვს, სრიალა,  
შეიძლება, გაგისხლტეს,  
მეც გარეთ გამომაგდოს, სახლში ჯდომისგან,  
დაპრესილი გვერდების, დაბუყებული ხელ-ფეხის  
მიუხედავად, ეკონომიური ნათურა  
ჩამიქროს თავში, მზე იმდენია!  
რუსთაველზე, ისევ, ნაცნობები დადიან,  
სამხატვრო სალონთან შენ დგახარ...  
მელოდები? ჯერ კიდევ არ მიცნობ?  
რა მნიშვნელობა აქვს?  
ქარში მთელი ქვეყანა ტყუილს გავს,  
ქალები ტანსაცმლის ფურცლებიდან  
ვარდისფრად იხედებიან...  
ვის რად უნდა ეს აკვარელი?  
კაცებს ტემპერამენტები გამოურთეს  
სექსი ტელევიზორში ერთი-ორ არხზე!  
დანარჩენზე — ომი...  
გახსოვს, სისხლი ზეთის ფერებით იხატებოდა,  
მსხვილი მონასმებით?  
პასუხი არ ჩანს, მაგრამ გაზაფხული მოდის,  
თავისი უყოყმანო ვარდისფერით,  
მოკლე, ისიც მატყუარა, ჩემსავით?  
რუსთაველზე, ისევ, ნაცნობები დადიან...

IV



## ბექა ახალაია კეთილი მოხუცი

ის არის ჩუმი, მარტოხელა, კეთილი მოხუცი,  
დაბადებიდან ცხოვრობს  
ქალაქის ძველისძველ უბანში,  
ეზოდან მისი პატარა ბინა პირველი სართულია,  
ქუჩის მხრიდან კი,  
ქუჩის მხრიდან — ნახევრად სარდაფი.  
მას ჰყავს კატები,  
ბევრი კატა, ქვეყანას ურჩევნია,  
თავის მწირ ლუკმას იყოფს მათთან,  
არი ბედნიერი.  
სეზონებს შორის განსაკუთრებით  
მას უყვარს გაზაფხული,  
როცა ჭერს ქვემოთ დატანებულ  
ფანჯარას გამოაღებს  
და შემოდის აყვავებული ნუშის სურნელი...  
შენ ხარ შუახნის, ჩუმი ხარ,  
მაგრამ არა ხარ მარტოხელა,  
ერთი შობი გაქვს —  
საათობით ქალაქში ხეტილი,  
გარეუბნიდან გამოყვები მეტროს ან ავტობუსს  
და ძველ უბნებში, ტურისტებით,  
დადიხარ, დადიხარ.

ათვალერებ შესასვლელებს,  
ჩუქურთმებს, მასკერონებს,  
ბათქაშდაყრილი შენობები, ლამაზი აივნებით,  
ახალ უბნებში წამოჭიმულ ცათამბჯენებს  
ათასჯერ გირჩევნია.

აი, ეს ვინრო, მოკლე ქუჩა ისეთია,  
არ გინდა, დასრულდეს,  
აყვავებული ნუშის ხეებით —  
ნამდვილი ზღაპარია,  
რტოს ჩამოტეხ და ეფერები,  
თან, ყნოსავ გზადაგზა,  
ნელა მიდიხარ. როცა ჩაუვლი კეთილი მოხუცის  
ლია ფანჯარას — აცემინებ, რა იცის მოხუცმა,  
ვინ ხარ, უბრალოდ გაიგო და,  
თავისთვის, ხმადაბლა,  
გისურვა დიდხანს სიცოცხლე და  
გისურვა ჯანმრთელობა.

ქუჩის კუთხეში ავარიული,  
წახრილი შენობა დგას,  
ცარიელია, შებჯენილი აქვს ლითონის კოჭები,  
შენ გადაუხვევ —  
დაგეზარება შორიდან შემოვლა, —  
არც აციებ და არც აცხელებ,  
გაძვრები კოჭების ქვეშ...

ბზარიდან უცებ ჩამოვარდნილი აგურის ნატეხი  
სულ რაღაც ერთი მტკავლით აგცდება...  
იმას, რომ გადარჩი,  
შენ, რა თქმა უნდა, შემთხვევითობას დააბრალე.

V



## აკა მორჩილაძე ახალი დროება რობინზონ ჯაშისა ფრაგმენტი მომავალი წიგნიდან

ის ღამე გადამწყვეტი გამოდგა პიტსანგერის  
მცხოვრების, ორმოცდაათი წლის პიტერ ჯეფერ-  
სისათვის, რომელიც ღამის სიჩუმით და ნაჩვევი  
თამბაქოს კვამლით ტკბებოდა თავის პარმაღზე,  
სარწველა სავარძელში ზუსტად ისე გადაქანებუ-  
ლი, როგორც ფილმებში ისვენებენ ხოლმე მობერე-  
ბული კოვბოები, რომელთა მზერაც გასჩვევია უკ-  
იდევანო ტრამალის კიდურზე ჩამავალი მზის სუ-  
რათის ცქერას. ეგ ღამით კი არ ჩანს, მაგრამ მობე-  
რებული კოვბოები ხომ ღამითაც ისე ხედავენ, რო-  
გორც დღისით, რითაც გრაფ მონტე-კრისტოს ჰგვა-  
ნან.

სიმართლე რომ ითქვას, ეს ამბავი ასე არ დაწყე-  
ბულა, მისი პირველი ათიოდე სიტყვა სიუჟეტებისა  
და დასაწყისების გამომშუშავებელმა საიტმა გამო-  
სტყორცნა მას შემდეგ, რაც საჭირო გრაფებში სა-  
ჭირო სახელები, გვარი და ორიოდ ლანდშაფტური  
სურვილი ჩავენერე. მისგან შემოთავაზებული და-  
საწყისი ოდნავ შევასწორე, რადგან საიტმა ვერ შე-  
ძლო, რომ მითითებული ორსიტყვეული night vision  
კოვბოს და მონტე-კრისტოს კავშირად ექცია.

ამ საიტმა გულკეთილად შექმნა მკითხველის  
შემთრევი დასაწყისი, თუმცა არც მაინცდამაინც  
ისეთი, რომ — უიმე, დედა — ახლა ამ წიგნს ხელ-  
იდან ვეღარ გავაგდებო.

ხომ ცნობილია, რომ პირველი წინადადება გან-  
საკუთრებული მნიშვნელობისაა სქელი წიგნისთ-  
ვის, რომანს რომ ეძახიან. ყოველ შემთხვევაში, ნას-  
წავლი ხალხი და თვით დიადი გაბრიელ გარსია მა-  
რკესი ასე ურჩევენ ხოლმე დამწყებ მოკალმეებს,  
დაჰკარ პირველი წინადადებით და თავბრუ დაახვე-  
იყო და მწერლები ჯერ კიდევ იმ საუკუნეებში აქსო-  
ვდნენ ამ პირველ წინადადებაში განსაკუთრებულ-  
ობას, როცა მკითხველები ამას საერთოდ არ აფას-  
ებდნენ და არც წიგნის ყიდვა იყო აუცილებელი რამ  
მის წასაკითხად.

მერეღამერე კი, საუკუნოდ თქმულია, რომ სწო-  
რედ ამ პირველმა წინადადებას უნდა გამოსდოს  
კაუჭი მკითხველს და ამ კაუჭს მოდევნებულმა სა-  
უკეთესო ამბებმა წიგნი ხელიდან ვეღარ უნდა გა-  
აგდებინოსო. თუმცა, ესეც უნდა აღინიშნოს, რომ  
იმ ტკბილხმოვან საიტს პირველი წინადადება მთლ-  
ად განსაკუთრებული ვერ გამოუვიდა. ამაზე დარ-  
დის უადგილობა ნამდვილად არ არის განსამარტი.

თანაც, კიდევ ერთხელ რომ ითქვას სიმართლე,  
ამბავი სულ სხვანაირად იწყება, თუმცა, პიტერ ჯე-  
ფერის მაინც როგორღაც გარეულია მასში და თუ-  
კი პრერიას გაჩვეული თვალი არ გააჩნდა, სხვა რამ  
ჩასაკვირველები მაინც მოეძებნებოდა. დიდი თავ-  
გადასავლები კი არ გადახდენოდა ამ პიტერ ჯე-  
ფერს, მაგრამ ხომ ცნობილია, რომ უბრალო კლ-  
ერკის ცხოვრებას კი იმგვარად საინტერესო შეიძ-  
ლება გამოდგეს, რომ სრულიად დაჩრდილოს ალან  
ქვოთერმეინის დღეები და ღამეები, რასაც გვიდას-  
ტურებს კიდევ ცხონებული ფერნანდო პესოსა ში-  
ნაგანნი ღვანლნი და ვნებანი, გადმოღვრილნი დღ-  
იურთა ფურცლებზე, რომ აღარაფერი ვთქვათ სა-  
ბრალო კასპარ შაუზერის შესახებ.

VI-VII



თეიმურაზ დოიაშვილი

ამ ჩანაწერებში არაფერია ღირსშესანიშნავი — აქ არც მისი პოეზიის ანალიზია, არც თარგმანების განხილვა, ან ესეებში შეფარული ორიგინალური იდეების შეფასება.

თუ ამ ფრაგმენტებს არსებობის უფლება აქვს, მხოლოდ იმიტომ, რომ ღირსსახსოვარ პიროვნებას — დავით ნერედიანს — უკავშირდება, მისი ადამიანური ბუნების ფერვალებს აირეკლავს ყოველდღიური ყოფის მდინარეებში...



ფერვალები

\*\*\*

1970 წელია. შემოდგომა. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტი ვარ, პირველკურსელი. ინსტიტუტში თითქმის არავის ვიცნობ, თუმცა დერეფანში გავლისას ყველას თავაზიანად ვესალმები. ერთ უცნაურობას მივაქციე ყურადღება: ახალგაზრდა კაცი, ჩემზე ათიოდე წლით უფროსი, თავს რომ დამიკრავს და ორიოდე წაბიჯს გადადგამს, ჩერდება, შემობრუნდება და ჩემკენ დაჟინებით იმზირება. ეს სცენა რამდენჯერმე რომ გამეორდა, ერთხელ მეც გავუჩერდი. ორიოდე წამი მიყურა და უსიტყვოდ გამშორდა.

უცნობის ვინაობით დავინტერესდი. მითხრეს, დავით ნერედიანია, ფოლკლორის განყოფილების თანამშრომელი, მთარგმნელი, მაგრამ გადმოიღო სვანური ხალხური პოეზია.

ბედმა ძალიან მალე შეგვახვედრა... აგ-იტპუნქტში, რომელიც არჩევნების გამო დროებით ჩვენს შენობაში იყო გახსნილი. აღმოჩნდა, რომ მთელი დღე ერთად უნდა გვემორიგევა.

ის მაგიდის თავში დაჯდა, კარგა ხანს გაზეთებს ჩაულრმავდა, მეც მდუმარედ ამასვე ვაკეთებ. როდის-როდის გაზეთებს შეეშვა, შემომხედა და რაღაც მითხრა. მშვიდ, უძრავ სახეზე რატომღაც ირონიული ღიმილი ჰქონდა. ბევრ რამეზე ვისაუბრეთ, სერიოზულზეც და არასერიოზულზეც. მე-ლაპარაკება, თან სახეზე ეს ირონია არ შორდება. შევატყვე, რაღაც ინფორმაცია ჰქონდა ჩემ შესახებ და მამონებდა, გამოცდას მიტარებდა.

რაღა გავაგრძელო, საკმაოდ ხანგრძლივი ურთიერთდაზვერვის შემდეგ ყველაფერი კეთილად დამთავრდა. დათო წამოდგა, თითქოს ახალა დამინახაო, ხელი გამომიწოდა:

— დავით ნერედიანი!

მეც ჩემი ვინაობა დავუახელებე.

სალამოს, ინსტიტუტის შენობიდან რომ გამოვედით, უკვე ძველი ნაცნობივით ვიყავით. კარგი ამინდი იდგა. ცოტა ფეხით გავიარეთ. ვერის ბალთან დამემშვიდობა. ალბათ, მომეჩვენა: თვალეში ის ეჭვნარევი ირონიული მზერა, მგონი, აღარ ჰქონდა.

\*\*\*

ფრანსუა ვიიონის „მცირე ანდერძი“ რომ გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“, დათოსთან ერთბაშად მოვიდა პოპულარობა და ლიტერატურული დიდება. თბილისი ვიიონის სტრიქონებს ისროდა. მეც იმდენჯერ წავიკითხე ეს ვერსიფიკაციული ჯადოქრობით და ბუნებრივობით გამორჩეული თარგმანი, რომ სტრიქონები კი არა, სტროფები ვიცოდი ზეპირად.

ერთ დღით ინსტიტუტში მიმავალს მეზობელი „ძველი ბიჭი“ — ქოდონა — დამემგზავრა. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, მანქანაში ამანაც ვიიონის მთელი სტროფი რომ მითხრა ზეპირად. როცა გაიგო, მთარგმნელს კარგად ვიცნობდი, ღიროების გრძნობით დამაბარა: ჩვენს ძმას ჩვენგან მოკითხვა და მადლობა გადაეცო.

ცხადია, ეს ამბავი დათოს მოუყევი. გაცივინა: გულს გული იცნობსო...

არადა, სახუმარო არაფერი იყო, ნამდვილი სასწაული ხდებოდა: დავით ნერედიანის თარგმნილი „მცირე ანდერძი“ ჩვენ თვალწინ სახალხო წიგნად იქცა.

\*\*\*

კაფე „მეტროში“ დათო და მე ყავას ვსვამთ და ვსაუბრობთ. რაზეც არ უნდა დავიწყოთ ლაპარაკი, ბოლოს მაინც ლექსს, პოეზიას უნდა მივადგეთ. დათოს გრძელი მსჯელობა-თეორეტიზება არ უყვარს, უბრალოდ მეუბნება: ლირიკული ლექსი ყურია, სმენა: ბგერები, რიტმი, მელოდიკა, ინტონაცია... სემანტიკა მხოლოდ ბლონდია, თან მოჰყვება ყველაფერ ამას. აბა, მომისმინე... და ჩემთვის უცნობ ენაზე კითხვას იწყებს.

სმენა დავძაბე, თითქოს რაღაც ნაცნობიც დავიჭირე... სანამ დათომ მოკლე ტექსტი ჩაათავა, უკვე ვიცოდი, ვის ლექსსაც მიკითხავდა.

— მაჩადო, — ვთქვი მე.

— ჰო, მაჩადო, მაგრამ... შენ... როგორ, საიდან?!

— ლექსი ყურია, ძმაო, რიტმი, ბგერა, მელოდიკა! — ღიმილით ვეუბნები.

არ გამოვუტყდი, საიდუმლოდ დავიჭოვე, რომ ჩემი ერთი ახლობელი, ანტონიო მაჩადოს „ფანი“ ყოველი შეხვედრისას დედნის ენაზე მიკითხავდა „მოდამი შემოსული“ დიდი ესპანელი პოეტის ამ შედეგს.

თუ მეხსიერება არ მღალატობს, ერთ კაბალეიროზე დანერვილი ეს ლექსი დათომ მალე ქართულადაც წამიკითხა. ძალიან კარგი იყო! არ ვიცი, დაბეჭდა თუ დღემდე მის არქივში დევს.

\*\*\*

სამსახურიდან გასვლას ვაპირებდი. კართან გურამ ბარნოვი შემხვდა — საყვარელი კაცი, გემოვნებიანი ლიტერატორი, დათოს ახლობელი და ჩემთვისაც არაშორებელი.

— თუ გცალია, გამომყევი, არ ინანებო, — ჩამილაპარაკა.

უსიტყვოდ გავყევი. იქვე, ჩასახვევში, მის ყვითელ „ფიგულიში“ ჩავსხედით. რუსთაველზე გავედით. არაფერს მეუბნება, არც მე ვეკითხები. ცხელა.

მანქანამ მთავარი გზიდან გადაუხვია, გაუხვ-გამოუხვია და ერთ მყუდრო შუკაში, ხესთან, დაჩრდილულ ადგილას შედგა. გურამმა კარი გახსნა, არ გადასულა, მხოლოდ შემობრუნდა და უკანა საჯარძლიდან რაღაც აიღო. თვალი შევასწარი — ამონაბეჭდები იყო.

— ყურადღებით მომისმინე! — მითხრა და კითხვა დაიწყო.

რაღაც იდუმალი, თანაც მოზეიმე კილო ჰქონდა. ერთი-მეორეზე უკეთეს ლექსებს ვისმენდი. ვისია?! ვერავის მივამგვანე: თან რაღაც ახლობელია, თითქოს სადაც, მაგრამ მოკიაფე, ფერადი, გამოკვეთილად ქართული ჟღერადობისა.

— ვისია? — თვალეში ვეკითხები.

— დათოსია, ნერედიანის! — ხმამი სიამაყე აქვს, — როგორია?!

— უ-მაგ-რე-სი! — რატომღაც ჩემდა უნებურად დავმარცვლე სიტყვა.

პირველად გურამისაგან გავიგე, რომ დათო ორიგინალურ ლექსებსაც წერდა — პოეტი იყო, თან რა დონის პოეტი!

იმ დღის სახსოვრად ორი სტრიქონი გამომყვა სამუდამოდ — სევდაში გავლებული და საყვარლად ლამაზი:

არც იცი, თეთრო ყვავილო, როგორ უხდები სიკვდილს...

როცა დათოს გარდაცვალების შესახებ შევიტყვე, ვიგრძენი, რომ გულისტკივილთან ერთად მისგან ეს სახსოვარიც დამრჩა — მისი ნაფერები, ლექსში გაუკვდავებული უჭკნობი მშვენიერება — თეთრი ყვავილი.

\*\*\*

80-იანი წლების დასაწყისში „ცისკრის“ ფურცლებზე ცხარე პოლემიკა გაიშალა ახალგაზრდული პოეზიის პრობლემებზე. დისკუსიის მეთაური წერილი მე დავწერე, ამიტომ უხვად წამოვიდა ჩემკენ განაწყენებულ ავტორთა ისრები. ამას რატომღაც რედაქციის თანამშრომლებიც შეუერთდნენ, თითქოს წერილი მათი დაჟინებული თხოვნით არ მქონოდა დაწერილი. ტალახი არც მათ დამაკლეს. ბოლოს ისე გავულისდნენ, რომ წინასწარ დაგემილი შემაჯამებელი სტატიაც არ დამიბეჭდეს. ერთი სიტყვით, ჩემმა დონკიხოტურმა სურვილმა, მოყვარე პირში მეძრახა, მწარე ნაყოფი გამოიღო.

სწორედ ის დროა, მაინცდამაინც კარგ გუნებაზე რომ ვერა ვარ. ლიტერატურის ინსტიტუტის პირველ სართულზე, სხდომათა დარბაზის წინ ვდგავარ, ვილაცას ველოდები. მოპირდაპირე კარიდან, ფოლკლორის განყოფილების მხრიდან დათო ნერედიანი გამოჩნდა. დამინახა, კართან შედგა. არ მომსალმებია, დგას და ჩუმად მიყურებს. მერე თავი ჩაღუნა, არ ვიცი, თავისთვის ჩაილაპარაკა თუ მე დამიგდო:

— გაგსვრიან, საქმეს მიხედე!.. — თქვა და ნელი ნაბიჯით აუყვავ კიბეს.

ამ სასხვათაშორისო ფრაზამ ძალიან შემაფიქრინა — კრიტიკული პათოსი თანდათან მივანელებ და, შეძლებისდაგვარად, „საქმეს მიხედე“. ამ მხრივ თუ რამე გამომივიდა, დათოს რეპლიკასაც ვუმადლი — „კარგის მთქმელის“ დროულად ნათქვამ გაფრთხილებას.

\*\*\*

ეს უფრო გვიანდელი ამბავია. ოთახში ორნი ვართ. ისე ცხელა, ლაპარაკიც გვეზარება. დათოს წინ, მაგიდაზე, გაზეთი დევს. ზანტად აიღო, თვალეტან ახლოს მიიტანა და გრძელი, გაურანდავი ფრაზა ხმამაღლა წამიკითხა. ირობად გამომხედა, ფურცელი ხელიდან გააგდო და თქვა: „ვერ ისწავლა მესხიმ წერა“!

მისი ადრესატი საკმაოდ ცნობილი კრიტიკოსი, ჩვენი ახლობელი აღმოჩნდა. დათო გამომცდელად მომჩერებია, თითქოს ჩემს რეაქციას ელოდებოდა. მე რატომღაც თავდაცვაზე გადავედი, ვეუბნები: შინაარსობრივ მხარეს იმდენად დიდი ენერჯია მი-აქვს, სტილის მოხდენილობისა და სრულყოფისათვის გულის ძალა არ გვეყოფნის-მეთქი.

მიხვდა, გულწრფელად რომ ვუპასუხე, ჩაფიქრდა და მეუბნება:

— რატომ?! ქარონის ნაზე რომ გაქვს, სულაც არ არის ურიგო...

მივხვდი, ჩემი ახლადგამოქვეყნებული წერილი — „თავისუფალი სივრცე“ წაეკითხა და, თქვენ წარმოიდგინეთ, რაღაც მოსწონებოდა კიდევ. სახელდობრ ის, თუ როგორ მოეშურება სტიქსის გაღმა ნაპირიდან ქარონის ნავი, ბნელი ჰადესის წარმოსახვით შეძრწუნებული, მომლოდინე სული კი თრთის და ცახცახებს.

ვიცოდი, უკანასკნელთა შორის არ ვეგულებოდი, მაგრამ ურთიერთობის მრავალი წლის მანძილზე ეს იყო, ალბათ, ერთადერთი სიტყვიერი მინიშნება, რომ აინტერესებდა, რას და როგორ ვაკეთებდი.

\*\*\*

„გალაკტიონოლოგიის“ გამოცემა რომ გადაწყდა, პერიოდული სამეცნიერო-ლიტერატურული კრებულისა, ცხადია, დავით ნერედიანსაც მივმართე, რამე დაენერა ჩვენთვის. ყურადღებით მომისმინა, თუმცა ისე დავშორდით, არაფერი დამიპირებია. გადის დრო, წერილი არა ჩანს. ერთი-ორჯერ ფრთხილად შევახსენე და... იმედიც გადავიწურე.

კრებული გამოადებული გვექონდა, ლევან ბრეგაძე რომ მოვიდა გახარებული და მაუწყა, დათომ წერილი მოიტანაო. ცოტა დაძაბული კი არის, იცის, წიგნი რომ შეკრულია და ელის, რას ვიტყვი. არც დავფიქრებულვარ, ისე ვუთხარი, რაღაცას ვილონებ-მეთქი. მასალა წავიკითხე და მაშინვე დავაკაბადონებო. ანაბეჭდები მაინც გაუგზავნეთ დათოს თვალის გადასავლენად, თორემ რა თვალის გადავლება უნდოდა, სანიშნო წერილია.

სახვალიოდ ყველაფერი მზად იყო კრებულის სტამბაში გასაგზავნად.

დილით ისევ მოდის ლევანი — დათოსაც მოვკარი თვალი დერეფნის თავში — მეუბნება, დათომ წერილში შესწორებები შეიტანაო.

— შესწორებებიო... — საცაა უნდა ვიფეთქო, ვბუზღუნებ, — ამ წერილში ნეტა რაღა ნახა ჩასასწორებელი?!

სიტყვა დამთავრებული არ მქონდა, რომ ყურში ლევანის მავედრებელი, მაგრამ დაჟინებული ხმა ჩამესმის:

— თემურ, გავუკეთოთ, ხომ იცი, დათოა, ბიჭო!..

იმის დრო არ იყო, იქვე მენახა, რა ამისთანა შესწორებები შეიტანა ავტორმა, ჩემი აზრით, ამ უნაკლო წერილში, სახლში დაბრუნებულმა კი ჩახედე ფურცლებს და სახტად დავრჩი — თურმე სრულყოფილებასაც არ ჰქონია საზღვარი!

ამის შესახებ საჯაროდ მოვეყვი მკაცრ ჯოხადის პოპულარულ სატელევიზიო გა-

დაცემაში, როცა მაკამ მკითხა, რა შინაარსი ჰქონდა ჩემთვის პროფესიონალიზმის ცნებას. მე ხომ უკვე ნათელი, ცოცხალი მაგალითი მქონდა იმისა, რას ნიშნავს იყო პროფესიონალი და უფრო მეტი.

რაც ზემოთ გიამბოვებ, დავით წერედიანის პირველ გალაკტიონოლოგიურ ესეის ეხება — „მუსიკა უპირველეს ყოვლისა“. შემდეგში მან, როგორც „გალაკტიონის კვლევის ცენტრის“ თანამშრომელმა, კიდევ ორი მშვენიერი ესეი დაგვიწერა: „განმორების მეცნიერება“ და „ედგარი მესამე“.

\*\*\*

იმერეთში, სოფელ ფარცხნალში, ვართ მიწვეულნი. აქ გალაკტიონ ტაბიძე სიჭაბუკისას მცირე ხნით მასწავლებლობდა. ხარაძეების უბანში, კერძო სახლის ერთ ოთახში, რომელშიც პოეტი ქირით ცხოვრობდა, დღეს მემორიალი იხსნება.

თავდაპირველად მასწავლებლობა სოფლის ეკლესიის სანახავად წავიყვანეს. ეკლესიის ეზოში გალაკტიონის მიერ დარგული ცაცხვის ხეა, დიდი და მალალი, მწვანით შემოსილი. ჰოდა, დათოსთან ერთად ამ ცაცხვის ჩრდილში ვდგავარ, მშვიდად ველოდებით დანიშნულებს ადგილზე წასვლას. დათო ცას გასცქერის, რაღაცას აკვირდება, მერე მეუბნება:

— ერთ ამბავს გეტყვი გალაკტიონზე... გაფაფაცივდი, რადგან ადრე რამდენჯერმე ვთხოვე, თუ რამე გახსოვს პოეტზე, დაგვინერვი-მეთქი. უარს მეუბნებოდა — არაფერი ისეთი, ახლა კი თვითონვე მთავაზობდა...

და დათომ, როგორც სჩვეოდა, აუჩქარებლად, ემოციისა და მღელვარების გარეშე მიაბზო, როგორ მოუსმინა პიონერთა სასახლის სცენაზე 12-13 წლის ბიჭს კულინებში მყოფმა გალაკტიონმა. მოუსმინა კი არა, რამდენჯერმე ითხოვა, კიდევ და კიდევ წააკითხეთო...

გაოგნებული ვუსმენდი, მერე საყვედურით ვუთხარი, ამას რატომ არ მიმხელდი, ამით ხომ... ამით ნებისმიერი იამაყებდა-მეთქი.

ხელები გაასავსავა, არა, არაო... შენ მოგიყვივო.

მამინ ეს არგახმაურება მის უცნაურ ხასიათს მივანერე, დათო კი, თურმე, უფრო შორს იყურებოდა...

ეს ეპიზოდი დღეს ყველასათვის ცნობილია: დათო მოშურნეებმა აიძულეს, დიახ — აიძულეს, დაენერა ამის შესახებ, რადგან სინამდვილე ურცხვად გააყალბეს და დავით წერედიანი ლამის დიდი პოეტის მოძულედ და უარყოფლად დასახეს.

მე კი ცხადად მახსოვს ცაცხვის ჩრდილში მის მიერ უბრალოდ მონათხრობი ამბავი, ყოველგვარი თავმომწონეობის გარეშე — როგორც ერთი ეპიზოდი გალაკტიონის ცხოვრებისა.

\*\*\*

ერთი თავშესაქცევი დიალოგიც მახსენდება — ეს უკვე ფარცხნალიდან თბილისისკენ რომ გამოვეშურეთ. ღამეა, კარგა შეღვინებულები მიკროავტობუსში გვერდიგვერდ ვსხედვართ. დათო თვლემს, მე კი ჩემგანვე მორგებულ მოტივზე ვლიდინებ: „სადაც უნდა მივდიოდე უცხო ქვეყნად მარები“. ბოლოსკენ, ამ სტრიქონს რომ მივადექი — „ო, ძვირფასო, ჯვარზე მაგეს“ — მეთქი, დათო მოულოდნელად გამოერკვა, მეკითხება:

— როგორ? როგორ? გაიმეორე...

მენელა ჩამოვმარცვლე: „ო, ძვირფასო, ჯვარზე მაგეს“...

— კიდევ კარგი, სხვებით „ჯვარზე მაგეს“ რომ არა თქვი, თორემ შენი ევფონისტობა და გალაკტიონოლოგობა აქ დამთავრდებოდაო.

— ჰო, დათო, მახსოვს, „მაგეს“ და „ბაგეს“ რომაა გართმული, — ვეუბნები.

მოკლედ, ამჯერად გადავჩი, „ჩამოლაბორანტებას“.

\*\*\*

გალაკტიონზე ბევრჯერ გვიბაასია, ოღონდ გაბზულად და ჩაიძვებით — თითქმის არასდროს. დათო იმპულსურად რაიმე დეტალს გაიხსენებდა, კმაყოფილება, აღტაცება გაკრთებოდა მის თვალეში, მაგრამ ამის საპირისპიროც ხდებოდა: რომელიმე სტრიქონს თუ სახეს ირონიას გამოაყოლებდა.

დასაწყისში, მგონი, გალაკტიონის უპირობო მეხოტბედ მთვლიდა ანუ მისებურად

— კერპთაყვანისმცემლად. მერე, როცა დარწმუნდა, რომ ასე არ იყო, უფრო განდობილად მიზიარებდა თავის დაკვირვებებს, შეფასებებს, ემოციას.

დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ გალაკტიონის მისი ფიქრის მუდმივი საგანი იყო. ასე გონიერი შთამომავალი თავის დიდი წინამორბედს გასცქერის: არ სურს გათელილი გზით სიარული, მაგრამ არც მასთან კავშირის გაწყვეტა სწადია თუ ძალუძს.

შარშან დათოს „ვარიაციებში“, ერთ ჩანწერში ამოვიკითხე: „თუ მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიას ერთიან პერსპექტივაში განვიხილავთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ მას, არსებითად, გალაკტიონის გზით არ უვლია“.

რაიმე ამგვარი ან მსგავსი აზრი მას ჩემთან არ გამოუთქვამს. დამაფიქრებელი შეხედულებაა, მით უფრო, დავით წერედიანისაგან გამოთქმული, თუმცა ამ ხედვის საპირისპიროდ არაერთი წონადი არგუმენტი არსებობს. აქ და ახლა ამაზე მსჯელობა უადგილოა, იმის თქმა კი შემიძლია, რომ გალაკტიონის შემდეგ რამდენიმე პოეტმა შეძლო თავისი გზისა და ხმის პოვნა და ამ რამდენიმე რჩეულს შორის უთუოდ დავით წერედიანიცაა.

\*\*\*

მგონი, 2004 წელი იყო, ლიტერატურული პრემია „საბა“ მივიღე კრიტიკის ნომინაციაში. ყოფილი დავით წერედიანიც იმყოფებოდა და როგორც შემდეგ გავიგე, თოვტიც გამოუდია, ეს შედეგი რომ დამდგარიყო. დაჯილდოების ცერემონიალი ფუნქციონირებდა გაიმართა. ცხადია, გახარებული ვარ. სხვა რომ არაფერი, პრემირებულთა შორის თვით ოთარ ჭიალაძეცაა!

სად იყო, სად არა, მილოცვა-მოლოცვაში დათოც გამოჩნდა. გაღიმებული რომ დამინახა, ცოტა არ იყოს, გაკვირვებულმა მკითხა:

— შენც გახარებს ეგეთი რამეები?!

უხერხულობა ვიგრძენი, თითქოს დანაშაულზე წამასწრეს. შეცბუნება რომ შემამჩნია, ხელი გამომდო, ერთ-ერთი მანქანისკენ წამიყვანა, რომელსაც ქვემოთ, ქალაქში, საბანკეტო დარბაზამდე უნდა მივეყვანეთ.

მოლოცვის ერთი სიტყვაც არ დასცდენია — სხვა ხედვის, სხვა ეთიკის კაცი იყო...

\*\*\*

„ფაუსტის“ პირველ ნაწილზე ინტენსიური მუშაობა რომ დაიწყო, ხშირად ვხვდებოდი ინსტიტუტის კედლებში. ცხადია, ყველას გვანიტერესებდა, როგორ მიიწვევდა ნინ ეს დიდი საქმე, თუმცა კითხვებით არ ვანუხებდით. ხანდახან ისევე თვითონ თუ გვეტყოდა მე ან ლევან ბრეგაძეს, ან ორივეს ერთად, რამდენიმე სიტყვას, რა სიძნელების დამლევა უხდებოდა ტექსტის ამა თუ იმ ეპიზოდის თარგმნისას ადეკვატური საზომის, ინტონაციის, საჭირო სიტყვის ძიებაში.

მერე ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ თარგმანის ბეჭდვაც დაიწყო. დრო მოლოდინით დაიმუხტა — ყოველი ნომრის გამოცვლას მოუთმენლად მოველოდით, სიხა-

რულს და გაკვირვებას ვუზიარებდით ერთმანეთს. ლევან ბრეგაძე, როგორც ორიგინალის მცოდნე, თავის დაკვირვებებს მაცნობდა, ასე მაქცია არაერთი პოეტურ-მთარგმნელობითი სასწაულის მოწმედ.

დათო ამჩნევდა ახლობელთა თუ შორეულთა რეაქციებს, მაგრამ ჩვეულ სიღინჯეს ინარჩუნებდა, თითქოს განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა, არც არაფერ შუაში იყო. მაგრამ ერთხელ მაინც დაკარგა წონასწორობა, როდესაც „მადლობა“ ქართულად გადაუხადეს და ამ მართლაც უანგარო, უმნიველო კაცს ხმა დაუყარეს, გონიერად ამის შესახებ ვკითხე, ასე ამის ხსენა: პოემის მეორე ნაწილი აბსტრაქტულია, არ მიზიდავს, თანაც პატარა ბიჭიც აღარ ვარო.

ეს იყო და ეს — ახლაც ჩემი თავისგან მიკვირს — შეეუწინდი, შესაფერის თუ შეუფერებელ სიტუაციაში ვთხოვდი, მოვუწოდებდი, ვეაჯებოდი, ვანამუსებდი, ვავალდებულებდი, რომ საქმე უნდა დავითავრებინა. არაფერს ამბობდა, დუმილი ჰქონდა ფარად.

ბოლო ასეთი „ქადაგად დაცემა“ იმ დღეს მოხდა, ოთარ ჩხეიძის ჭირის სუფრიდან სხვებზე ცოტა ადრე რომ წამოვედით. სანაპიროზე ტაქსიში ჩავსხედით. შეპარვით ვკითხე, მე რომ მაინტერესებს, ის საქმე რას შვრება-მეთქი? გულგრილი სახით ხელი ჩაიქნია და აქ, არც მეტი, არც ნაკლები, ავენეთე. რა აღარ ვთქვი, რა ხერხს აღარ მივმართე: შევანუხე მკვდარი და ცოცხალი, წინაპარი და შთამომავლობა, წარმავლობა და მარადისობაც ვახსენე და ბოლოს მარტივად, კატეგორიულად მოვთხოვე:

— „ფაუსტი“ უნდა დაამთავრო!

— შენ ოღონდ დაოკდი, — ხუმრობა სცადა, — „ფაუსტს“ რომ მოვრჩები, იქნებ დანტეზეც ვიფიქრო.

...დავით წერედიანის მიერ ნათარგმნი ორ ტომად გამოცემული „ფაუსტი“ ახლა ჩვენს წიგნის თაროს ამშვენებს. მე კი გულით ვატარებ საჩემო ილუზიას, რომ დათოს ლიტერატურულ გმირობაში იმ ალაღად ნათქვამი სიტყვების ნილიცაა, ბოლო არგუმენტად რომ მოვიხმე იმ დღეს:

— დათო წერედიანი აღარ განმეორდება!..

\*\*\*

გოეთე ერთხელ კიდევ გამოჩნდა ჩვენს ურთიერთობაში. „გალაკტიონოლოგიის“ ერთ-ერთი ტომისთვის წერილს ვამზადებდი. კვლევამ გოეთეს „დასავლურ-აღმოსავლურ დივანთან“, მის პროლოგთან („პიჯრა“) მიმიყვანა. ამკარაა, აუცილებლად დამჭირდება ამ ლექსის ქართული თარგმანი, მაგრამ რომ არ არსებობს?!

ოთხშაბათი დღეა, „გალაკტიონის კვლევის ცენტრის“ თანამშრომელთა შეკრე-

ბის ანუ სხდომების დღე. დათომ, როგორც სჩვეოდა, დანიშნულ დროს შემოხსნა კარი. საქმიანი ნაწილი რომ ჩავათავებთ, დავიმატრახებლე. ჯერ მასთან დავაზუსტე, ვინმეს ხომ არ ჰქონდა თარგმნილი ჩემთვის საინტერესო ტექსტი, მერე შევაპარე, თავად ხომ არ აპირებდა ამას. დათომ სახე მოჭმუნა, თავი გააქნია და თქვა, მაგას რა თარგმნისო.

ნირი ნამიხდა, საუბარი შევწყვიტე. ალარც დათო ჩამძიებია, სხვებთან დიალოგში ჩაერთო.

ორიოდე საათის შემდეგ, დაშლის დრო რომ მოახლოვდა, ჩემს მაგიდასთან სკამზე ჩამოჯდა. მეკითხება, რად გინდა ეგ პროლოგიო. მიკიბ-მოკიბვა აღარ დამიწყია, ვუთხარი, რისთვისაც მჭირდებოდა და იქვე საქმე გავაიოლე — ჰქარედს გამოვიყენებ-მეთქი.

— კარგი, კარგიო, — მითხრა და წამოდეგა. ვერ მივხვდი, რას ნიშნავდა ეს ჰაერში დაკიდებული „კარგი“.

ამის შემდეგ თვე თუ ცოტა მეტიც გავიდა. კვლავაც ოთხშაბათ დღეს დათომ კარი შემოხსნა, ყველას მოგვესალმა, მერე ჩემთან მოვიდა და უხმოდ გამოძინოდა ფურცელი. გაკვირვებულმა ჯერ დათოს შევხედე, შემდეგ ფურცელს დავხედე: ხელში დავით წერედიანის მიერ თარგმნილი პროლოგის ტექსტი მეჭირა.

შეძრული ვიყავი. ცოტა ხნის შემდეგ მასთან მივედი. დათო მაგიდასთან იჯდა. რომელიღაც ავტორის მიერ მისთვის დატოვებულ წიგნს ათვალისწინებდა. მადლობა არ მითქვამს, უბრალოდ, მკლავზე ხელი ოდნავ მოვუჭირე. ითაკილასავით. არ გინდაო.

ასე მივიღე დათო წერედიანისაგან მეფური საჩუქარი, რომლის პირველი ორი სტროფი ჩემს გამოკვლევაში ჩავრთე, რასაკვირველია, მთარგმნელის მითითებით.

ამ დღეაღნიშნარი საქმიელითაც დამამახსოვრდა იგი — ეს მიუკარებელი, სიტყვაძუნწი, ამოუცნობი კაცი — დავით წერედიანი!

\*\*\*

ამ ფრაგმენტების წერისას ჩემს ძველ საქალაქდემი ერთ ჩანაწერს გადავანყდი. ასე ჩამინიშნავს: „ლექსში უმცირესი ზადიც კი უსიამოვნო ფიზიოლოგიურ რეაქციას იწვევს მის არსებაში. სრულყოფილები ისაღმი ისეთი გამძაფრებული მგრძობელობა აქვს, რომ ხშირად არ აკმაყოფილებს არც ძიებით მიგნებული სიტყვა, არც თავისი მაღალი ვერსიიფიკაციული პილოტაჟი. წარმოუდგენელ დაბრკოლებებს უქმნის საკუთარ ნიჭს და ამიტომაც ცოტას, ძალიან ცოტას წერს“. ფრჩხილებში მითითებულია ადრესატი — დ. წერედიანი.

როცა დათოს პირველი პოეტური კრებული „ორიონი“ (2010) გამოვიდა, გადავწყვიტე, ერთად თავმოყრილი ლექსები შემესწავლა. ზოგ რამეს მივხვდი, ზოგიც — მენიშნა, მაგრამ შინაგანად ვიგრძენი, რომ ამ ახალ პოეტურ განზომილებაში შესასვლელად მზად არ ვიყავი. აუცილებელი იყო იმ უცხო თვისებრიობის სიტყვიერ ამაღლგამაში გაღწევა, რომელიც თავისი ფერადოვნებით და ჟღერადობით გატყვევებდა და გაღმა დანთქმას არ განებებდა, სადაც პოეზია ხელისცეცებით დადის.

ამიტომაც მიკვირს, დათოს ელიტარულ, კულტურული ალუზიებით გაჯერებულ ლექსებს — ღრმას, რთულს, დახვეწილს და ალავ „ბნელსაც“ უამრავი, ბევრზე ბევრი დამფასებელი რომ გამოუჩნდა. დღეს ის, უდავოდ, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პოეტი.

ერთ ლექსში დათომ თავისი შემოქმედებითი გზა მეტაფორულად ასე დაახასიათა:

ბნელდაბნელ მივალ,

ყიფმატი მზუზავს,

თრთოლავს სანთური,

კრთოლავს სანათი.


ვარ მინდობილი კლასიკურ მუზას

მცირეოდენი განდაგანათი.

მე მგონია, მისი პოეზიის მომავალი მკვლევარი ამ მინიშნებას უნდა გაჰყვას.

ახლა, როდესაც დათო ჩვენ შორის აღარაა, რაღაცნაირად მამშვიდებს, რომ სიცოცხლეშივე, ორიათასიანებშივე, ვთქვი და დავწერე:

„თანამედროვე ქართული ლექსის კულტურულ სიმაღლეს ჩემთვის განასახიერებს დავით წერედიანის ორიგინალური და მთარგმნელობითი შემოქმედება. იგი უკვე კლასიკაა“...





ლია სტურუა

სიფხვლის წინააღმდეგ

ისეთი რა უნდა გამიხარდეს,
ცას მივწვდეთ, ან, უფრო, მთას,
ჩემი მეტრი და სამოცდაორი სიმაღლით?

\*\*\*
ნითელი პარასკევი, სისხლის წვიმები
რაც ფოლკლორისაა, პოეზიაა,
რაც ყოფის — ნითელი დროშა,

აი ია

ჩემი პირველი წიგნი — ათასი ანბანური
ვარიანტის ნაცვლად,
„აი ია“-თი დაწყებული —
პოეზიაზე აცრილები ჯარი —

ტოტი დახატა

ვზივარ, ვწერ.
თუ ფილოლოგიურ ტექსტებს,
თავში რომ ბავშვი მყავს,
მონყენილია,
ტანში ჩადის, ანატომიას ეთამაშება,

„დედა“ დაანერა (ხის ტოტი).
შეძლო, მაგრამ მწვანედ არ შელება,
არც შესაბამისი მალაღი ნოტები
ამომილო ყურებიდან.

რკინიგზა თავში

საათი მიდის, წყალი წვეთავს
მოშლილი ონკანიდან, წყნარი ვხდები
და განურჩეველი, მაგრამ
ყაყაჩოებიანი რკინიგზა თავში?



სოფია ქურასბედიანი

ჩემს ფანჯარასთან

გულს შემოანვა წვიმისფრად ღაზი,
შორიდანვე ცნობს ედემი ძაგრებს,
ეს გრძნობა მხიბლავს, ასე ღამაზი,
აუღლებელი ციხე-სიმაგრე.

ცადაზიდული მზე ჰგავს პანთეონს,
წამი ჩქარია და უარშიო,
კვლავ სტრიქონები კორიანტელოვს,
მეც პოეტობა უნდა ვარჩიო.

მონატრება მკლავს, მკლავს უაღრესად...
მხრებზე მოვიცივი სიჩუმის ყადრი,
შენს თბილ მკლავებში ყოფნა მაღირსა,
სულ უნდა მყავდე, სულ უნდა მყავდე!

ააქრობა დროსთან

მზეს გულზე აწვევს ძველი თაბალა,
ცის საფეხურებს თხელი ლაბდანი,
ყაყაჩოები წვიმამ დალაღა,
შემოეწვია ღობეს ავდარი.

გარინდებული გრძნობა პაექრობს,
სხეულს მითრთოლებს ყალი კვირტები,
დროს უანგინი ფირი გაუქრა,
ესოდენ ცეცხლად მომეკიდები.

საით იჩქარის ხმა საარაკო,
შეჰყრია რალაც სულის ჭირვება,
მინდა, დილაძე გელაპარაკო,
თორემ დუმილი გამიჭირდება!

\*\*\*

შენზე ვწერ,
როცა სიყვარულის სიმძაფრე მაკრთობს,
როცა ყოფიერ სილაყვარდეს აჩნია მთვარე,
მე რომ შემეძლოს, ახლა უნდა სიცოცხლე დავთმო,
ისე მნადია, მიკოცნიდე გადაღლილ თვალებს.

ცას აუტეხავს რია-რია,
იღვიძებს კადრი:
მთელი სამყარო ნაცრისფერ მზეს ეჭიდავება,
ძვირფასო, ნახე,
როგორ დასდევს დრომომჭმულ კედლებს
წიგნში ასხმული პოემები მრავალთავებად.

გავუძლოთ ცოტაც,
ელვასავით ჩაივლის აზრი,
ჩემი და შენი, ჩვენი ნატვრა ახდება, ხოდა...
გავუძლოთ ცოტაც,
მოთმინებით გაგარღვევთ საზღვრებს,
ოღონდ შენ მყავდე და როგორმე
გავუძლოთ ცოტაც!

\*\*\*

მზე მარტოსული რჩება იფნებთან,
ტოვებს სისხამის ვინრო ფალანგას,
შენც ჩემთან ერთად ბჭობდე იქნება,
რადგან სიჩუმე მიღირს არაფრად.

ისმის ქარების შორით ხავილი,
მაისი ნალველს ობლად იშორებს,
რა ედარდებთ ნეტავ ყვავილებს
შორიზონტების ასე სიმორე.



ნოემარი 10

დაბადების დღის აღნიშვნაზე არც ახლა გიყვები, არც ბავშვობაში გიხდიდნენ ხოლმე — სულაც არ ნაღვლობდი, შესაბამისად, საჩუქრებსაც არავინ გჩუქნიდა. როცა ბავშვები — კლასელები, ბავშვები — მეზობლები — გაჩვენებდნენ დაბადების დღის ძვირფას საჩუქრებს, ცოტა არ იყოს, გშურდა, მაგრამ რა უნდა გაგეწყო.

დაბადების დღე გაგიტენდა ერთხელაც მორიგი, იყო ზამთრის არდადეგები, როგორც ყოველთვის. მზე ამოვიდა, უღონო მზე, დათრთვილულ ეზოში ხელის ურიკას დააგორებდი, ორთვლიანს, შინდისფერს, მოგწონდა, როგორ სრიალებდა მკვეთრად მოხვევისას.

მამიდა?! — უკვე სამსახურში, რა ხანია, წავიდა მამიდა; მამა?! — შეშას ჩეხავდა მამა სამზადის გვერდით; დედა?! — სამზადში იყო დედა, რძეში კვეთს ასხამდა; და?! — მეზობლებში გადასულიყო უმცროსი და; ბებია?! — თავის ოთახში იჯდა ბებია დილიდანვე, ბოლო ორი დღე არ გამოსულა, რალაცას ხელსაქმობდა...

შუადღეს დედამ, როგორც ყოველთვის, ღომი გააკეთა, ჩვეულებრივი სადილი იყო: შემწვარი კვერცხი და ნითელი ტყემლის სანებელი, ღომში კი — სულგუნი... არაფრით არ განსხვავდებოდა სხვა დღეებისგან ის დღე. სუფრასთან დაჯდომამდე დედამ დაგავალა, ლანგრით სადილი შეგეტანა ოთახში ბებიასთვის.

შეიტანე და... სიხარულისგან კინაღამ ხელიდან გაგივარდა: ლოგინზე იყო დაფენილი თეთრი მაისური, ბებიას ზურგზე ამოქარგა, ნითლად და ლამაზად, ნომერი 10... ათი ნომერი... მკერდზე კი, გულის მხარეს, „დინამოს“ ლოგო... სასწაული, წამდვილი სასწაული... დაბადების დღის საჩუქარი, პირველი საჩუქარი...

\* დგები, მიდიხარ შენი შვილის მაგნიტურ დაფასთან, საშლელი ღრუბლით შლი წარწერებს — ციფრებს და ასოებს, დაფის სითეთრეს უყურებ და ნითელი მარკერით აუჩქარებლად წერ ათიანს — საწყალი ბებია ათი წლის წინათ, დღევანდელ დღეს, წავიდა იმ ქვეყნად...

დიდი პოეტის საათი

დიდი პოეტის მაჯის საათი, უბრალო საათი, მაჩუქეს ადრე, მიდევს თაროზე — ძვირფასი რელიქვია, ზოგჯერ ავიღებ, მტვერს ვაშორებ, დავცქერი მონინებით და ვდებ ისევ. სტუმრებთან ხშირად გამომაქვს ხოლმე, როცა პოეტის, დიდი პოეტის, ლექსს იტყვის რომელიმე, ან, უბრალოდ, გაგახსენდება დიდი პოეტი.

რა თქმა უნდა, სულ ვიცოდი, რომ ასე არ იყო, მაგრამ თავს მაინც ვირწმუნებდი სრულიად გულუბრყვილოდ, თითქოს საათი (გაჩერებული) ძვირფასი პოეტის გარდაცვალების ზუსტ დროს და თარიღს აჩვენებდა: „რვის ცხრა წუთი და ათი წამი. ოცდარვა თებერვალი“. თავს ვიტყუებდი... საათი კი მალავდა სიმართლეს და მიშტერებდა, ცალი თვალივით, თარიღის ფანჯარას.

მაგრამ ამ დილით, როცა თაროდან გადმოვიღე, ისრებს დაეწყით მოძრაობა — ის ისევ მუშაობდა... წლების მანძილზე დრომ თუ შუშაში ვერ შეძლო შეღწევა, ახლა, როგორღაც, შეეღწია, იქ იყო... მართალია, ჩამორჩებოდა, თუმცა იყო... — „გაცოცხლდა! გაცოცხლდა!“ — ფონდი „რუსული სამყარო“...

ყველა მეგობარს გავაგებინე, სუყველას დაუვრეკე. — „გაცოცხლდა-მეთქი!“ — აივნიდან მინდოდა, მეყვირა.

ერთი შეხედვით, შეგუებულმა თავის ხვედრს, ბედისწერას, შეგუებულმა, რომ მხოლოდ პატრონს გვახსენებდა და სწორედ ამის გამო იყო დღემდე ფასეული, როგორც ჩანს, ველარ აიტანა ასეთი არსებობა და გადაწყვიტა, შეეცვალა, დრო იყო, რალაცა შეეცვალა, დრო იყო დროში დაბრუნების, იმ საქმის კეთების, იპაონის რომელიღაც ქარხანაში რისთვისაც დაამზადეს.

დიდი წვალეებით გავასწორე, მოვირგე მაჯაზე, მერე სარკეში ვათვალიერე, ბოლოს კი გავედი სახლიდან. მსიამოვნებდა წარმოდგენა იმის, რომ ძვირფასი პოეტი სწორედ ამ საათს დასცქეროდა გზადაგზა, მალმალე, როცა, თუნდაც, რედაქციაში ეჩქარებოდა... მაგრამ, თანდათან, გამინელდა ძველი ინტერესი, სულ დამავინწყდა, საათი რომ მეკეთა ხელზე და დროს მობილურში ვამონმებდი, როგორც ჩვეულებრივ და ღამით სახლში დაბრუნებულმა, მგელივით მშიერმა, შეჩვეული სამაჯურივით მივაგდე მაგიდაზე.

ჭამის შემდეგ კი შემრცხვა პოეტის. ჩემივე თავისაც. ბრტყელირიანი სახრახნისით ავხადე ხუფი და ამოვაცალე ბატარეა, დავახურე, ძველ ადგილს დავუბრუნე... ასე, ამგვარად, მივუჩინე კუთვნილი ადგილი და ყოველგვარი პერსპექტივა მოვუსპე ურჩობის.

გამოთხოვება ლუსინდასთან ფლორისტული ელეგია

გემშვიდობები (როგორ მახსოვს ის საღამო — წვიმდა, ერთმანეთი რომ გავიცანით, დედაჩემის ხელში ჩანდი საოცრად ლამაზი და, სულ ცოტათი, მგონი, მოწყენილიც კი, შეიძლება, მომეჩვენა. სადღაც, სულ ახლოს, მეხი ჩამოვარდა ისეთი ხმით, ირგვლივ

შეაზანზარა კორპუსები, შენ და ტიდას ზუსტად ერთნაირად რომ შეგეშინდათ — გამეღიმა. მალე, როცა დანყნარდით ორივენი — დამეგობრდით, ხოდა, ტიდამ ლუსინდა რომ დაგარქვა — მომეწონა, თითქოს ვიღაცამ შენთვის მოიგონა ეს სახელი, ისე

მოგიხდა, ისე ზუსტი იყო, გავიფიქრე: ჩემი ნება რომ იყოს, უპრობლემოდ ავკრძალავდი. დაე, აღარ რქმეოდა აღარავის მსოფლიოში, მხოლოდ — შენ... შენს ქოთანზე ეტიკეტი — „სენპოლია“, უნდა გამოვტყდე, ადრე არ მსმენია, ყვავილებში დიდად

ვერ ვერკვეოდი — მალე უკეთ გავერკვიე, — მაშინ სადმე, სხვის სახლში თუ ვნახავდი — მშვენიერი, მაგრამ არ მნდომებია არასოდეს, ჩვენც გვკონოდა, თურმე რამდენს ვკარგავდი. ერთი სიტყვით, შეგეჩვიე, როგორც შინაურ ცხოველს. დრო გავიდა უჩვეულოდ სწრაფად —

გაირბინაო, რომ იტყვიან — და შენ უცებ ჭკნობა შეგეპარა და ვერ გიშველეთ, გვიკვდებოდი თვალწინ, და ეს დღეც დადგა... ქოთინანად, ფარეხების უკან, ჩამარხე... ახლა გაკითხავ და შენს საფლავზე დამაქვს სენპოლიები — სულ სხვადასხვა სახეობის), ლუსი!

სარესტავრაციო საამქრო

ამ დილით, როცა გამეღვიძა, სახლს გვიდა დედაჩემი, ჩემს ოთახშიც გადმოინაცვლა, ღია კარიდან ტელევიზორის ხმა შემოვიდა, ვუსმენდი იძულებით (კარგა ხანია, აღარ ვუყურებ ახალ ამბებს):

აღარც მახსოვდა, რომ დღეს, თურმე, ყოფილა ცხრა აპრილი, უნდა გამოვტყდე, არც ის ვიცოდი, საბჭოთა არმიის მიერ მხეცურად დახოცილებში, ყველაზე უმცროსი თხუთმეტი წლის გოგო თუ იყო, ძალიან შემრცხვა.

თავზე საბანი გადავიფარე, დავიცვი ყურები, მაგრამ წამყვანის გამჭოლი ხმა ვერაფრით ჩავახსე: თურმე რუსეთმა უკრაინაში, ერთ-ერთი ქალაქის რკინიგზის სადგურს ბალისტიკური რაკეტა ესროლა, ოცდათვრამეტი დაიღუპა, ბავშვებიც არიან...

ვერ გაუძელი, სწრაფად ჩავიცვი, გავედი აივანზე, დილის ჰაერი შევიუსუნთქე, სიგარეტს მოვუკიდე, და სანამ ნაფაზს დავარტყამდი, სიმწრით გამეღიმა:

ჩემი სახლის წინ, ქუჩის გადაღმა, პატარა საამქროა, სადაც სხვადასხვა კომპანიის აბრებს თუ ფირნიშებს რესტავრირებას უკეთებენ, ეზოში ულაგიათ, და აივნიდან ვკითხულობ ხოლმე ფერწასულ წარწერებს, ამჯერად — ნითელ აბრაზე: ფონდი „რუსული სამყარო“...



მაკა კვერენჩხილაძე-კარტაიზერი

\*\*\* როცა ფესვებთან სიმორე დამეჭიმება „გაფუჭებული ტელეფონის“ უხილავი გრძელი თოკივით, მაკლიხარ ქართულ: ენად, ჰავად, ლექსად, სიმღერად, სულის სიმების შემარხვევლ „ჩვენებურ“ ზრუნვად, მშვიდ ამოსუნთქვად და სავანურ სიმშვიდედ... იუმორად, სიცილიად — ძარღვებში სისხლის შემაგრძნობელ სიცილიად; მაკლიხარ სამშობლოდ, რომელიც ახლა ძველი ფოტოსურათივით ფერგაცრეცილია ფერდაკარგული სამყაროს გადამკიდე და თავადაც დაჭიმვია ფესვებთან სიმორის თოკი. მზეც გვებუტება და გვემალება, იქნებ, მის სხივებს მაინც გაერუჯა ამდენი უფერულება! მზეო, გამოგვინათე...

\*\*\* იარე მზეში! თუ გიხარია, იარე მზეში და თვით მზის სხივებს შეუერთე ეგ სიხარული.

იარე ქარში! თუ რამ არ მოგწონს, იარე ქარში და დაალაგე მისანონად არმისანონი;

ირბინე ქარში! თუ გაბრაზდები, ქარს ეკამათე, შეერკინე ქარის ფორიაქს!

ტირილი გინდა? თუ წვიმს, იარე! და შეუერთე ცრემლები წვიმას. წვიმა გაგიგებს, მასაც ცის დარდი ხომ ცრემლად ცვივა.

\*\*\* ამდენი ნეგატივი, ამდენი სისულელე, ამდენი არდაკრული ტაში,

ამდენი უმადური, ამდენი ნიღბიანი, როკვენ, ფარფატებენ ქარში...

ამდენი ბოროტება, ყვავილგამოსხმული, ყვავის და ზეიმობს, ფრთას შლის.

ამდენი ავი სიტყვა, ამდენი ბოლმიანი, ამდენი სიყალბე და ფარსი!

ამდენი მოლოდინი, ამდენი გაცრუება, ამდენი უიმედო — თარსი! ამდენი სილამაზე, ვერდაუნახავი, ფუჭად იკარგება წყალში?!

აკა მორჩილაძე

# ახალი დროება რობინზონ ჯაშისა

ფრაგმენტი მომავალი წიგნიდან



დასაწყისი პირველ გვერდზე

მოკლედ, 1992 წლის მაისში საქართველოს რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა ლილაკით გამოიძახა თანამშემენ თამილა შახტიაშვილი, ფარული ბრალით მოიფხანა ქაჩალი თავი და უბრძანა, სასწრაფოდ ჩამოეყვანა დედაქალაქში რობინზონ ჯაში.

„აგერ, რაიონი, სოფელი, ყველაფერი წერია,“ — მაგიდაზე ბარათი გაუცოცა პროკურორმა თანამშემენს, — „ბენზინი აიღე ჩემი მარაგიდან. ჩემი მანქანა წაიყვანე და დილით ადრე გადი. ვინც გინდა, წაიყვანე, ავტომატებიც წაიღე, თუ გინდა. არ ვიცო, გზებზე რა ხდება... ძან გეჭირდება მაგი. მაგის... შენს მეტს ვერ ვანდობ ვერავის. ქალი ხარ მინც და... კაცის გამგება უარესია ახლა...“

თამილა შახტიაშვილი ბარათი აიღო და დახედა.

„ბატონო სტანგერ... სტანგერ მალაქი-ვივი, და ვინ არი... რობინზონ ჯაში?“

„ოპ, გოგო,“ — ოხვრას გული ამოაყოლა გენერალურმა პროკურორმა, — „არ მითხრა, რო არ იცი, ვინააა რობინზონა ჯაში. არი ერთი... პალკოვნიკი. არ მინდა ახლა. რაც არი და ვინც არი, პრეზიდენტს ახსოვს და უნდა, რო საგამოძიებო ჯგუფში ჰყავდეს... უხელმძღვანელოს. ნახატის საქმესაცო, ასე თქვა. არ ვიცი, რა იგულისხმება და რა უნდა უშველოს რობინზონამ... ოპერია ძველი, რა. აი, შავი ჭირი. მერე. ვაჟინაკი იყო ჩვენთან. ხალხი ემალებოდა, კარიდორში რო მოდიოდა. დასაბმელი გიჟი... ეს პოლიტიკოსები რა ყოფილან. მე რეც უნდა მოვძებნო, მოძებნოს ემედე. მარა ჩვენ ვიძიებთ და,“ — პროკურორმა ხელისგული დაჰკრა მაგიდას და მერე ფრთხილად გაუსვა, თითქოს მტვერი უნდა გადნმინდოსო, — „ქალაქის პროკურატურა, ჩვენ და ახლა ეს რობინზონა. მოკლედ, ყველა. თქვენ თუ ვერ ერევით, მაშინ მოიზიდეთ რობინზონ ჯაში! ფარისევლობა. წარსულშია გაჩხერილები. ყველა ქუჩას თავისი ჯარი ჰყავს. ყველა მილიციის უფროსს აკანკალებს ყველაზე ბოლო მხედრიონელის დანახვაზე და ესენი მეუბნებიან მე, რო ჩვენ არ ვართ საკმარისად შემტევი და აგრესიული ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაში, თითონ კიდე იცავენ მაგენს მაგენი ყველა! არ მომცეს საშუალება, თათბირამდე რო ორი სიტყვა მეთქვა პრეზიდენტისთვის. ასე ჩაანყვეს. გენერალური პროკურორი ვერ ხვდება პრეზიდენტს. ტურები, გოგო! უკვე მოახსენეს ახალ მკვლელობებზე და ისე, თითონ როგორც აწყობთ. ხო იცი, რაფერც მოახსენებენ. რაფერც ახსენებენ, ისე. ხოდა, რაც მივიღე ესაა: მოიყვანეთ რობინზონა ჯაში! ხალხს ჭირდება იმედი, პოზიტივი და რწმენა, რო ყველაფერი ბანდიტების ხელში არაა ამ ქვეყანაში. მიდი, მიდი, ის კაცი მოიყვანე. ნადირზე მწევარი უნდა მიუშვა. ა, რა ლაპარაკია ახლა ეს? რაფერცაა. ჩვენთვის უკეთესი იქნება... ჰყავდეთ... ნადი, შვილო, ნადი. მოძებნე და ჩამოუთრიე. ვნახავთ, რა ვარსკვლავებს მოწყვეტს... ჩემი მანქანა წაიყვანე.“

შინაგანი ძალების გადამდგარ ოფიცერს, უბრალოდ რომ ითქვას, მილიციელს, საქ. სსრ რესპუბლიკის პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ყოფილ გამომძიებელს, ან მშობლიურ სოფელში გაბრაზებით დაბრუნებულ და იქ ახლებური სიტყვა-ხელობის, ფერმერობის, მიმდევარ რობინზონ ჯაშს დედაქალაქი თბილისი ჯერ კიდევ პერესტროიკის გარიჟრაჟზე შესძლებოდა საბოლოოდ და ენიხანსარმეტყველა კიდევ ბანდების თარეში და ერთ დროს აყვავებული ქალაქის ყაჩაღური ადათით მართვა.

რობინზონ ჯაშმა ყველაფერი იცოდა მდგომარე, მჯდომარე, მწოლიარე გვამებისა, იარაღის კალიბრებისა, ნაფეხურებისა, წერილმანების ჩაჭიდებისა და მათი ხელიდან არ გაშვებისა, როცა საჭირო იყო მიწოლისა და როცა საჭირო იყო დაყვავებისა, მიზანში სროლისა, გაქცეულისთვის ფეხში მორტყმისა, მისთვის პირველადი დახმარების აღმოჩენისა და სხვა ათასისა, მაგრამ არაფერი გაეგებოდა ხელოვნებისა.

არც გახლდათ დიდი თავყვანისმცემელი მხატვრობისა და პოეზიისა, რაც არც გასაკვირი იყო და არც საძრახისი. ღიზიანდებოდა კიდევ, როდესაც ყურს მოკრავდა, ესა თუ ის შემოქმედი გენიოსიაო. როგორ შეიძლება, მსახიობი გენიოსი იყოსო, იფიქრებდა და ყურს მოარიდებდა ხოლმე ასეთ სახობტო საუბარს. როგორც საბჭოთა კედლის კალენდრების უკანა გვერდების მოყვარული მკითხველი და ამით თვალსაწიერის მაფართოებელი კაცი, რობინზონი წრფელი ტრფიალი გახლდათ სტალინის ცხოვრების უცნობი საგმირო ამბების სმენისა და მათი დამახსოვრებისა. როგორც ნამდვილი ქართველი მილიციელი, იგი გენიალობას მხოლოდ პოლიტიკოსთა შორის ამჩნევდა და ამ დარგის კვარცხლბეკზე ზემოხსენებული გარდასულ დღეთა დიდი ბელადი წარმოედგინა, მის შორიახლოს კი განეთავსებინა ნაპოლეონ ბონაპარტი და იულიუს კეისარი.

ოდესღაც, საზაფხულო შევბულების დროს, რობინზონ ჯაშს დიდ ადამიანთა გამონათქვამების ორიოდ წიგნი წაეკითხა და იქ სწორედ ნაპოლეონისა და კეისარის აზრები გაეხაზა, უფრო იმ მიზნით, რომ ისინი იმ ზეპირგადმოცემითი სტალინური სიტყვა-თქმებისთვის შეედარებინა და ამ უკანასკნელის უპირატესობა გამოეკვეთა საკუთარ წარმოსახვაში.

თუმცა, ამ წიგნებს სხვაც რამ დაეტოვებინა მის გულში: რობინზონ ჯაშს მოსწონდა ნაპოლეონის გამონათქვამები. თავისად გრძნობდა ცეცხლოვანი კორსიკელის ხშირად დაუნდობელ და ფერადოვან აზრებს და კიდევ მეტი: ოდეს სიბრაზე და მრისხანება დარევედა ხოლმე ხელს რობინზონ ჯაშს, ის თავს იმ ნაპოლეონად გრძნობდა, წიგნებში ამოკითხული გამონათქვამებიდან რომ ხედდათ.

ეს არასდროს იყო მიბაძვა, არც რაღაც საბრალო ხელოვნურობა. თავისით გამოდიოდა. არამედ, საიდანღაც მოსული სურვილი, რომ მთელი რვეული მრისხანებისა და მთელი სიცხადე გონებისა ერთ, მოკლე

და ძლიერ წინადადებაში ჩაეცია. მიხვედრილი იყო, იმპერატორი იმიტომ ლაპარაკობდა ასე ტევადად და სავედ, რომ ყოველ გრძლად გადმოცემულ აზრს სხვაგან მიჰყავს მთქმელიცა და მსმენელიც: სადღაც შორს, მოუსვლელოში, ციმბირებში, უღმობელ ყინულებში, იქიდან გონისმიერი გამოლწევა კი იოლი არ არისო, მიაჩნდა მას.

წლიდან წლამდე რობინზონ ჯაშის გული და გონება თანდათან უახლოვდებოდა დრამას და ნერვების ხმამაღალ გორგლად სქელდებოდა ვილაც უხილავი ბების კალთაში. ეს ხელქვეითებსაც ღლიდა და ხელზეითებსაც აჯავრებდა.

მისი სალაპარაკო ენა მეტ და მეტ სიხისტეს იკრებდა, მისი ნაწერი ოქმები კი თავსატეხად ექცეოდათ გენერლებსა და მერე მალალ პროკურორებსაც. ამის მიუხედავად, რობინზონ ჯაშმა საუკეთესო გამომძიებლად რჩებოდა ჯერ საზოგადოებრივი მართლწესრიგის დაცვის სამინისტროში და მერე რესპუბლიკის პროკურატურაშიც.

სახელმწიფო აფასრებდა მის გარჯას და თუმც კი მუნდირი ორი ჰქონდა, მილიციისა და პროკურატურისა, ორდენებით და მედლებით მაინც სამოქალაქო, იმ დროში საკუბოვედ ნოდებულის, ჰიჯაკის გულისპირი გაეწყო. შთამბეჭდავი გულისპირი იყო, ბევრს გააკვირვებდა. ეს იყო, რომ რობინზონ ჯაშმა ამ ჰიჯაკს არასდროს იცვამდა და, მგონი, მართლაც საკუბოვედ ჰქონდა.

იმ დროების საქართველოს სსრ-ში მილიციელებს ძალებს ეძახდნენ. უფრო ადრე, რატომღაც კუსონიკებს. სკკპ წევრი 1969 წლიდან, რობინზონ ჯაშმა, რესპუბლიკის დამამავეთა მრავალფეროვან და უკიდევანო სამყაროში ჩესნი ძალების, იდენი ძალების სახელით მოიხსენიებოდა. პირველი იმას გულისხმობდა, რომ დამამავეთებთან ბრძოლისას ის ვერაგ, უწმინდური ილეთებს არ მოიხმარს და ზედმეტს არაფერს დააბრალებს ეჭვმიტანის, მეორე კი იმას, რომ ჯაშს სწამს თავისი ხელობისა და საქმისა; როცა საჭიროა, უშიშარიცაა, მამაციც, და საერთოდ, მოუსყიდველი გახლავს — ქრთამს არ აიღებს.

სამსახურის ოცდახუთი წლის თავზე პოლკოვნიკ რობინზონ ჯაშს ებადა ოროთახიანი ბინა დიდუბის უბნის ბოლოში, ქარვისფერი 1977 წლის ჟიგული 06 ჟიგული 03-ის ძრავით, სამი საბჭოთა ორდენი მედლების მიუთვლელად და რვეოლვერების, პისტოლეტების და თოფების ერთგვარი კოლექცია, რომელსაც რკინით შემოსალტულ განჯინაში ინახავდა. ცოლი არასდროს შეურთავს და თავისი უმცროსი ძმის ქვრივს კი დაეხმარა ძმისშვილების აღზრდასა და გზაზე დაყენებაში.

ვითარცა ახალგაზრდა, პრინციპული, ბასრი გონებისა და გამბედავი ქვეყის ოპერი, რობინზონი ადრევე შეემჩნია ედუარდ შევარდნაძეს, იმხანად საზოგადოებრივი მართლწესრიგის მინისტრს, შემდგომ საქ. სსრ ცეკას პირველ მდივანს, შემდგომ, საქართველოს რესპუბლიკის მეთაურს და შემდგომ ორგზის პრეზიდენტს, შუალედში კი, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა

განთქმულ წარმმართველს. ძლიერად მოსილი და დამაფიქრებლად მოლიმარი მინისტრის მიერ ახალგაზრდა ჯაშის სწრაფმა დაწინაურებამ ის სამილიციო ყოველდღიურობის და მექრთამეობის ჭაობს აარიდა. მინისტრი ახალგაზრდა ხელმეუხებელთა ერთგულ ჯგუფს კრებდა და ჩრდილოვანი ეკონომიკის და დამამავეთა სამყაროს დამამავეთებს აპირებდა. მერედამერე გამოირკვა, რომ შამათი არ ხერხდებოდა, მხოლოდ მუდმივი ქიში, რაც ასევე არ იყო მცირე რამ.

ჯაშს არ მოსწონდა იატაკქვეშა მილიონერების და მათი თანამზრახველების მომბებურბელი დაკითხვები და სცადა, რომ ხელმძღვანელობისთვის აეხსნა, ასეთი საქმეები მაჩლუნგებელია ჩემი გონებისთვის და უმჯობესია, მკვლელობებისა და დიდი ძარცვების საქმეები მანდოთო. ეს თამამი მოთხოვნა იყო, მაგრამ მართლა ყველა ხედავდა, რომ მას მოკვლევის და მიკვლევის სრულიად განსაკუთრებული უნარი ჰქონდა და ეს უნარი როგორღაც უდუნდებოდა, როცა საქმე ჩრდილოვან ეკონომიკას შეეხებოდა.

რობინზონ ჯაშმა სახელი გაითქვა იმით, რომ ერთ დღეს ჩადენილი სამმაგი მკვლელობა ისე გახსნა, სამინისტროს არქივიდან ფეხი არ გაუდგამს.

რობინზონმა შირაქის ველზე დაიჭირა ერთი ლეკი, იბრაჰიმად ნოდებულის ყაჩაღი, რომელმაც კახეთში მუსლიმის ოჯახი ამოწყვიტა. ამ იბრაჰიმის სასამართლო პროცესზე მონმდე მინვეულმა, მან, სრულიად მოულოდნელად განაცხადა, რომ სიკვდილით დასჯა გასაუქმებელია და რახან გაუქმებული არ არის, მოსამართლეს იმდენი კი უნდა შეეძლოს, რომ იბრაჰიმს დახვრეტა არ მიუსაჯოს.

ამან მისი ციყად მოხსენიება გაახშირა და საბოლოოდ სამუდამო გახადა. პოლკოვნიკობა სწორედ მაშინ ოცდათორმეტი წლისამ მიიღო და იმის იქით წოდება აღარ მომატებია, არც მილიციაში და არც იუსტიციაში.

ნაპოლეონი გაოცდებოდა. ის ხომ უსწრავსაღ მიაჩნებდა გენერლობას. მაგრამ ასე იყო: პარტია და ხელმძღვანელობა ერთის მხრივ ჯილდოებს და კეთილგანწყობას არ იშურებდა მისთვის, მეორე მხრივ კი, ყოველნაირად არიდებდა მალალ კაბინეტებში დიდხანს ყოფნას.

მისი საუბრის ჩვევას, ახირებულ ქვევებს, მოულოდნელ მიხრა-მოხრას და მარტოხელა, კარჩაკეტილ ცხოვრებას უკვე ეშვა უხამს ხუმრობათა და ჭორთა ხმადახალი, თუმცა მაინც მთელი კორიანტელი: ამბობდნენ, რაღაც მამაკაცური გაუმართაობა სჭირს და ვინ იცის, სინამდვილეში რა წესითა და მისწრავებით ცხოვრობსო.

საამისო სალაპარაკო იქიდანაც გამოდიოდა, რომ თუკი რობინზონ ჯაშმა სამ წელიწადში ერთხელ მაინც დაესწრებოდა მილიციელთათვის ჩვეულ ქეიფს ქალაქგარეთა რესტორნებში, წვეთსაც არ დალევდა ხოლმე და ერთ საათში აიკრიფებოდა იქიდან. ეს აშკარა წარმოუდგენლობა კიდევ უარესად გამოიყურებოდა, ვიდრე უცოლოდ ცხოვრება და აფიქრებინებდა თანამშრომლებს, რომ, უკეთეს შემთხვევაში, ჯაშს რაღაც საიდუმლოდ შენახული ავადობა სჭირს, რასაც მისთვის სმის და ქალთან ყოფნის უნარები წაურთმევია, უარეს შემთხვევაში კი, კაცის გული ხომ ისეთია, ვით მორევი შავი ზღვისა.

ამ ეჭვებს ძალმოსილება არასდროს შემატებია, რადგან უფროსობამ კარგად იცოდა ჯაშის ნამდვილი ფასი. მაგრამ ყველა სამსახურში მოიძებნება წუნკალ ადამიანთა ჯგუფი და ასეთმა ლაპარაკებმა წლები გასტანა და საბოლოოდ მაინც დაასვა ნიშანი თანამშრომლების შეხედულებას, რომ ჯაშს მხოლოდ სამსახურებრივ საქმეზე თუ დაელაპარაკები და სასურველია, მასთან სამსახურებრივი საქმეც არ მოგიხდეს. კაცია, მაგრამ ეგებ კაცეც არაა და გიჟი რომაა, უეჭველია.

პერესტროიკა რომ ჩამოგდა, რობინზონ ჯაშს თვალის მშობლიური სოფლისკენ გაექცა. იქით სიარულს მოუხშირა და მშობლების გარდაცვალების შემდეგ მარტოდ შთენილი მამაპაპური სახლის განახლება-მოფერადებას მიჰყო ხელი.

იმხანად თანასოფლელებში დიდი სახელი დაეგდო და ყველა მეტისმეტი მოწადინებით ეხმარებოდა: რახან შენ აქეთ გამოჩნდი, ან რაღა გვიჭირსო. სოფლელებმა ბევრი არაფერი იცოდნენ მისი ხსია-

თისა, მხოლოდ ბიჭობისდროინდელი ამბების ნაკუნები ახსოვდა: მოუსვენრობა, უდარდებლობა, მდინარეში დაჭერილი ღორჯოები.

სწორედ ეგ დრო იყო. მწყემსების გაყოლა, ყინულივით ცივი დინება, ხიდიდან გადახტომა, ჩიტის ბუდეების ძებნა, მოპარული ღვინით პირველად დათრობა და ღებინება, აბანოს კედლის ცნობილ ბზართან რიგში დგომა ქალთა ბანაობის დღეს, მეზობლის სატვირთო მანქანით ნაწვიმარ მინდორზე სრიალი და ასე დაუსრულებლად.

მისი კლასელები და ბავშვობის ამხანაგები ახლა შემთვრალ ტრაქტორისტებად გადაქცეულიყვნენ მიმქრალი თვალბითა და დაკორძილი, დასივებული ხელებით. ასე ემართებათ ხოლმე ადამიანებს, რომლებიც ფართო გზებიდან მოშორებით ცხოვრობენ და ქანცისგამწყვეტი შრომის საფასურად არასდროს იღებენ რაიმე ახალს.

იქაური ანტენები გაჭირვებით იჭერდა საქ. სსრ სახელმწიფო ტელევიზიის პირველ არხსაც კი, რომელიც ჯერ იმგვარ თავისუფლების შემგრძნები არ იყო, რომ მთელი სიგრძითა და განით გადმოეცა ვითარება, საბჭოთა კავშირს და მსოფლიოს რომ მოზურვოდა თავს. თუმცა, ხმა კი გავარდნილიყო, რომ კომუნისტები გაკულაკების დროს წართმეულ მინებს გვიბრუნებენო.

როდესაც ჯაში სოფელში მობრუნდა, იქაურები უკვე ეძებდნენ მეფისდროინდელ სამფლობელო ქალაქებს და დიდი განევ-გამონევა აეტეხათ სავარგულბისა და ტყეების ძველი საგვარეულო საზღვრების ზუსტად დადგენის სურვილით.

რობინზონ ჯაში საუკეთესო მრჩეველად გამოიყურებოდა. უკეთ ვინ გაარკვევდა ადამიანებს იმაში, თუ რა ხდება და რას უნდა მოველოდეთ. დამხმარე თვით ღმერთს გამოეგზავნა, თუმცა, სოფლები გააკვირვა პოლკოვნიკის პასუხმა, რომელიც სინამდვილეში კითხვა გამოდგა:

„იარალი გაქვთ?“

„ნადირობა მოგენატრა, ჩვენო რობინზონ?“ — შეხარეს ალაღმა ტრაქტორისტებმა, „კი თოფს აგორჩევთ. რავა ზუსტად გხსომებია, რო კურდღელზე წასვლის დროა... საუკეთესო დრო.“

„იარალი დაგჭირდებათ სოფლის დასაცავად,“ — თქვა რობინზონ ჯაში, — „ისე ვერ გავატანთ. ავტომატური ჯობია. ფილთა თოფით ვის ტყაჩავეთ...“

ასე იწყება ეს ამბავი, თუმცა, საკუთრივ ამბავი ალბათ იმით უნდა დაიწყოს, რომ საქართველოს თვალწარმტაც მთებში ძველთაგანვე ეყუდა ერთი მონასტერი, რომელსაც ბევრი ძნელბედობა და საღვთო გამოცდა შეხვედროდა საუკუნეთა განმავლობაში და კომუნისტების მმართველობის ხანაში კი საერთოდ გამოკეტილ, ამოგმანულ და მივიწყებულ ადგილად ქცეულიყო, სადაც იშვიათი ექსკურსანტები თუ ალწვედნენ ხოლმე და მის მონგრეულ გალავანს შიგნით მწვადის შეწვით გამოხატავდნენ ადგილისადმი პატივისცემას. კომუნისტთა შემდეგ კი გამოხდა ერთი ხანი და მონასტერი აღორძინდა. მოკეთდა გალავანი, განათდა საკურთხეველი და სენაკებშიაც აკიფდა ელექტრო-დენი. იმ ზაფხულისთვის, როდესაც ეს ამბავი დაიწყო, იქაურობა მოითვლიდა ოცდაექვს მოღვაწე ბერს, განთქმული კეთილმოებარ წინამძღვარსა და კიდევ უფრო განთქმულ შემწირველებს.

საზოგადოდ, ეს ამბავიც არ დაწყებულა მთლად ასე, რადგან ამბებს დასასრული კი მოეძებნებათ ხოლმე, მაგრამ დასაწყისისას დაჯერებით ვერავინ იტყვის რამეს.

ეს კი იყო, რომ როგორც ყოველივე ძალით დაიწყებულმა, ამ ამბავმაც გამოიღვიძა ვითომდა შემთხვევით და უხეშად, უბოდიშოდ ამოიზარდა ქვესკნელიდან.

ერთმა შემომწირველმა მონასტერს ხილი მოუკითხა, ათიოდე ყუთი ქიმიკატების გარეშე ნაზარდი ნამდვილი გლეხური ატამი და ბერი ფავსტოსი თავისი მორჩილების აღსრულებას შეუდგა: ჯერ მანქანიდან გადმოტირთა ყუთები და მერე მათ საკუჭნაოში გადაზიდვას შეუდგა.

არაფერი. ყველაფერი იგი, როგორც ყოველთვის. მოსაკითხი უცხო არ იყო ამ საკუჭნაოსთვის. ეს იყო მხოლოდ, რომ როგორც ადრე იცოდნენ, ყოველი საატმე ყუთის ფსკერზე ძველი გაზეთი გაეფინათ. ოდესღაც გაზეთს არავინ გადაადგებდა, აუცილებლად რისამე გასახვევად ან ქვეშ გასაფენად მოიხმარდნენ.

ეს ძალიან დიდი ხნის წინათ იყო. წყეული გაზეთები. წყეული ცივი ასოები. წყეული დაუნდობელი სათაურები.

ყოველთვის სადაც ეკვეტიებიან. გამუდმებით.

ვინღა კითხულობს გაზეთებს? ყველაფერი ტელეფონშია. ვინღა ინახავს იმ ნაყიდ გაზეთებს და რისთვის, ატემების ქვეშ გასაფენად?

გლეხების აუტანელი ჩვეულება. ყველაფერს ინახავენ. ყველანაირ ნაგავს.

ოცი წელიწადი იქნებოდა, ამ ბერს გაზეთი საერთოდ არ დაენახა. მანამდეც, სულ ხელში ეჭირა და ფურცლაგდომ, ვერავინ იტყოდა, მაგრამ, ჰა, დაინახა და იცნო ერთ-ერთი ყუთის ფსკერზე ჩაფენილი. გა-



ზეთი ოცდაშვიდი წლის წინანდელი იყო, ზედ დარჩენილი სათაური — დაუფინყარი.

ბერი ფავსტოსი მამის დამცემი იყო და გაზეთის ეს ნომერი მისი გვარ-სახელის მოუხსენიებლად აღწერდა მის საგმირო საქმეებს.

თითქოს არაფერი ისეთი. უკვე მოდიოდნენ, ნაძარცვი ჩანთები იყო. მომავალი ბერი შავი ნიღბით შებურვილი იდგა ბინის ვინრო დერეფნის კიდზე და საპირფარეშოს კარში ჩაცუქული სახლის პატრონისთვის მარჯვენა თვალში დაეღერებინა შემართული პისტოლეტი. ზუსტად ისე, როგორც ფილმებში ენახა.

მერე რაღაც უწესრიგობა და ფუსფუსი ატყდა, რაც ჩვეულებრივია ხოლმე წასვლის დროს და იმ ვინრო დერეფანში ჯერ ერთმა გაირბინა, მერე მეორემ და მესამემ კი ოდნავ ნაჰკრა ხელი იდაყვზე მომავალ ბერს. გავარდა. ზუსტად ისე, როგორც მისგან განაღმებებ ფილმებში.

გინებით გამოიქცენენ — არეული ხროვა, ყმულივით ხმები.

გვებ სიძველეთა ნაშხდარი შემგროვებელი სულაც არ იყო მის მიერ მოკლული პირველი ადამიანი.

იმ დროში ქალაქი გაჩვეული იყო ურთიერთსროლებს, ბრბოთა ორთაბრძოლებს და გვარბანი ხალხი ეხსმოდა ერთმანეთს, მაგრამ პირველად იყო, რომ გასროლამ ნახდინა. სისულელე, უბედურება. მხოლოდ იმიტომ, რომ მეგობარმა მხარი გაკრა, როცა დერეფანში გარბოდა ნაძარცვით სავსე ჩანთით ხელში.

შენ რაღა მოგვივინა, ხდება ხოლმეო, ამოვინებდნენ მეგობრები და აიძულებდნენ, არყისთვის ბრინჯიანი ქათმის ნაჭერი მიეყოლებინა ჩინურ რესტორან ლი მინში, სადაც ჩვეულებრივ დაიარებოდნენ ხოლმე ვახშმად.

იმ დღეს ხორცი შეიძულა, მაგრამ ბებერი სიძველეთა შემგროვებელი უარობდა არაყში ჩახრჩობას. ამას არც უკეთესი სასმელი შეელოდა, არც მისი უდიდებულესობა, დედა-დედოფალი ნამალი.

სათაურს რაღა დაავინყებდა: სამოცდაათორმეტი წლის კოლექციონერი თავში გასროლით მოკლეს და გაძარცვეს.

მამა ფავსტოსმა ნაქარვევად გამოიხურა საკუჭნაოს კარი და სატრაპეზოსკენ გასწვია, რათა წინამძღვრისთვის დარეკვის კურთხევა ეთხოვა და თავისი ყოფილი ცოლისთვის დაერეკა. ეს იყო ერთადერთი ადამიანი, ვისაც ურეკავდა ხოლმე.

ფიქრებმა ხომ ხტომა იციან, საზღვარი მაგათ არა აქვთ და სინდის-ნამუსი. ეპვე,

საით გააჭენა იმ რქებჩაგრეხილმა, პირდაპირ ატმის ყუთებიდან:

ერთ ბნელსა და უშეღავათო ღამეს ორი შეჭურვილი მხედარი თბილისის აეროპორტის ვიაიპი ზონის ასევე ბნელსა და ხალვათ ლაუნჯში იჯდა და ელოდა სტამბოლიდან მომქროლავი თვითმფრინავის მოლნევას, რათა საგანგებო მგზავრი წამოეყვანათ სასტუმროში.

აეროპორტის ხელმძღვანელობა ელექტრონერგისა ზოგავდა და რახან იმ ოქროს ათწლეულს განსაკუთრებული სტუმრები იშვიათად მოჰყვებოდნენ ხოლმე თვითმფრინავებს, ვიაიპი ზონის ლაუნჯში სინათლეს მხოლოდ თვითმფრინავის დაჯდომამდე ხუთი წუთით ადრე რთავდნენ.



მხედრებს ეგ ამბავი არ ანალვებდათ, სიბნელეს ყველა შეჩვეული იყო. კაცის წუნუნი ვის გაუგონია? ბარმენმა მათ აუნთო ორი კარგი სანთელი და ბარის ხარჯზე მოუძღვნა ერთი კოლოფი ქემელისა და ბოთლა ჯეკ მოლსონის ვისკისა, რადგან მხედარნი არასოდეს იხდიან ასეთ დროს, ზუსტად ისე, როგორც კინობშია. განსაკუთრებით, როცა არ მოიბენ.

წვეროსანმა მხედარმა ბოთლს ხელი მოავლო და გახსნა.

„არ დალიო ეგ შხამი,“ — უთხრა გაუპარსავმა მხედარმა.

„შხამი?“ — წვეროსანმა მხედარმა ბოთლი დაყნოსა, — „კაია, რა გინდა.“

„ე,“ — დაიძახა გაუპარსავმა, — „ეს ნაილე, მოაშორე აქედან და ნამდვილი მოგვიტანე. შოტლანდიური მოგვიტანე. იაფად ნუ გამოდიხარ...“

ბარმენი არყის ბოთლით ხელში მოვარდა.

„მეტი არ გვაქ არაფერი. მე ვიფიქრე, ვისი უფრო გესიამოვნებოდათ...“

„თუ ძმა ხარ. აი, ძან მაგრა ვიცი, რაც იფიქრე,“ — მიუგო გაუპარსავმა, — „გემი იცი, გემი? გემია რა, ჰქვია ფერენ ჯოზეფ მირილია. შავ ზღვაში დაცურავს, რა. გემი რა, დაცურავს,“ — ხელი მიახმარა ამბავს, — „აი, თევი რო დაცურავს იმ კინოში და თან მუსიკა როა, გინახია? კაროჩე, დაცურავს, რა და მაგ გემზე ასხამენ ამ შხამს. ნამყოფი ვარ მაგ გემზე. დაჟე, გამოიცილებია ამის პარტიები. ხოდა, მაგ გემი ვისიცაა, იქ რო ვიყავი, სულ სხვა ვისკებს გვასმევდა... ნამდვილებს. პატივს გვცემდა, რა.“

ჯეკ მოლსონი სახელგანთქმული ვისკი იყო, რომელსაც ხდიდნენ სიერა ლეონეს დროში მცურავ ბულგარულ გემზე, რომელსაც ლიბანელი ვისკის მხედლები უძღვებოდნენ. გემი შავ ზღვაში დაცურავდა და ტერიტორიული წყლების სრული პატივისცემით ერიდებოდა ნავსადგურებს, თუმცა კი შვიდი ქვეყნის მსმელებისკენ გზები კარგად იცოდა. ჯეკ მოლსონის შვიდას ორმოცდაათგარამიანი ბოთლი თბილისის ყველა კუთხის მალაზიაში იყიდებოდა ერთ დოლარად და ოცდასამ ცენტად.

„კაროჩე, მე არაყს დავლევ,“ — თქვა გაუპარსავმა, — „რამე მისაყოლებელი მოიტანე...“

წვეროსანი კვლავ ვისკის ბოთლს ათვალთვლებდა სანთლის შუქზე.

„ყველგან უცხოურად აწერია,“ — თქვა ბოლოს.

გაუპარსავმა გაიცინა.

„გაიგე, ტო, არაყი ყოველთვის უფრო სანდოა ესეთ პონტებში, იმიტომ, რო არაყია.“

„არაყიც წამლავს ხალხს. კვდება ხალხი. სულ მაგეებს ამბობენ, არაყმა მონამლაო,“ — არ დაეთანხმა წვეროსანი, — „ჩემმა მეზობელმა მალაზიაში იყიდა, დალია და მოკვდა. ჭაჭა არ წამლავს.“

„შენი მეზობელი და კიდევ სოფლის ამბები,“ — ხელი აიქნია გაუპარსავმა და ალიცლიცებული სანთლის დამშვიდებას დაელოდა, — „კაროჩე, შენი თავი ხო ჩამაბარა გიგია? ჩამაბარა, ხო? მიხედო. აზრზე მოიყვანეო. ხოდა, კაროჩე, აი, ყალბი აბსოლუტი ყოველთვის უფრო სანდოა, ვიდრე, კაროჩე, ეგ რაღაცა ვისკი. მაინც არ-



აყია. კაროჩე, ყალბი აბსოლუტი ბევრ ნამდვილ სასმელს ჯობია.“

„სიმყრალე აქ არაყს რაღაცა, რო სუნთქავ,“ — წვეროსანი კვლავ ბოთლს ყნოსავდა, — „პატივცემულ კაცს რო ვხვდებით, მანქანაში მერე არყის სუნი რო ავიგა... მე მრცხვენია ხოლმე არყის სუნი. ზამთარში ფანჯრები ამოწეულია. ის კაცი რას იფიქრებს.“

„დაიკიდე. მიატნი ყუფაქა მაქ. ვიცი, რა და როგორ,“ — გაუპარსავმა პატარა კოლოფი წაადგო მაგიდაზე, — „და ვაფშე, ზოგჯერ ჯობია, არყის და ვისკის სუნი აგდიოდეს. დაპუნსიმ, გირეკავენ, რო, აბა, დავაი, ჩქარა ხელმძღვანელობასთან, შენ კიდევ მაგარი დაბოლილი ხარ, ან გაიკეთე. ხელმძღვანელობას რას გამოაპარებ ნითელ თვალებს. თან მაგრა არ ევასება ეგეთი რამეები. ერთი-ორი ყლუპი არაყი უნდა დალიო და მერე კრუგომ ყველას ასუნთქო, რო აი, კაროჩე, ნასვამი ვარ.“

„ეგ პრიოში ვიცი,“ — გაელიმა წვეროსანს.

„რამე მისაყოლებელი მოგვიტანე, მიუყოლებლად ვერ ვსვამ,“ — დაუძახა გაუპარსავმა ბარმენს და არაყი დაასხა შამპანურის ჭიქებში, — „და ნორმალური ჭიქები მოიტანე. მეჯავრება ეს ქალების ჭიქები.“

„შენ იცნობ მაგას?“

„ვის?“ — გაუპარსავმა მხედარმა გადაჰკრა და ისეთი ხვნეშა ამოაყოლა, რომ სანთლები დააქრო, — „მისაყოლებელი...“

ბარმენმა ყველი და მუჟავე კიტრი მოარბენინა თეფშით.

„ვისაც ველოდებით.“

„ერთხელ მინახია. დიდი პიროვნებაა. ჩერესჩურ ძლიერია,“ — და ისევ დაასხა,

— „მიდი, მწილი ჭამე, გონებას წმინდავს.“

„და რატო ეძახიან ანგლიას?“ — წვეროსანის შეკითხვა იდუმალბით იყო სავსე.

„იმიტო, რო... კაროჩე, ეგეთ პონტში აცვიოა. ეცვაო, რა, კაროჩე. ზმანი ტიპიაო, რა. და ვაფშე იქ ცხოვრობდა, ინგლისში, რა. ეგრე ვიცი...“

„კომუნისტების დროს ინგლისში როგორ ცხოვრობდა?“

„იმიტო, რო მაგარია. არ ვიცი, როგორ ცხოვრობდა, მარა გამიგია, რო ცხოვრობდა. ეხლაც მანდ ცხოვრობს,“ — გაუპარსავმა ჭიქა აიღო და წვეროსანის ჭიქას მიუჭახუნა, — „მომსმინე, ძმაო, ვაშინგტონა, შე ცხრა ნომერო გლეხო, მაგარ პატივს ვცემ შენ ვაჟუაცობას და ძმობას... იმენა, ბოლომდე. მოდი, ანგლიას გაუმარჯოს და სხვა მაგარ ტიპებს. დიდ ადამიანებს, რა, კაროჩე.“



### შალვა საბაშვილი

„ჩვენი“; „ტყეები“; „ველ-მინდვრები“;  
„ზღვები“; „ჰაერი“...  
შენყვიტეთ — ისევ უცხოა და გაუგებარი.

„დილას, სალამოს, შუადღისით, შუალამისას“...  
„ტბები, მდინარე, ნაკადული“... არ ესმით.  
ვერც ხსნით;  
„ვხნავდით, ვთესავდით,  
არ გვინდოდა კარგვა ნამისაც“,  
„ვნერდით, ვმღეროდით, ვირთვებოდით  
ოქროთი, ვერცხლით“.

„გვიყვარდა ძალზე ზეცის თალი აისის შუქზე“;  
„წვიმები, თოვლი, ზოგჯერ სეტყვაც,  
რთვილი თუ ცვარი“;  
„სიო, ნიავი, ქარიშხალი“ — ამაოდ უქცევთ —  
მათთვის ეს ყველა ცარიელი სიმბოლო არი.

„ყველა დრო გვიყვარს,  
გაზაფხულის ყიფინით ვთვრებით“,  
მაგრამ არ ცნობენ იქ სეზონებს. არც ესმით შენი;  
„წარმტაცი არის სიჭაბუკე განსაკუთრებით“ —  
მანაც უყვები მშობლიური პლანეტის ენით.

ო, აშკარაა, მათთვის ეს ცა უცხო ჩიხია,  
ჩვენ აღვიზარდეთ ამ თოვლებით, თავსხმით, თქემებით  
და მსგავსს ვერაფერს ვერასოდეს ვერსად იხილავთ,  
როდესაც ზეცის ღრმა მორევში გადავშვებით.

თქვენ, ვისი ხსოვნაც სახე არის მთებით, კორდებით,  
ტკბილ ღამეებით (როს ძალღებამაც დიდხანს იყევებს),  
ვარსკვლავმფრენებით  
ჩვენს პლანეტას რომ დაშორდებით,  
ნუთუ გგონიათ, რომ ყველაფერს იქ გაგიგებენ?

ერთი სახლია ჩვენი სფერო, ზღვა — ხმელი ცამდე,  
ბუდეა ჩვენი; მისი მსგავსი სხვაც სუფევს განა?  
ო, გიხაროდეთ, ო, გიყვარდეთ, გახსოვდეთ, გნამდეთ  
ეს დედამინა — ჩვენი დიდი ბავშვობის ხანა...

### ბრწყინვა სხვაგვარის

რასაც ჩაიდენ, ელვის უმალ გადამრავლება  
იმდენ ნიმუშად, ეგზემპლარად, სახედ და ცალად,  
რამდენის თვალის დაინახავს ამ შენს საქციელს,  
რამდენის ყურიც მას მოისმენს და გული იგრძნობს,  
რამდენ გონების ყრუ დუმილსაც შეარხევს იგი,  
რამდენ სულთანაც ის მოხვდება შესაფასებლად;  
ის, რასაც შენ იქმ, შეიძლება, შენ გაღვლეხვდეს  
ყველაზე ნაკლებ — ქვეყანაზე მსუფვეთა შორის,  
შენ შეიძლება ბოლოც იყო იმ დარტყმის ძალით,  
რასაც მოახდენს იგი მათზე, ვინც მას შეამჩნევს;  
ქვეყნად ურიცხვი ვინმე სუფევს, ვისთვისაც არის  
შენი ქმედება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი,  
რომელშიც იგი იმედოვნებს თავისი ყოფნის  
გამართლების და ძირეული საზრისის პოვნას.  
ამიტომ, რასაც შენ ჩაიხიარ, ყოველთვის უნდა  
იყოს იმგვარად ნაგრძნობი და გააზრებული,  
რომ ყველასათვის, ყოველგან და მუდამ გამოდგეს  
შენი არსების ძალიან ზუსტ განსახოვნებად.  
ერთი შეხედვით შენ დარჩები იმად, რაცა ხარ,  
რაგინდ დათმობით შეეგებო ყოფის სიმდაბლეს,  
მაგრამ ყოველთვის მოიძებნოს ეგება ვინმე,  
ვინც მეტს დაკარგავს, შენ შეიძენ ვიდრე ამ თმობით.  
შენ შეიძლება, ვერც შეგცვალოს მცირედმა ლაქამ,  
მაგრამ იმ ლაქამ დაუკნინოს მზის ბრწყინვა მრავალს,  
იყავ ფაქიზი და იმ სხეებზე მარად მზრუნავი,  
გახსოვდეს — შენზე უფრო მეტად სხეებისთვის ნათობ,  
მცირედი ტკენაც, გამოწვევა, რომლისაც ძალუძს  
შენს რალაც ნაბიჯს,

მჭვრეტელთ რიცხვზე გადამრავლებით  
გადაიქცევა უზარმაზარ, კაშკაშა რიცხვად,  
და მის ატანას ველარ შეძლებს ცალ-ცალკე ვერვინ,  
რადგანაც ამ რიცხვს შეუძლია, დაატყდეს ყველას,  
მას, გამრავლებულს, შეუძლია, თვით შენც მოგანყდეს  
და მაშინ უკვე მის ატანას ვერ შეძლებ ვერც შენ,  
ის შეიძლება, გადაიქცეს ზევაად, რომელიც  
გადასრესას და სრულად დანთქმას უქადის ყველას,  
ამიტომ იგი უნდა ჩაჰკლა ჩანასახშივე,  
არ უნდა მისცე თუნდაც დაძვრის საშუალება,  
არ ჩაიხიარ, რაც ჩადენის არაა ღირსი,  
არ ჰქმნა არარა, რაც შენს სულს არ ესატყვისება,  
შენ არაფერი არ გჭირდება იმაზე მეტად,  
ვიდრე შენთვის, და უფრო მეტად — დანარჩენათვის,  
შენი საწყისი ელვარება შეინარჩუნო...

### მოლოდინი

რა მათრობელი არის ლოდინი! —  
ლოდინის მიზეზს დაგიჩრდილავს ლოდინის გრძნობა,  
ბურუსი უხვი, სიცხადე კი მცირეოდენი:  
მოვა? რანაირს მოიტანს ნობათს?

დადგეს ის წამი — უცებ გწყურდება,  
დაგატკობს ხიბლი? წარგიტაცებს? ეჭვით ევენები?  
რა სახეები და ფერები ამზურდება,  
რა სიღრმეები, რა ჭავლები, რა შადრევნები?

ცხადია, მოვა. და რაც მოხდება,  
იქნება: ერთი. ბოლო. მკვეთრი და გარკვეული,  
მაგრამ არ უყვარს სულს სიცხადე. ის ამბობდება,  
გაურკვეველობის მას იზიდავს ძალა გრძნეული.

ერთია, ერთი სინამდვილე! ერთი მცირეა,  
ერთს ვერც გარდაქმნი,  
ვერც დაშლი და ვერც ვერას უზამ,  
ერთია, ურიცხვ შესაძლოდან გარს რაც ირევა,  
ვინ მოიხმოს ის? შემოქმედმა? ცხოვრებამ? მუზამ?

და შენც ყოველი წამის მოსვლას უთმენლად ელი,  
და აქვთ უთვალავ ფიქრებს ცილობა:  
ექნება იმ წამს ჯერჯერობით მიუკვლეველი  
როგორი სახე, სიღრმე, ძალა, შეფერილობა?

დრო კი მიშხუის. ჩაიქროლებს წამთა ჯოგი და  
ამ კითხვებს პასუხს გასცემს მხოლოდ ის,  
მაგრამ სანაცვლოდ ისევ მოგიტანს  
მომავლისათვის ახალ უშქარ ფიქრს და მოლოდინს.

### ოდესმე, როცა

ოდესმე, როცა მოვლენ დრონი, მძაფრნი და შმაგნი,  
სულის ძახილით ან შორეულ მზეთა მიწვევით,  
გაუსხლტებიან ლურჯ პლანეტას — საოცარ მაგნიტს  
და შორეულ ცას ეწვევიან დედამინელნი.

სადმე, ჯუნგლებში შუქთა წლების და პარსეკების,  
ხშირად მოგვგვარა რომელთა ჭვრეტამ გაოცებანი,  
ცის ბინადრებთან, ჩვენს შორეულ ძმებთან ეგების  
მოხდეს შეხვედრა, ათასწლობით ნაოცნებარი.

ხომ იქნებოდა აზვირთება გონების ძალთა!  
ხომ მოსკდებოდათ თვალებიდან ცრემლების თქემი!  
ხომ გათბებოდნენ იმ შორეულ ვარსკვლავის ალთან,  
როს მზე წერტილად იბრწყინებდა გავილი სივრცეში?

რას, რას ეტყოდით იმ შორეულ მხარეთა მკვიდრებს,  
პირველშეხვედრის სრულ სიხარულს როცა იგემებთ?  
„ქვეყანა“, „მხარე“, „კონტინენტი“ —  
მოასწრებთ ვიდრე  
ამ სიტყვების თქმას — უმალ ხვდებით: ვერ გაგიგებენ!

„მრავალი წლის წინ“; „ჩვენი ფიქრი“; „ყოველი ხალხი“;  
„ვაკვირდებოდით“, „მივალნიეთ“, „ზედაპირს მთვარის“,  
„ხანდახან“; „მარსზე“; „ზოგიერთი“;  
„ამჩნევდა“; „არხებს“...  
ამბობთ და ხვდებით — ყველა სიტყვა ქარაგმა არი.

სულ სხვა ცა ბრწყინავს, რა იმედი სულს გადაეცეს?  
არც დიდი დათვი, არც პერსევსი და არც პეგასი,  
მზეს, იუპიტერს, სატურნს და მარსს ვინლა დაეძებს —  
არ ძალგით პოვნა სირიუსის, ლურჯი ვეგასი.

აბა, აღწერეთ: ვინ ხართ, რა ხართ, ან რანაირი,  
რას აკეთებდით, ან რაგვარი ფიქრი გებარათ;

### ჩვენ მივდიოდით

ჩვენ მივდიოდით... საღამო თრთოდა,  
ხეთა ფოთლები ჩრდილებს ტოვებდა,  
რას კითხულობდა შრიალი შტოთა,  
ან თავის პასუხს სადღა ჰპოვებდა?

ათასი მთვარე ბრწყინავდა ცაზე  
და ჩრდილ-სინათლის ვგრძნობდი შერევას:  
შენს თვალეში ხომ უტკებეს, უნაზესს  
სითბო არ ახლდა მშვენიერებას!

ჩვენ მივდიოდით, საღამო თრთოდა,  
ხეთა ფოთლები ჩრდილებს ტოვებდა,  
რას კითხულობდა შრიალი შტოთა,  
ან თავის პასუხს რაში ჰპოვებდა?

შემდეგ ჩრდილები გაჰქრნენ, რულიან  
ლამეს რიყრაჟი გადაათოვეს,  
მაგრამ არ გაჰქრა ჯერაც სრულიად  
ჩრდილი, ჩემს გულში შენ რომ დატოვე.

ჩვენ მივდიოდით, საღამო თრთოდა,  
ხეთა ფოთლები ჩრდილებს ტოვებდა,  
რას კითხულობდა შრიალი შტოთა,  
ან თავის პასუხს რად არ ჰპოვებდა?

### სიგარეტი

მე ხელში მიკავია პატარა სიგარეტი,  
მძიმე, ვით მოდელი მთელი სამყაროსი,  
არის იქ პოლუსები, გრძედი თუ სიგანედი,  
ოტელოს ეჭვი თუ რისხვა ავგაროზის.

ინგრევა იდეები, ინგრევა მატერია,  
აზრები უაზრობის მსხვერპლად იწირება,  
ხოლო დრო სიგიჟემდე შავი კრატერია,  
რომელშიც ყოველი ფიქრი იძირება.

ცათა ჩანაფიქრი მებს ელენინება,  
დღეები ასწრებენ ერთურთს დამოკლებას,  
და რა ვქნა, თუ ძალიან, ძალიან მეციხნება,  
როდესაც სიმართლის უნდათ ამოკრება?

და ვიცი: რომ ამოსწვან ცეცხლმა და შანთებმა  
ყოველი, მე გულთან რასაც ვიკარებდი,  
და მთელი სამყაროც — არარა დავავედბა —  
ყველაფერს შეინახავს ერთი სიგარეტი...

### აპოე

არწივს გაეშლება ფრთები.  
ფრენა მოსწყურდება ისევ,  
ჩამომწკრივდება მთებით,  
სადღაც გაჰყვებიან ნისლებს.

შფოთვა დაეტყობა ღრუბელს,  
მინა კიდობანებს დაფლავს,  
ზეცა გადაიხსნის უბეს,  
თქმებს დაატეხავს დაბლა.

სადღაც ხმა შეწყდება ლხენის,  
მტკვარი აღარ ივლის მდორედ,  
ყალყზე დადგებიან ხენი,  
სწრაფად გახედავენ შორეთს.

ქარი გაიჭრება ველად,  
სიოს დაეტყობა თრთოლა,  
ყრწოლა დაემჩნევა ყველას,  
ყველას მოსწყურდება ქროლა.

მე კი ოცნებათა მიზეზს  
გნახავ მოლურჯო ტბის პირად  
და გულს გადაგიხსნი ისე,  
თითქოს გადამეხსნას ხშირად.

არწივს გაეშლება ფრთები.  
ფრენა მოსწყურდება ისევე,  
ჩამომწკრივდება მთები,  
სადღაც გაჰყვებიან ნისლებს...

ყოველადი მიტომ არსებობს ნება, ყოველ ცალკეულს  
დროზე ახშობდეს,  
არ შეიძლება, ვილაცა სივრცეს დაუსრულებლად  
დიდხანს ახსოვდეს.

სწორედ ამიტომ უგზობაში იძირვის ყველა  
ნაბიჯთა კრება,  
სწორედ ამიტომ ბოლოს და ბოლოს ყველა  
ხანგრძლივი კოცონი ქრება.

შენ, ოცნებებით მოტყუებულო რომანტიკოსო,  
გავიდა ხანი,  
შენ თუ სხვებს თვითონ არ მიატოვებ, სულ-  
ერთი არის, ნაგივლენ სხვანი!

რალაც საოცრად მოულოდნელად ძირს  
მწვერვლიდან ნისლი ეშვება,  
ყველაფრის ბოლო ოდესღაც სადღაც გადანყვებილი  
შენს გარეშეა.

ბევრს, ო, ბევრს, მაგრამ არა ყველაფერს ჩასწვდება  
შენი გრძელი ძიებით,  
აქაურ წესრიგს მართავენ მარად ამოუცნობი  
კონსტრუქციები...

სულ სხვა მეფეთა ზვიადი მზერა აშტერდებოდა  
ამაყ დედოფლებს,  
ამ ქალაქების შემოგარენშიც სხვა ლეგიონნი  
ბანაკდებოდნენ.

ო, სანეტარო ბგერათა გუნდნი იბადებიან  
კენარ არფაზე,  
მაგრამ ეს მზერა სხვა ეპოქათა დუმილით  
მოცულს ეტრფის დარბაზებს.

არის ხანათა გაჯერება და ფიქრთა საცავის  
სრულად ავსება,  
ერთი ლანდშაფტის მკვიდრი მეორეს  
ველარასოდეს შეეთავსება.

და ის, ვინც პარტერს შეესისხლხორცა, ვერ  
მიაკითხავს უკვე იარუსს,  
თუნდ მინა დასკდეს, წარღვნა მოვარდეს ან  
ქარიშხალმა გადაიაროს!

დაე, მოზავადეს მოვლენათ წყება, მე არ გავიგებ,  
მაცნეა ეს რის,  
სული, ოდესღაც ლალად ნაგები, არ მიიკარებს  
სხვანაირ წესრიგს.

და მე ყოველთვის მომიტანს სურნელს წვიმის  
ჩქერი თუ კდმა სიოთა  
იმ ეპოქების, როცა ხიდებზე სხვა ქარავანი  
გადადიოდა...

სიჭაბუკე

მინა მოკენჭილიყო  
უთვლელ ფერად ქვებად,  
მაშინდელი სამყარო  
საოცრებამ ჰკვება.  
ბილიკს მოუყვებოდა  
მბრწყინავ ფიქრთა მწკრივი,  
თენდებოდა დღეები  
სასწაულებრივი.  
მეხვეოდნენ სახენი  
ურიცხვ მკურნალებად,  
მეფრქვეოდა აგვისტოს  
ლალი მხურვალეობა.  
გენამდა - მუდამ ვიბორგებთ,  
არცროს მივილევით,  
სოფლის რიყეს ეფინა  
ხშირი გვირილები.  
უსაზღვრობის გვეჯეროდა,  
როს ვხვდებოდით ცისკრებს,  
მთა ველს გადმოსცქეროდა,  
ველი სჭვრეტდა მთისკენ.  
ფიქრებს, წარმტაც—მზიურებს  
არრა ამძიმებდა,  
მზერა მეტოქეობდა  
უცნობ მანძილებთან.  
შორს ვარსკვლავი მოჩანდა  
სულის სანათობლად,  
რწმენა, აღზევებული,  
დროსთან კამათობდა.

ზღვის ეტიუდი

მორეცხა ტალღამ  
ნაპირი შფოთით,  
სადღაც კატარღა  
სწორი სვლით მოდის.

მოელტვის ნაპირს  
და ელის ნიშანს...  
მომსკდარი ქაფი  
ერევა ქვიშას.

ყალყზე შემდგარი  
ტალღის შხეფები  
იმსხვრევა ჩქარი  
დაჯახებებით.

და როცა მაინც  
აღწევს ბოლომდის,  
მე მასში ვხედავ  
ფარულ მოლოდინს.

მორეცხა ტალღამ  
ნაპირი შფოთით,  
ახლა კატარღა  
პირდაპირ მოდის...

ქრობადი კოცონები

ისევ გრძელდება ბუნების სუნთქვა, კვლავ მზე  
მზეობს და მთვარე მთვარეობს,  
რამდენი ბედი ამ ერთი ცის ქვეშ პარალელურად  
მიმდინარეობს!

და მეც მივდივარ, ხან ვინმე მკილავს, მერე —  
დუმილი, შემდეგ ქება მდევს,  
ერთი და იმავე გზებით აღწევენ სულ  
განსხვავებულ შედეგებამდე.

შენ მოგპოვებ

დაიმახსოვრე ფიქრი,  
დაიმახსოვრე ცა,  
დაიმახსოვრე ნისლი,  
დაიმახსოვრე გზა!  
დაიმახსოვრე მდელი,  
ზვინად დადგმული ბზე,  
დაიმახსოვრე ველი,  
დაიმახსოვრე მზე!  
დაიმახსოვრე სახლი,  
უკვდავ ჰანგად რომ ჟღერს,  
დაიმახსოვრე ახლის  
მაუწყებელი დღე!  
დაიმახსოვრე მგზნები,  
დაიმახსოვრე ყრუ,  
დაიმახსოვრე გზების  
გადამკვეთავი რუ!  
დაიმახსოვრე სული,  
დადევენებული დარდს,  
დაიმახსოვრე გული,  
დაიმახსოვრე ყდა!  
დაიმახსოვრე მონა,  
მბრძანებელი თუ ტყვე,  
დაიმახსოვრე ფრთონა,  
ლურჯ შეგრძნებათა ტყე!  
დაიმახსოვრე წამი  
და რასაც იტევს ის,  
თრთოლვა ყოველი ჩქამის,  
ფერი ყოველი ხმის.  
სად რა ამბები თოვებს,  
რა გადაიქცა რად...  
ხანი გაივლის, ყოველს  
შენ მოგპოვებ მთლად!

სხვა ქარავანი

რა გასაოცრად შეცვლილა მხარე, უცხო სურნელი  
მოდის სიოთა,  
მე კარგად მახსოვს, მაშინ ამ ხიდზე სხვა  
ქარავანი გადადიოდა.

ცა ღამით

ჩემს სარკმლებს იქით  
ყოველღამ არის  
სრული ზეიმი  
ცათა კამარის.

თითქოს სასახლე  
იყოს მეფისა,  
მოჩანს ჭალები  
ვარსკვლავებისა.

ო, ჩემში ხსოვნა  
ყოველღამ არის  
გვირგვინოსანი  
მეფის თამარის.

როცა ღამეა,  
სივრცეს ვედები  
და სარკმელთაგან  
შორს ვიხედები.

სადღაც სიჩუმე  
არის სამარის,  
მაგრამ მე ვფიქრობ  
კოშკზე თამარის.

და მაინცდება  
ტვირთი მიწების  
და რომ ერთხელ მეც  
გადავიწვები.

ჩემს სარკმელს მიღმა  
ყოველღამ არის  
სრული ზეიმი  
ციურ კამარის.





მაჰმუდ დარვიში

ბაიროთი

ვაშლი ზღვისა, მარმარილოს ნარგვიზი, ქვის პეპელა — ბეირუთი; სულის ფორმა სარკეში, პირველი ქალის აღწერა და ღრუბელთა სურნელი. ბეირუთი დაქანცულობისა და ოქროსი, ანდალუსია და შამი — არაბთა ჩრდილოეთი ვერცხლი და ნაღები, დედამიწის მცნებანი მტრედის ფრთაზე. სუმბულის სიკვდილი, ჩემსა და ჩემს შეყვარებულს შუა ვარსკვლავის ხეტიალი — ბეირუთი. არ მომისმენია უნინ ჩემი სისხლისათვის, რომელიც მეტყველებს იმ შეყვარებულ გოგონას სახელით, ჩემს სისხლზე რომ სძინავს და... სძინავს...

ზღვაზე დაშვებული წვიმისაგან ვიპოვეთ სახელი, შემოდგომის გემოსგან და სამხრეთიდან მომავალი ორის ფორთოხლიდან, თითქოს ჩვენ ვიყავით ჩვენი წინაპრები, ბეირუთში რომ ჩამოვედით იმისათვის, რათა ბეირუთში ჩამოვსულიყავით. წვიმისგან ავაგეთ ჩვენი ქოხი და ქარისაგან, რომელიც არ დაქრის და არც ჩვენ დავეკრით. ქარი თითქოს ლურსმანია თიხაზე, თხრის ჩვენს თავშესაფარს და პატარა თავშესაფარში გვძინავს, როგორც ჭიანჭველებს, ისე, თითქოს ექსტაზში ვმღეროდეთ:

ბეირუთი ჩვენი კარავია, ბეირუთი ჩვენი ვარსკვლავია.

ტყვეები ვართ ჩვენ ამ სიძაბუნის დროში, ჩვენმა დამპყრობლებმა ჩვენს ოჯახებს გადაგვცეს, და სანამ ჩვენ ლამის მიწა გვეჭამა, ჩვენი მეურვე მანამდე ამოიწურა ქორნილებსა და მოგონებაზე და მცველებს დაეურთა ჩვენი სიმღერები სამეფო ტახტის ხელმწიფიდან გვამის ხელმწიფემდე. ტყვეები ვართ ჩვენ ამ სიძაბუნის დროში. საბოლოო მსგავსებას მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს სისხლთან ნავაწყვით. და არსად ნავწყდომივართ იმას, რაც ხელმწიფეებს სახალხოდ აქცევდა, და არსად ნავწყდომივართ იმას, რაც პატიმრობას აქცევს სიყვარულად, და არსად ნავწყდომივართ რამეს, რაც ჩვენს ვინაობაზე მიუთითებდა, გარდა ჩვენი სისხლისა, რომელიც კედლებად იმართება. ჩვენ ვგალობთ ექსტაზში:

ბეირუთი ჩვენი კარავია, ბეირუთი ჩვენი ვარსკვლავია.

და ფანჯარა ზღვის ტყვიანზე გამოდის. ყველას გვიპარავს ჩვენ ქუჩა და მუჟამშაჰი. ბეირუთი კი ჩრდილის ფორმისაა, მასზე დანერგილ ლექსებზე მშვენიერი და ხალხის სიტყვებზე უზურალოვესი. გვაცდუნებს ათასი ღია დასაწყისითა და ახალი ანბანებით.

ბეირუთი ჩვენი ერთადერთი კარავია, ბეირუთი ჩვენი ერთადერთი ვარსკვლავია.

განა მის დაბლობებს იმიტომ გავეკარით, რათა ტანები დაგვეტოლებინა ტანებისთვის, რაც ზღვამ ნაშალა. ბეირუთში ჩვენი თავდაპირველი სახელებიდან ჩამოვედით,

მაჰმუდ დარვიში — XX საუკუნის გამოჩენილი არაბი პოეტი — დაიბადა 1941 წლის 13 მარტს, პალესტინაში, გალილიის სამხრეთით მდებარე პატარა სოფელ ალ-ბირვაში, აქას სანაპიროზე. 1948 წელს მისი ოჯახი, სხვა პალესტინელი არაბი ლტოლვილების მხარდამხარ, იძულებული გახდა, ლიბანში გადასახლებულიყო, თუმცა ერთი წლის შემდეგ დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს, რომელიც დანგრეული დახვდა, მის ადგილას კი ებრაული დასახლება გაეშენებინათ. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ განეწიანდა პალესტინის სოციალისტურ პარტიაში და მუშაობდა ურნალისტად პარტიულ პრესაში. პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობის გამო იყო მეთვალყურეობის ქვეშ და მუდმივად ხდებოდა იძულებული, შეეცვალა საცხოვრებელი მისამართი. 1972 წელს ჩამოვიდა მაშინდელ საბჭოთა კავშირში და რამდენიმე წელს სწავლობდა მოსკოვის ლომონოსოვის უნივერსიტეტში, ფილოსოფიის ფაკულტეტზე — მოსკოვიდან ლტოლვილის სტატუსით დაბრუნდა ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში, იქიდან კი მალევე გადავიდა ლიბანში. ლექსების წერა ადრეული ასაკიდან დაიწყო. ითვლება ერთ-ერთ უკანასკნელ დიდ არაბ პოეტად. გარდაიცვალა 2008 წლის 9 აგვისტოს — ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ კლინიკაში.

ის სამხრეთის დასასრულთაგან გადავჩხრიკეთ და გულის ძარღვებიდან. დადნა გული, დადნა... და განა მის ნანგრევებს იმიტომ გადავემხეთ, რომ ჩრდილები ბორკილების სიმაღლით აგვეწონა? დადნა ჩრდილი, დადნა... დაიმსხვრა და მიმოიბნა... და დაგრძელდა ჩრდილი, დაგრძელდა, რათა გამოაშკარავებულიყო ხე, რომელიც გამოაშკარავდა იმიტომ, რომ ჩვენ ქეჩოთი გამოვეყვანეთ, უმიზეზოდ მოკლულთა აკიდოდ. და მოვედით უქვეყნო ქვეყნიდან, და მოვედით ალ-ფუსჰას<sup>2</sup> ხელიდან და დაქანცულობიდან. დაიქცეს ეს მიწა, რომელიც ემირის სასახლიდან ჩვენს საკნებამდე გადაჭიმულა. და ჩვენი თავდაპირველი ოცნებებიდან შეშამდე. მოგვეცით ჩვენ ერთადერთი კედელი, რათა დავიყვიროთ: ბეირუთო! მოგვეცით კედელი, რათა დავინახოთ ჰორიზონტი და ფანჯარა ცეცხლის ალებიდან, მოგვეცით კედელი, რათა მასზე სოდომი ჩამოვკიდოთ, რომელიც ოც სამეფოდ დაიყო, რათა გაეყიდა ნავთი და არაბი. მოგვეცით ერთი კედელი, რათა ნახევარკუნძულს<sup>3</sup> გადავძახოთ:

ბეირუთი ჩვენი უკანასკნელი კარავია, ბეირუთი ჩვენი უკანასკნელი ვარსკვლავია.

ბეირუთი ჩვენი უკანასკნელი კარავია, ბეირუთი ჩვენი უკანასკნელი ვარსკვლავია.

ბეირუთი ჩვენი უკანასკნელი კარავია, ბეირუთი ჩვენი უკანასკნელი ვარსკვლავია.

ბეირუთო, სად არის გზა კორდოვის სარკმელთაკენ? მე ორჯერ არ მივდივარ ემიგრაციაში. მეორეჯერ არ შემიყვარდები და ზღვაში არაფერს ვხედავ, გარდა ზღვისა. მაგრამ ჩემი ოცნებების გარშემო დავფრინავ და დედამიწას ვეძახი თავისქალას ჩემი დაქანცული სულისათვის. და მინდა ვიარო იმისთვის, რომ ვიარო და შემდეგ გზაზე, სადმე, კორდოვის ფანჯრებთან დავეცე.

ბეირუთი მოწმეა ჩემი გულის და მივემგზავრები მისი ქუჩებიდან და ჩემგან, იმ კასიდაზე<sup>4</sup> მოჭიდებული, რომელიც არ მთავრდება. და ვამბობ: არ კედება ჩემი ცეცხლი! ნაგებობებზე მტრედია, მათ ნაშთებზე — მშვიდობა. ქალაქს ვგრაგნი, სწორედ ისევე, როგორც ვგრაგნი უსტარს და თან მიმაქვს პატარა დედამიწა, როგორც ღრუბლის პარკი. ვფხიზლდები და ვეძებ ჩემს ტანსაცმელში ჩემს გვამს ჩემ მაგივრად. და ვიცი, ჩვენ ისევ სიცოცხლის განკარგულებაში ვართ და დანარჩენი მმართველებისა. მაღლობა გახეთს, რომელსაც არ უთქვამს, რომ მე აქ შემთხვევით ჩამოვვარდი. ვხსნი პატარ-პატარა გზებს სუნთქვისათვის, ჩემი ნაბიჯებისა და ჩემი გამვლელი მეგობრებისათვის. ბინძური პურის გამყიდველისა და ზღვის ახალი სურათისთვის. მაღლობა ნისლიან ბეირუთს, მაღლობა დანგრეულ ბეირუთს, დაიმსხვრა ჩემი სული და ვისვრი ჩემს გვამს, რათა დაპყრობები ისევ დამემართოს. და დამპყრობლებმა კასიდას გადამცენ. თან მიმაქვს ღრუბელივით დამყოლი ენა წერისა და კითხვის გაზონთა თავზე. „ჭემშირითად, ეს ზღვა გვიტოვებს თავის ყურებსა და თვალს და ბრუნდება ზღვასთან ზღვისიერად“.

და მიმაქვს მიწა ქანაანისა, რომლის სამარეებზეც ერთმანეთი ცვალეს დამპყრობლებმა, მაგრამ არ შეცვლილან მახარებელნი იმისა, რის გამოც ერთმანეთს ცვლიდნენ დამპყრობელნი. ქვიდან აღმოცენდება გეტოს სახელმწიფო, და ქვიდან აღმოცენდება

მიჯნურთა სახელმწიფო, ვიმპროვიზირებ გამომშვიდობებას. და პატარა ქალაქები იძირებიან ერთმანეთის მსგავს გამონათქვამებში. და იზრდება ჭრილობა ისრის წვერზე, ანდა ერთმანეთს ენაცვლებიან ჩემზე, ვიდრე ეს საგალობელი დასრულდება. და ვვარდები კიბეზე, რომელიც არ სრულდება თალით და ქორწინებებით ხელახლა ავიღებ კიბეზე, რომელიც არ მიდის კასიდასთან. ცოტას ვბოდავ, რათა იქმნას სიფხიზლე და ჯალათი. ვყვირი: ო, დაბადებავე,

მტანჯე, რომ ვიყვირო: დაბადებავე! ურთიერთხმობისათვის შევყვივი შამის<sup>5</sup> ქუჩას, იქნება, ხილვა მაქვს და მრცხვენია ზანზალაკთა ექოსი, რომელიც ჩემთან ჟანგად მოდის და ჩავყვირი ათენას: როგორ ინგრევი ჩვენში? შემდეგ ჩავწერულე ბედლიანის კარავს: ჩემი სახე არ არის მთლიანად ხორბლისფერი, ძარღვები კი სახვე მაქვს პურის მარცვლით. ვეკითხები ისლამის ბოლოს: განა პირველთაგან იყო ნავთი? თუ პირველთაგან იყო მრისხანება? ებოდავ. მგონი, ჩემი ხალხის ძეგლს უცხო ვეჩვენები. და პოეტები შიშინითა და ტკაცუნით

სტყდებიან ჩემს ენას, რათა გავწმინდო მე ის მათგან და წარსულისგან. სხვა შედეგს ვერ ვპოვებ სიტყვათაგან, გარდა სიტყვათა სურვილისა მათი პატრონის შესაცვლელად.

ვეთხოვები იმას, ვისაც ვნახავ, რიჟრაჟს, რომელიც გაგვაპობს ცოტა ხანში. ქალაქს, რომელიც დაგვაბრუნებს ქალაქში, რათა მგზავრობა და სიბრძნე გავვიგრძელებ. ვეთხოვები ხმლებსა და პალმის ხეებს, მტრედს, წარსულით გადამწვარი ორი გულიდან რომ აფრინდება

კრამიტის სახურავზე. აქეთ მეომარს ხომ არ ჩაუვლია, ისე, როგორც ყუმბარას ომში? მის ნამსხვრევებს კაფეში ჩაის ჭიქები ხომ არ დაუღლენავს? ვხედავ ხაკის კოსტუმითა და მეფეებით შეიარაღებულ ქალაღდის ქალაქებს. ვხედავ ქალაქებს, თავის დამპყრობლებს რომ თავს გვირგვინს ადგამენ. და აღმოსავლეთი ზოგჯერ დასავლეთის საპირისპიროა.

და ზოგჯერ დასავლეთის აღმოსავლეთი და მისი სახეცა და სავაჭრო საქონელიც. ვხედავ ქალაქებს, გვირგვინს რომ ადგამენ საკუთარ დამპყრობლებს. ექსპორტზე გააქვთ მონამეები, რათა იმპორტად ვისკი შემოზიდონ და სექსისა და ტანჯვის უახლესი ტექნოლოგიური მიღწევები. აქეთ მეომარს ხომ არ ჩაუვლია? ისე, როგორც ყუმბარას ომში, მის ნამსხვრევებს კაფეში ჩაის ჭიქები ხომ არ დაუღლენავს?

ვნახე ქალაქები, რომლებიც რკინის ტოტებზე ჰკიდებდნენ თავის შეყვარებულებს. და გარიჟრაჟზე სახელებს უსახლკაროდ დაანანალებდნენ. ...გარიჟრაჟზე მოვა ერთადერთი კერპის მსახური. ამ ციხის გარდა, რას დავემშვიდობოთ? რას დაკარგავენ პატიმრები? გავეშურებით შორეული სიმღერებისაკენ. გავეშურებით თავდაპირველი თავისუფლებისაკენ. და ხელით შევხებით წუთისოფლის საცდურს პირველად სიცოცხლეში.

ეს რიჟრაჟი ლურჯია და ჰაერი მოჩანს და იჭმევა ლეღვის მარცვალივით.

ავდივართ:  
 ერთი,  
 სამნი,  
 ასნი  
 და ათასნი...  
 ამ საათებისას მძინარე ხალხის სახელით.  
 გარიჟრაჟზე, გარიჟრაჟზე ვასრულებთ კასიდას.  
 და მოვანესრიგებთ ანარქიას  
 ამ გარიჟრაჟის საფეხურებზე.  
 კურთხეულია სიცოცხლე  
 და კურთხეულნი არიან მკვდრები  
 ქვეყანასა ზედა  
 და ჩაგვრის უღელქვეშ.  
 გაუმარჯოს სიცოცხლეს,  
 სიცოცხლეს საღამი!

\*  
 მთვარე ბალბექზე და  
 სისხლი ბეირუთზე,  
 ო, სიტკბოვ, ვინ დაგღვარა  
 იაგუნდის მხედრებზე?  
 მითხარი, ორ მდინარედ  
 ვინ ჩაგტენა კუბოში?  
 ნეტავ, შენი გული მომცა,  
 რომ მოგკვდე, როს მოგკვდები.

\*  
 უაზრო ფორმიდან უფორმო აზრამდე ვპოვეთ ომი.  
 ნუთუ ბეირუთი სარკეა და  
 ჩვენ შევდივართ იმის ნამსხვრევებში.  
 თუ ჩვენა ვართ სარკეები და გვამსხვრევს ჰაერი?  
 მოდი, ჯარისკაცო, პოლიციელზე მომიყვივი.  
 ციხის კამერამდე მიიყოლე ჩემი ყვავილები?  
 გადაეცი ჩემი დუმილი იმას, ვინც მიყვარდა,  
 პირველმონამეებს?  
 განა შენი მოკლულები ჩაიხოცნენ შენში  
 ჩემთვის და ზღვისათვის?  
 თუ თავს დამესხნენ და გამაშიშვლეს ქალის ხელით,  
 რომელიც მე ჩაის, ხოლო ორ ერთმანეთთან მეზობლად  
 საღამურს უმზადებდა.  
 და განა შეიცვალა ეკლესია მას შემდეგ,  
 რაც მიტროპოლიტს სამხედრო ფორმა გახადეს?  
 თუ მსხვერპლი შეიცვალა?  
 ეკლესია შეიცვალა თუ  
 ჩვენ შევიცვალეთ?

ქუჩები გარშემო ფენებზე გვეხვევიან.  
 აილე ბეირუთისაგან ბეირუთი და  
 გადაუნანილე ის ქალაქებს.  
 შედეგი: სივრცე თავშესაფრისათვის.  
 დაადე ბეირუთს ზემოდან ბეირუთი და  
 ჩამოაცლიე იგი სხვა ქალაქებს.  
 შედეგი: დუქანი გართობისთვის.  
 ...ორ ყუმბარას შორის მივაბიჯებთ.  
 — ამ სიკვდილს შევეჩვიეთ?  
 — შევეჩვიეთ სიცოცხლეს და ვნებას, რაც არ თავდება.  
 — დახოცილებს განა ყველას იცნობ?  
 — ვცნობ ყველა შეყვარებულს მათი მხერებიდან  
 და ვხედავ ამ მხერებზე ქალ მკვლელებს,  
 თავიანთი ჯადოქრობითა და ზაკვით კმაყოფილებს.

...და მოვიხაროთ, რომ ყუმბარამ ჩაიაროს?  
 კვალდაკვალ მივყვით ომის მოგონებებს  
 მისი პირველი დღეებიდან.  
 — ფიქრობ, რომ ჩვენმა კასიდამ უქმად ჩაგვიარა?  
 — არა, არ მგონია.  
 — მაშინ რატომ უსწრებს ომი წინ კასიდას?  
 — რიტმს დაეძებს ქვაში და არ გამოდის.  
 და პოეტებს ძველი ღმერთები ჰყავთ.

ჭურვი გადაივლის და სამორინეში შევდივართ,  
 სასტუმრო კომოდორში.  
 — ძალიან მომწონს რემბოს დუმილი.  
 ან მისი წერილები, რომლებითაც აფრიკა ალაპარაკდა.  
 — და დავკარგე კავაფისი.<sup>6</sup>  
 — რატომ?  
 — მითხრა: ნუ დატოვებ ალექსანდრიას და  
 მის მაგივრად სხვა ქალაქის საძებნელად  
 ნუ გაეშურები.  
 — და ვნახე კაფკა, მძინარე ჩემ კანქვეშ,  
 კომპარის ტვირთთან შეხმატკბილებული  
 და პოლიცია იდგა ჩვენ შორის.  
 — აილეთ ჩემგან ხელი!  
 — რას ხედავ ჰორიზონტზე?  
 — მეორე ჰორიზონტს.  
 — დახოცილთ ყველას იცნობ?  
 — და იმთავ, რომლებიც დაიბადებიან...  
 დაიბადებიან ხის ქვეშ  
 და დაიბადებიან  
 წვიმაში  
 და დაიბადებიან  
 ქვისგან  
 და დაიბადებიან  
 ნამსხვრევთაგან  
 და დაიბადებიან  
 სარკეთაგან  
 და დაიბადებიან  
 კუთხეთაგან

და დაიბადებიან  
 დამარცხებათაგან  
 და დაიბადებიან  
 ბეჭდებიდან  
 და დაიბადებიან  
 კვირებიდან  
 და დაიბადებიან  
 დასაწყისისაგან  
 და დაიბადებიან  
 მონათხრობისაგან,  
 დაიბადებიან  
 უსასრულოდ  
 და დაიბადებიან, გაიზრდებიან, დახოცავენ  
 და დაიბადებიან, დაიბადებიან, დაიბადებიან...

\*  
 განმარტე შემდეგი:  
 ბეირუთი (ზღვა-ომი-მელანი-მოგება)  
 ზღვა: თეთრი, ან ტყვიისფერი და აპრილში — მწვანე.  
 ლურჯი, მაგრამ წითლდება ყველა თვეში,  
 თუკი განრისხდება.

და ზღვა იხრება ჩემს სისხლზე,  
 რათა იმის სურათად იქცეს, ვინც მიყვარს.

ომი: ანადგურებს ჩვენს პიესას,  
 რათა უნიგნოდ ან უტექსტოდ ვითამაშოთ.  
 და ომი: მესხიერება  
 პირველყოფილთა და ცივილიზებულითა.  
 და ომი: მისი თავი — სისხლი  
 და ომი: ბოლო მისი — ჰაერი.  
 და ომი ხვრეტს და აცხავებს ჩვენს ჩრდილს, რომ  
 კარიდან კარზე დავდიოდეთ.

და მელანი: სალიტერატურო ენისათვის,  
 ოფიცერთათვის და  
 ჩვენი სიმღერების გულშემატკივართათვის.  
 და მწუხარე ზღვის ხედს თავმიცემულთათვის.  
 მელანი: შავი ჭიანჭველები ან ბატონი  
 და მელანი: ჩვენი უსაფრთხო განსაზღვრული.

და სარგებელი, მიღებული იმ ომიდან,  
 რომელიც არ მთავრდება.  
 მას შემდეგ, რაც ჩვენმა სხეულებმა სახნავი ჩაიცვეს,  
 კანჯრებზე სანადიროდ პირველად წასვლის შემდეგ,  
 აფრიკასა და აზიაში სოციალისტების გამოჩენამდე.

და პროცენტი (სარგებელი):  
 გვეცქენის ჩვენ ხელსაწყობათაგან და სიტყვებიდან.  
 იპარავს ჩვენს ხორცს  
 და ჰყიდის.  
 ბეირუთი — ბაზრები ზღვაზე,  
 ეკონომიკა, რომელიც წარმოებას ანადგურებს,  
 რათა ააშენოს სასტუმროები და რესტორნები.  
 სახელმწიფო ქუჩაში ან ბინაში.  
 ყავახანა, რომელიც  
 სულ მზისაკენ იბრუნებს მზესუმზირასავით.  
 აღწერა გარდაცვალებისა  
 ან თავდაპირველი მშენიერებისა.

წუთების სამოთხე,  
 ბელურის ბუმბულზე დასასკუპებელი.  
 მთები ზღვაზე დახრილი,  
 ზღვა მთებისაკენ ამომალღებელი.  
 ირემი, რიგითი ცოდვისას შეწირული,  
 ხალხი, რომელსაც არ უყვარს ჩრდილი.  
 ბეირუთი — ქუჩები ხომალდებში,  
 ბეირუთი — ქალაქთა გამაერთიანებელი პორტი.

\*  
 ბრუნავდა ჩვენზე და გადაიბრუნა,  
 პირქვე დაგვამხო და პირქვე გადაემხო.  
 განა სხვა ღრუბელი კიდე უღალატებს  
 შენს მჭვრეტელთ, ბეირუთო?  
 არქიტექტურა ეხამება ახალი ფორმის ვნებას,  
 დღეთა წყალმცენარეები  
 ზღვის მიქცევასა და მოქცევას შუა.  
 ნარჩენები, რომლებიც  
 გაფრინდა ფენებიდან სამეფო ტახტისაკენ,  
 ემანაციისა და განსხეულების არქიტექტურა  
 და გამვლელების აღრევა  
 მინისძვრისპირა ტროტუარზე.

იბრუნა და გადაიბრუნა.  
 მისი გეომეტრიულობა მომავალი  
 მსოფლიოს ხაზებია ახალი ბაზრისაკენ.  
 ყიდულობენ და ჰყიდიან. ზემოთ იწევენ და  
 მერე ეცემა დოლარის ფასებივით.  
 ანდა ოქროს სინჯივით, რომელიც ზემოთ იწევენ და  
 ქვემოთ ეცემა  
 აღმოსავლური სისხლის ფასების შესატყვისად.  
 არა, ბეირუთი მეომრის კომპასია.  
 ნავიყვანთ შვილებს ზღვისკენ,  
 რომ დარწმუნდნენ ჩვენში.  
 ხელმწიფე ახალი ხელმწიფეა.  
 და ფაირუზის<sup>7</sup> ხმა ორ ტომს შორის  
 თანაბრად არის განანილებული  
 და მიგვიძღვის იმისკენ,  
 რასაც მტრები ოჯახად აქცევენ  
 და ლიბანისკენ, მოლოდინად  
 ჩვენი სისხლიანი ისტორიის ორ ეტაპს შორის.

\*  
 — გზა დავინროვდა?  
 და შენი ნაფეხურებიდან იწყება ქუჩა, ამხანაგო?  
 — ზღვითა და წმინდა წერილებით ალყაშემორტყმული.  
 — მოვრჩით?  
 — არა! დავდუმდებით,  
 როგორც მენინავეთა ნაკვალევი.  
 როგორც თავისქალა ომის დღეებზე,  
 ისე დავდუმდებით.  
 როგორც ჰაერი და მზერა მონამეთა,  
 ისე დავდუმდებით.

დამე მინაყრილში იზილება,  
 ელოდებიან იმას, რაც არ უწყიან.  
 ასაზიზღრებენ არაბულ სამყაროს იმ ნაფლეთში,  
 რომელსაც ერთობა ეწოდება.  
 ერთმანეთში ინანილებენ ღამეს.  
 — ლეილა, არ დამიჯერებ!  
 მაგრამ მე მჯერა მისი ორი ოცნებისა,  
 რომლებიც ცახცახებენ.

მე თავისი გრაციოზული სიარულით მაცდუნა მან:  
 ქურციკის ფეხები, მგლის ნუკრის წვივები,  
 შაშვის ფრთა და სასანთლის კაშკაში.  
 როცა კი მოვეხვიე, ბრმა ტყვიას დაეძებდა.  
 — ხელმწიფე ახალი ხელმწიფეა.  
 ამ სიკვდილით როდემდე გავერთოთ?!  
 — არ ვიცი, მაგრამ ვუყარაულებთ  
 ვილაც პოეტს ფესტივალზე.  
 — რომელ პარტიას ეკუთვნის?  
 — უცხოური ბანკების დაცვისა და  
 პარლამენტის გარეკვის პარტიას.  
 — როდემდე მომრავლდება პარტიები და  
 დაიკლებს ფენები, ამხანაგო ღამე?  
 — არ ვიცი.

მაგრამ ვფიქრობ, ბოლოს მოგიღებ და  
 ვფიქრობ, ბოლოს მომიღებ,  
 თუკი ქალურობის დეფინიციაზე ვერ მოვრიგდებით.  
 — ქალურობა ეს ნაკვერჩხლებია,  
 რომლებიც წვივებიდან მოდიან და  
 ცეცხლს გვინთებენ.


— ეს არის მკერდი, რომლებიც  
 იმ ტალღებზე სუნთქავენ, რომ გვძირავენ.  
 — ეს არის თვალები,  
 რომლებიც სამყაროს დასაწყისს კარგავენ.  
 — ეს არის ყელი, რომელიც დაილევა.  
 — ეს არის ბაგები,  
 როცა მოხდენილ მნათობს მოუხმობენ.  
 — ეს არის ბუნდოვანი.  
 — ეს არის აშკარა.  
 — მოგკლავ. პისტოლეთი გადატენილია.  
 ხელმწიფე ხელმწიფეა!

პისტოლეთი გადატენილია!  
 ბეირუთი ფორმის ფორმაა,  
 ნგრევის ხუროთმოძღვრება.

\*  
 ოთხშაბათი. შაბათი. ბეჭდების გამყიდველი ქალი.  
 სასაზღვრო ჩხრეკის დაბრკოლება.  
 მონადირე და ნანადირევი.  
 ენა და ანარქია. ორშაბათი ღამე.  
 უკვე ამაღლდნენ კიბეები  
 და მიიღეს თავიანთი სარჩოები.  
 ის, ვინც ჩვენგან არ არის,  
 ჯიშითა და ჯილაგით არაბია. და ნახირი.  
 სამშაბათი. ხუთშაბათი. ოთხშაბათი.  
 და ილლიაში ოთხმოცდაათი გიტარა ამოიდეს  
 და იმღერეს  
 ადამიანის შემწვარი ხორცის მაგიდის გარშემო.

\*  
 მთვარე ბალბექზე და  
 სისხლი ბეირუთზე,  
 ო, სიტკბოვ, ვინ დაგღვარა  
 იაგუნდის მხედრებზე?  
 მითხარი, ორ მდინარედ  
 ვინ ჩაგტენა კუბოში?  
 ნეტავ, შენი გული მომცა,  
 რომ მოგკვდე, როს მოგკვდები.





მაჰმუდ დარვიში

\* გადავწვით ჩვენი ვაგონები და ციხის ქავებზე გადავკიდეთ ჩვენი მნათობები. ჩვენ, ცეცხლის ხაზებზე მდგომნი, ვაცხადებთ შემდეგს: ბეირუთი ვაშლია და გული, რომ არ იცინის. და ჩვენი ზღუდე ოაზისია სამყაროში, რომელიც იღუპება. ავაცეკვებთ მოედანს და დავანწყვილებთ იასამანს. გადავწვით ჩვენი ვაგონები და ციხის ქავებზე ჩამოვკიდეთ ჩვენი მნათობები. არ გვიძებნია წინაპრები რუკათა ხეებზე. წმინდა პურის გარეთ არ გვიმგზავრია და ჩვენი თიხის შესამოსელისა. ძველი ტბების სადაფისთვის არ გაგვიგზავნია ჩვენი მამა-პაპების სურათები. არ დავბადებულვართ იმისთვის, რომ გვეკითხა: როგორ აღსრულდა ერთადერთი გადაადგილება იქიდან, რაც ორგანული ნაწილი არ ყოფილა, ორგანულ ნაწილში? არ დავბადებულვართ იმისთვის, რომ გვეკითხა. ჩვენ დავიბადეთ, როგორც შემთხვევით მოგვიხერხდა. გავვრცელდით, როგორც ქინძვლები ქლოფზე. შემდეგ ვიქცით ცხენებად, რომლებიც ეტლებს მიათრევდნენ. ჩვენ, ცეცხლის ხაზებზე მდგომებმა, გადავწვით ჩვენი ნავეები და ჩვენს თოფებს ჩავეხუტეთ. გამოვალვით ამ დედამიწას, რომელიც ჩვენს სისხლს არის მიყრდნობილი. გამოვალვით და გამოვიყვანთ მისი სიცარიელებიდან ჩვენს მსხვერპლთ და თმას დავბანთ მათ ჩვენი თეთრი ცრემლით. ხელებზე გადავალვით სულის რძეს, რომ ეგებ, გაიღვიძონ და მიმოვფარქვევთ ქუთუთოებზე ჩვენს ხმებს: — ჩვენო საყვარლებო, ადექით! შინ დაბრუნდით! დაუბრუნდით ქარს, რომელმაც მინის სამხრეთი მოგვგლიჯა ნეკნებიდან. დაუბრუნდით ზღვას, რომელსაც არ ახსოვს არც მკვდრები, არც ცოცხლები. დაბრუნდით ერთხელ კიდევ. ჩვენ თქვენს ნაბიჯებს არ გამოვყოლივართ დაღვრემილინი. ჩვენი ნავეები აქვე დაიფერფლა. და თქვენ გარდა აღარ არის მინა, რომელსაც დავიცავთ თავისი ბარბაცისგან და თავისი თავთავისგან. განვდევენით თქვენგან დავინყებას. დავიცავთ იარაღით, რომელიც თქვენი ხელების ძვალთაგან გამოვქვდით. მოგქსოვთ თქვენივე თავის ქალისაგან და მუხლიდან, რომელიც მოილიპა. და არ არის თქვენ გარდა მინა, ზედ რომ ფეხებით მიველურსმოთ. დაბრუნდით, რომ დავიცავთ! „და ქვაზეც რომ ვიდგეთ, მსხვერპლად შევეწირებით!“ ფეხსაც არ მოვიცვლით დუმილის სივრციდან, რომელმაც თქვენი ხელები გაასწორა. დავკარგავთ მას და თქვენც დავკარგავთ! ჩვენი ნავეები აქვე გადაინვა და ჩვენი კარავი ქარზე დგას, რომელიც აქ, თქვენში ჩაშოშმინდა. და ამ ადამიანურ კედელზე დედამიწის ჯარებიც რომ ამოვიდნენ, უკან არ დავიხვეთ თქვენი სისხლის გეოგრაფიიდან. ჩვენი ნავეები აქვე დაიფერფლა. და თქვენგან, თქვენი მკლავებიდან, ჩვენ რომ აღარ მოგვეხვევა, ავავებთ ჩვენს ხიდს თქვენში. მზემ შეგვწვა და თან თქვენი მკერდების ძვლები დაგვაცოლა. ჩვენმა სახსრებმა ააჭრიალა თქვენი გადასახლების ადგილები. „ქვაზეც რომ ვიდგეთ, მსხვერპლად შევეწირებოდით!“

არ ვიტყვით: „დაიხ!“ ჩვენი სისხლიდან ჩვენს სისხლამდე მინის საზღვრებია, ჩვენი სისხლიდან თქვენს სისხლამდე თქვენი თვალის ზეცა და ხელების მინდვრებია. გიხმობთ და ექო ქვეყანად გვიბრუნდება გიხმობთ და ექო ცემენტის სხეულად გვიბრუნდება. ჩვენ კი, ცეცხლის ხაზებზე მდგომნი, ვაცხადებთ შემდეგს: არ დავტოვებთ თხრილს, ვიდრე ღამე ჩაივლიდეს. ბეირუთი აბსოლუტს, ჩვენი თვალები ქვიშას. პირველთაგან ჩვენ არ შევექმნილვართ. პირველთაგან იყო სიტყვა და ახლა თხრილში გამოჩნდა ტვირთის ესკიზები.

\* ვაშლი ზღვაში, ქალი მშვილდებთან აზელილი სისხლისა. სიტყვების ჭადრაკი. სულის დანარჩენი. ცვარნამის საშველად ხმოვა. მთვარე, რომელიც სიბნელის ქვის მასტაბას ელენება. ბეირუთი. და იაგუნდი, როცა მხურვალეებისაგან კივის მტრედის ზურგზე. სიზმარი, რომელსაც თან წავიღებთ. თან წავიღებთ, სადაც მოგვინდება. ყელზე დავიკიდებთ. ბეირუთი ნამსხვრევთა ზამბახია. და პირველი კოცნა. ინდური იასამნის ხოტბა და პალტოები ზღვისთვის და მოკლულებისათვის. ბანები მნათობათვის და კარავთათვის. ქვის კასიდა. იმ ორი ტოროლის ერთმანეთთან შეხლა, გულში რომ იმალვიან. მწარე ზეცა, ქვაზე ჩამომჯდარი და მოფიქრალი. გაგონილი ვარდი — ბეირუთი, ხმა გამმიჯნეელი მსხვერპლის და ჯალათისა. ძე, რომელმაც სჯულის ყველა დაფა დაკარგა და სარკე და... მიიძინა.

<sup>1</sup> მუგუშაში — სალექსო ფორმა, რომელიც წარმოიშვა გვიან შუა საუკუნეებში მუსლიმთაგან დაპყრობილ ესპანეთში (ანდალუსიაში) და წარმოადგენდა თავისებურ შერწყმას ევროპული სალექსო ფორმებისა არაბული არუდის სისტემის გარკვეულ სახომებთან.  
<sup>2</sup> ალ-ფუსჰა — სალიტერატურო არაბული.  
<sup>3</sup> უნდა იგულისხმებოდეს არაბეთის ნახევარკუნძული.  
<sup>4</sup> კასიდა — ტრადიციული მყარი სალექსო ფორმა არაბულ ლექსთწყობაში.  
<sup>5</sup> შამი (ჩრდილოეთი) — ასე უწოდებენ არაბები სირია-პალესტინის ტერიტორიას.  
<sup>6</sup> კონსტანტინოს კავადისი — მეოცე საუკუნის დიდი ბერძენი პოეტი, წარმოშობით — ეგვიპტის ქალაქ ალექსანდრიიდან.  
<sup>7</sup> ფაირუზი — ნამდვილი სახელია: ნუჰად უადი ჰადადი — ლიბანური წარმოშობის ცნობილი და არაბულ სამყაროში ყველაზე პოპულარული საექსტრადო მომღერალი.

**ჟამი პოეტისა, რომ მოიკლას თავი**  
 ჟამი პოეტისა, რომ მოიკლას თავი,  
 არა — რაიმესთვის,  
 არამედ იმისათვის, რომ თავი მოიკლას.

\* თქვა: არ მივცემ პალმას უფლებას, რომ შემინოვოს. თქვა: არ მივცემ ფიქრს უფლებას, რომ ჩემზე შური იძიოს. თქვა: არ მივცემ ქალს უფლებას იმისას, რომ თავის ბარბაცებზე ცოცხალი დამტოვოს.

\* ოცდაათი წლიდან წერს ლექსებს და მე კი ვავინყებდი. უკვე ყველა კვიციდან ჩამოვცვივდით და ვიპოვეთ მარილი ხორბლის ერთ მარცვალში. ის კი მე მივინყებს. დავკარგეთ ადგილები. და ის მე მივინყებს. მე ვარ სხვაი მასში.

\* ყველაფერი სურათია მასში. მე ვარ მისი ქალი. ყოველი სიკვდილი სურათია. ყოველი სხეული სურათი. ყოველი სიკვდილი სურათი. ყოველი ქვეყანა სურათი. ვუთხარი: კმარა!  
 ან უკვე სრულებით დავიხოცეთ! სად არის ჩემი ადამიანურობა? მე სადა ვარ? მითხრა: არა არს სურათი, თუ არა მხოლოდ და მხოლოდ სურათთათვის.

\* ოცდაათი ზამთარია, წერს ლექსებს და აშენებს სამყაროს, რომლის გარშემოც თვით ინგრევა. აგროვებს სხეულის მოკვეთილ ნაწილებს, რათა დახატოს ბელურა და კარი კოსმოსისთვის. რამდენჯერაც ჩვენ გარშემო კედელი დაინგრა, სახლები ააგო ენაში. რამდენჯერაც მინა გვევინროვა, გააშენა სამოთხე და ფრაზაში გადაჭიმა. ოცდაათი ზამთარია, იგი ჩემ გარეთ ცხოვრობს.

\* თქვა: ჭეშმარიტად ჩვენ მოვედით პირველ ქალაქებში და არმყოფებად ვპოვეთ ჩვენ ისინი, დაქცეულებად, რომლებიც არ გვიჯერებდნენ და არცა გვემორდებოდნენ. ქუჩად, რომლითაც და რომლისკენაც ვიდოდით. იტყუება დედამიწა და არ იტყუება სიზმარი, რომელიც ეშვება მისი ხელებიდან.

\* ოცდაათი შემოდგომაა, წერს ლექსებს და არც ცოცხლობს და არც უყვარს, თუ არა, ვით სურათი. შედის ციხეში და ვერაფერს ხედავს, გარდა მისი მთვარისა. შედის სიყვარულში და არაფერს მოისთვლის, გარდა მისი ნაყოფისა. ვუთხარი: რა არის ქალი ჩვენში? მითხრა: ვაშლი შენდობისა. სად არის ჩემი ადამიანობა-მეთქი?! — დავუყვირე. გამოალო კარი, რომ ჩემთვის მის გარეთ დაენახებინა და მიღრიალა: ფიქრიდან ხატში რიტმის კიბით შემოდის ქალი, ვისაც ელოდნენ. ჟამი პოეტისა, რათა გამოვიდეს ჩემგან მარადისობისკენ. ჩემი გული არ არის ქალაღლისა. ჟამი ჩემთვის, რათა ჩემს სარკეებსა და ქალაღლის ხალხს გავეყარო. ჟამი პალმისათვის, რომ გამოვიდეს თავისი ყვავილებიდან დაისისკენ. ჟამი ვარდისათვის, რათა გამოვიდეს თავისი ეკლებიდან და დაიფერფლოს. ჟამი ეკლისათვის, რომ ჩემს გულში მთლიანად შევიდეს, რათა მოვიხილო გული ჩემი, მოვუსმინო ჩემს გულს და შევიგრძნო. ჟამი პოეტისა, რათა მოიკლას თავი. განა რამე, მხოლოდ იმისათვის, რომ თავი მოიკლას.

**ოიდიპოსი**  
 რად გინდა ცოდნა, ოიდიპოს?!

რად მინდა ცოდნა? მე ვერც ჩიტი, ვერც მისანი და ვერც ქალი ვერ გადამირჩა. სამეფო ტახტი მოსახვევის დასასრულია და არა — ჩემი ძლიერების კიდე-ნაპირნი. და წესი ჩემი ცხოვრებისა ბედისწერაა. მე თვითონ ჩემი ხელით შევექმენ ღვთაებრიობა და ყალბია ჯოგის ღმერთი. რად მინდა ცოდნა?

\* საიდუმლო თვითონ კაცშია, კაცია თავის შეკითხვის და თავის უფალი. არ არის ცოდნა იმის გარდა, რასაც იგი ამჟამად ფიქრობს, წარსული კი მხოლოდ ცრემლია, გამშრალი ცრემლი. მივდივარ ჩემ წინ, ჩემივე ცოდვითა კვერთხს დაყრდნობილი. ლურჯი მაქვს ჩრდილი. და ხალხია ჩემი ხეები. და ისტორიას ეგების, რომ წამოიყვანოს ყველა თავისი მოსამართლე და მონმეები, რათა აღწესდეს სიხარული ჩემი ჩემი სახელმწიფოთი, ჩემი ძეები და გალავნით ჩემი ქალაქის, ბრწყინვალეა ჩემი ნიღბების და გუშინდელის სიკვდილი ჩემში და ჟამთ აღმწერელში. აი, ცოცხლები, აქ არიან ცოცხლები, აქ რად მინდა ცოდნა?

\*  
 შთამომავლობა-მონაგართან რა მესაქმება?  
 იყვნენ მწყემსები, მეფეები, თუნდაც მონები.  
 მე ხელმწიფე ვარ,  
 ერთადერთი ხელმწიფე მე ვარ!  
 ვყვარობ ჩემს ქალს და თავყვანს ვცემ.  
 იმის სიშიშვლეს ვმოსავ,  
 ვბოჭავ მის სისხლში ჩემი სისხლის ყველა კიდურით  
 და ღრიალს ვუშვებ მის უმცირეს  
 ქვენარმავალთა სისინ-სისინით.  
 მე შენ სულ სხვა ქალად მნადიხარ  
 და ნურც შენს ყოფილ მეუღლეზე  
 და ნურც სხვა კაცზე ჩემ გარდა,  
 დაე, ნურაფერს მეტყვი!

მე აქ ვარ, აქ ვარ, მე აქ ვარ და აქ,  
 აი, მე ვარ!  
 მე არსებული ვარ იმაში, რაც თვითონა ვარ!  
 მე მე ვარ, ხოლო  
 წარსული კი საიდუმლო, რომ არ მაძინებს.  
 დავასრულებ იმ პასუხს, რაც წამოვიწყე,  
 რომ დავასრულო.

არაფერი მესაქმება შეკითხვებთან  
 იმაზე, რაც უკვე ნავიდა.  
 არ მესაქმება არაფერი, არ მესაქმება,  
 რადგან თვითონ ვარ მე პასუხი  
 პასუხისათვის.

არც დედაჩემის წარმომავლობა არ მესაქმება,  
 სულერთია, მბრძანებელია თუ უპოვარი.  
 მე ერთი ვარ და  
 ერთადერთი  
 ხელმწიფე მე ვარ.  
 რად მინდა ცოდნა?

\*  
 ერთხელაც კი არ უკითხავთ,  
 რომელ თესლიდან მოველ.  
 არ უკითხავთ, მამაჩემი ან ძმა ვინ არის?  
 ვინ მოვკალი? და მოვკალ განა?  
 მაგრამ მათ მითხრეს: დადგენილი იქნები მეფედ  
 და ვიკითხე: ვინ მოკლა მეფე?  
 და ვიკითხე: ვინ მოკლა მეფე?  
 დიახ, ეს მე ვარ — მეფის მკვლეელი,  
 მკვლეელი მეფისა  
 და ის არის მამაჩემი უცნობი, მკვდარი.  
 მე უბრალო ვარ სისხლში, რომელიც მე და ღმერთს  
 გვიდგას შუაში. არ ვიცი, რომ  
 რომ მე ვიყავ უვიცი მკვლეელი  
 და რაა ჩემი დანაშაული? ის, რომ მკვლეელი ვარ  
 თუ ის, რომ მე ეს უკვე ვიცი.

\*  
 მე დედაჩემის ქმარი ვარ და  
 ჩემი შვილი ჩემი და არის.  
 და ჩემი ტახტი საძინებელი, ისე,  
 ვით ჩემი სამეფო ტახტი,  
 შავი ჭირია.  
 ქალო  
 და ცოდნავ,  
 რად მინდოდით ორივე თქვენგანი?  
 და თქვენც ორივე რად არ მოკვდით  
 ღვთაებებით.  
 ვინ მესროლა მე წარსული,  
 რვაფეხასავით,  
 ახლა ჩემს ფსკერზე ჩაძირულ სულს რომ მოხვევია?  
 და ღვინოში ცოდნის შხამი ვინ გამირია?  
 რად მინდა ცოდნა?  
 რად, რად მინდა, ცოდნა?  
 მითხარით...

გავივლი ამ გზას

გავივლი ამ გზასაც, ამ გრძელ გზასაც  
 გავივლი ბოლომდე.  
 გულის ბოლომდე გავივლი ამ გზასაც,  
 ამ გრძელ, გრძელ გზასაც  
 და აღარაფერს აღარ დავკარგავ გარდა მტვრისა და  
 იმისა, რაც მოკვდა ჩემში.  
 პალმათა მწკრივი მიუთითებს იმას, რაც არ ჩანს.  
 გადავკვეთავ პალმათა მწკრივსაც.  
 განა ჭრილობებს სჭირდებათ მართლა მათი პოეტი,  
 რათა დახატოს ბრონზული უხილავისთვის?  
 ჭიხვინის ჭერზე აგვიშენებთ  
 ოცდაათ სარკმელს მინიშნებისთვის.  
 და დაე, გამოდით მოგ ზაურობიდან,  
 რათა შეხვიდეთ ახალ მოგ ზაურობაში.  
 გვევინროვება ქვეყანა თუ არა,  
 გადავკვეთთ  
 ამ გრძელ გზასაც გულის ბოლომდე.  
 დაე, ისრებად მოგვეჭიროს ჩვენ ნაბიჯები.  
 ცოტა ხანში განა ისევ აქვე ვიქნებით  
 და განა ცოტა ხანში მივალნევეთ დასაწყისის წილს?  
 იბრუნა ქარმა, ჩვენთან ერთად, ქარმა იბრუნა.  
 და რას ამბობს?  
 ვამბობ: გადავკვეთ ამ გრძელ გზასაც ჩემს ბოლომდე  
 და გზის ბოლომდე.


თარგმანი გიორგი ლობჯანიძე

ესპანელი ნიკოლას მელინი მცირე რომანებისა და მოთხრობების ერთ-ერთი საუკეთესო თანამედროვე ავტორია. წერის განსხვავებული მანერით, მოკლე, ზუსტი და ინტენსიური თხრობის სტილით ის სიღრმისეული ფარული პრობლემების შუქზე გადმოტანას ცდილობს, სოციალური პრობლემატიკით გადატვირთულ ევროპულ საზოგადოებაში განსხვავებულ ხედვას გვთავაზობს და ეხება საკითხებს, რომლებზეც უმრავლესობას ან დუმილი ურჩევნია ან მის შესახებ მიღებულ და დამკვიდრებულ ინერტული შეხედულებების წინაშე საკუთარი აზრი არ და ვერ გააჩნია.

მოთხრობა — „შვილი“ — საფუძვლად დაედო მოკლემეტრაჟიან ფილმს.

ნიკოლას მელინი  
შვილი

მოსალამოვიპულზი ბერტა თავის ოთახში ტელევიზორს უცქერდა, როდესაც ხმა მოესმა:  
 — დედა...  
 ბერტამ კარისკენ გაიხედა. იცნო საკუთარი შვილის ზანტი, მძიმე ხმა. წარმოიდგინა კიდეც — როგორ აყუდებულყო კართან მეტრი და ოთხმოცდაათი სიმაღლის, ვეებერთელა, გასუქებული და დამძიმებული, თავით კარისკენ გადმოხრილი და ჩურჩულით ლაპარაკობდა.  
 — რა? — გასძახა ბერტამ ისე, რომ ტელევიზორის ეკრანისთვის თვალი არ მოუშორებია.  
 — ტელევიზორს უყურებ? — ჰკითხა შვილმა.  
 — დიახ, — უპასუხა უბრალოდ. არ სურდა, ზედმეტი მნიშვნელობა მიენიჭებინა იმისათვის, რომ მისი ოცდასამი წლის შვილი კართან ატუზულიყო.  
 შვილმა კითხვა საბრალო ხმით გაიმეორა:  
 — დედა, ტელევიზორს უყურებ?  
 — კი, ტელევიზორს ვუყურებ, — მიუგო ბერტამ მშვიდად მალამოსავით დარბილებული ხმით, — და შენ, შვილო? სანოლში არ უნდა იყო უკვე?  
 — ტელევიზორში ხომ ცუდი რაღაცები ხდება?! — თქვა შვილმა.  
 — ამას რატომ ამბობ, საყვარელო?  
 — ტელევიზორში...  
 შვილის სიტყვების მოლოდინში ბერტა კარს მიაცქერდა, მანაც არ დააყოვნა:  
 — ნელან ვილაცამ სიტყვა „სისხლი“ წარმოთქვა.  
 ბერტას თვალბში მღელვარების ნაპერწკალმა გაიელვა, თუმცა მაინც მშვიდად მიუგო:  
 — საყვარელო, მხოლოდ და მხოლოდ ფილმია, ფილმია ექიმების შესახებ.  
 კარს იქით სიჩუმე დადგა. ბერტას შეეძლო, წარმოედგინა შვილი, რომელიც თანხმობის ნიშნად თავს აქნევდა, შემდეგ კი მოესმა:  
 — ჰო, მაგრამ მეერ ყვირილის ხმა გაისმა.  
 — ყვირილის ხმა? — გულუბრყვილოდ მიუგო ბერტამ.  
 — დიახ.  
 ბერტა ცდილობდა, გაეხსენებინა, რა ხმას გულისხმობდა შვილი, თუმცა ფიქრს მალევე გაანება თავი და უპასუხა ის, რაც თავში პირველივე ჯერზე მოუვიდა:  
 — რაღაც კონკურსია მხოლოდ და მხოლოდ. გამარჯვებული ყვიროდა სიხარულისაგან. საკუთარ ოთახში რატომ არ ბრუნდები?  
 — ყვირილის ხმა პატარა ბავშვისა იყო? — იკითხა შვილმა.  
 ბერტა წამიერად შეყოვნდა.  
 — კი, მაგრამ ნუ ნერვიულობ. ის, რაც ტელევიზორში ხდება, ნამდვილი არაა. გთხოვ, დაბრუნდი ოთახში, საყვარელო, კარგი?  
 — შიმშილი... — მოისმა კარს მიღმა.  
 — რა? — იკითხა ბერტამ  
 — შიმშილისაგან დახოცილი ბავშვები სინამდვილე არაა?  
 — რა თქმა უნდა, კი, მაგრამ, შენ ხომ სულელი არ ხარ და მშვენივრად იცი — ესაა რეალობა. მაშ, რატომღა მეკითხები? თავს რატომ ისულელებ ჩემთან, არ ვიცი.  
 კარს მიღმა თითქოს ჩუმად სიცილის ხმა მოისმოდა. მალევე შვილმა ბოხი და შემზარავი ხმით, ასოების დამარცვლით გაიმეორა:  
 — ტელევიზორში ცუდი რაღაცები ხდება...  
 ბერტას საკუთარი მღელვარების გადაფარვა სურდა:  
 — ჰოდა, შენც ნუ უყურებ, შვილო. ვიცით, რომ შენ... რომ შენ ახლა არ შეგიძლია... ტელევიზორის ცქერა შენზე ცუდად მოქმედებს. გეხვენები, ნადი, დანეჭი, დახუჭე თვალები და დაიძინე...  
 — არ შემეძლია ტელევიზორის მოსმენა, რაღაცებს წარმოვიდგენ ხოლმე, — მისი მთრთოლარე ხმა შიშით იყო გაჟღერებული.  
 — ჰოდა, ნულარ წარმოიდგენ, კარგი? — შემრიგებლური, მშვიდი, განონასწორებელი ტემბრით მიუგო ბერტამ, — ნადი, დაიძინე, აბები მიიღე უკვე?..  
 — კი, — უპასუხა შვილმა ისე, რომ კითხვის დამთავრება არ აცალა.  
 ბერტა ერთხანს გაჩუმდა, შემდეგ კი კიდეც ერთხელ სთხოვა:  
 — ჰოდა, მიდი სანოლისკენ, კარგი, საყვარელო?  
 — სროლის ხმა იყო ნელან, — დაიჩვილა შვილმა ოდნავ უფრო მისუსტებული ხმის ტემბრით.  
 ბერტას ახსოვდა, რომ საუბრისას ერთი წინადადებიდან მეორეზე გადასვლისას შვილი, შესაძლოა, უცებ დამშვიდებულიყო. ამიტომაც ჰკითხა ნამდვილად შესახებ, თუმცა არ იცოდა, შვილი ამას აცნობიერებდა თუ არა; ვერ გაეგო, თავის მოტყუებას ცდილობდა თუ ბერტას გაცურებდას.



ლისბეთ სალასის ფოტო

— კი, მართალია, — თქვა ბერტამ. ცდილობდა, დამაჯერებელი ყოფილიყო, — ერთ წამს გადავრთე არხიდან არხზე, ვათვლიერებდი უბრალოდ, მაპატიე. მაგრამ ახლა კონკურსს ვუყურებ, ნუ ნერვიულობ, კონკურსის განმავლობაში სროლები არ იქნება, არც სიტყვა სისხლს გაიმეორებს ვინმე და არც არაფერ მსგავსს. დამიჯერე, გთხოვ, ნადი ოთახში, დანეჭი.  
 — ტელევიზორია ჩართული! — შვილმა ოდნავ აუწია ხმას, ბერტა კი სანოლზე წამოიფრია და კარს მომლოდინედ მიაშტერა თვალები.  
 — საყვარელო...  
 კარს მიღმა შვილი დუმდა.  
 — საყვარელო, — ბერტამ კიდეც ერთხელ სცადა, დაეყვავებინა. კარს კვლავ მკაცრად და დაჟინებით უმზერდა, თუმცა გულთბილი ხმის ტემბრით განაგრძო, — ცოტა გვიანია, ხომ არ აჯობებდა, ხვალ გვესაუბრა ამაზე... ხვალ დილას...  
 უცებ კარის სახელურმა მოძრაობა დაიწყო. შვილი შესვლას ლამობდა. ბერტა სანოლზე წამოიმართა — აღელვებული და დაძაბული იყო მანამ, სანამ შვილი სახელურს არ შეეშვა და კარს მიღმა სიჩუმემ არ დაისადგურა.  
 კარი ჩაკეტილი იყო, თუმცა ბერტა თვალს ვერ ამორებდა. სახელურის შემყურე თითქოს გაშეშდა. მიაყურადა ყოველგვარ ხმაურს, რომელიც კარს მიღმა შვილს შეეძლო, გამოეცა.  
 ირგვლივ ყველაფერი დადუმდა. მოსალამოვებულზე გზიდან იშვიათად აღწევდა მოძრავი მანქანების ხმაური. ბერტამ იცოდა, თუ ფანჯრიდან გაიხედებოდა, მხოლოდ შორეული სახლების შუქს დაინახავდა. ტელეფონი მისაღებ ოთახში იყო.  
 საბოლოოდ მღელვარება შეიკავა, ტელევიზორს შეხედა და თქვა:  
 — კარგი. მოდი, ასე ვქნათ, მე ტელევიზორს გამოვრთავ, — ბერტამ პულტი აიღო და ტელევიზორი გამორთო, — და შენ ნადი, დანეჭი, კარგი?  
 ერთხანს შეყოვნდა, სანამ შვილის ხმა კვლავ არ გაიგონა:  
 — კარგი.  
 ბერტამ შვებით ამოისუნთქა.  
 — ცოტა ხანს ნაკითხავ და შემდეგ დავიძინებ, — თქვა ბერტამ და ნიგნი აიღო. შემდეგ დასძინა, — ღამე მშვიდობისა, საყვარელო... — და დაელოდა.  
 კარს მიღმა ჯერ სიჩუმე იყო, მეორე კი შვილმა მიუგო:  
 — ღამე მშვიდობისა, — და ფეხის ნაბიჯების ხმაც გაისმა.  
 ბერტა დაელოდა, სანამ დერეფნის ბოლოს ნაბიჯების ხმა არ შეწყდა და ნიგნი გადაშალა. გალიზიანებული იყო, თუმცა თავს იკავებდა. სათაურის სანახავად ნიგნი გადმოატრიალა, თუმცა არ წაუკითხავს. მიუხედავად ამისა, რომელიც აბზაცს მიადევნა თვალი. ცოტა ხანში, რამდენიმე გვერდის ნაიკითხვის შემდეგ, მიხვდა — არაფერი ესმოდა, თავში არ შედიოდა, სხვაგან იყო... ცდილობდა, დაწყნარებულიყო და ამ დროს კარს მიღმა კვლავ შვილის ხმა გაისმა:  
 — დედა.  
 ბერტა მოულოდნელობისაგან შეცბა.  
 — დიახ, საყვარელო, — თქვა ანკარა, ტკბილი, თბილი, შემრიგებლური ხმით.  
 — ტელევიზორია ჩართული, — თქვა შვილმა.  
 ბერტამ ტელევიზორს გახედა და ცრემლები მოაწვა.  
 — არა, საყვარელო, ტელევიზორი გამორთულია.  
 — ტირი, დედა?  
 — არა, საყვარელო, არ ვტირი, — თქვა ბერტამ და ცრემლები შეიშრო, — გთხოვ... რატომ არ იძინებ? ხვალ... — ტირი, — მიუგო შვილმა.  
 და ბერტამ უარყოფის ნიშნად თავი გააქნია. თავი ასე ბევრჯერ გაამოძრავა, რადგან ცრემლების ნაკადი არაფრის თქმის საშუალებას არ აძლევდა.

თარგმანი ირაკლი მენთიუაშვილი

მწერალი

დიმიტრი ნიკლაური

მწერალი დიმიტრი ნიკლაური ტელეფონით გავიცანი და კითხვები მივწერე ინტერვიუსთვის. საოცარი პასუხები გამომიგზავნა — მწერლობა ნამდვილი, მხატვრული ტექსტია. პასუხებს მიანერა — „...მერჩვენა, ჩემს არარაზე მესაუბრა, ვიდრე ჩემს რაზე. ასე უფრო ნამდვილი იქნებოდა. მე კი ენად გავიკრიფე. რაც ზედმეტად მოგეჩვენოს სავაზეთო ფორმატისთვის, წაშალე. არცერთ ჩანსწორებაზე არ შეგედავები. სრული თავისუფლება მაგ საკითხში!“

და როცა თითქმის მზად მქონდა მასალა, გაიბა ინტერნეტსაუბარი ჩვენ შორის. ზოგჯერ ხომ თითო ფრაზა გამოაჩენს ადამიანს, მის პორტრეტს შეავსებს, გაასრულებს — აქაც ასე მოხდა. რამდენიმე წინადადების შემდეგ თითქოს უფრო ახლოს გავიცანი დიმიტრი.

„მე ვსწავლობდი ფარმაცევტულ ფაკულტეტზე. ფიზიოლოგიის კათედრაზე აუცილებელი პირობა იყო, სტუდენტს ერთ სემესტრში დაეკლა ორი ბაყაყი. მოხუცი ლექტორი იყო, ქალბატონი. ვუთხარი, არ დაკლავ-მეთქი. მაშინ ბოლო მერხზე დაჯდები და ახსნა-განმარტებას დამინერ, სამედიცინოს სტუდენტ რატომ არ დაკლავს ბაყაყსო. მე დავწერე, ოღონდ ლექსი — „ლაბორატორიაში დაკლულ ბაყაყს“. იქ ასეთი სტრიქონებია: „მეცნიერების სახელით კვდები ჭაობის მკვიდრო“. ჯგუფებმა მაგრაღ იხალისეს. საერთოდ ეგ ბედი დამყვა: ფარმაცევტები პოეტს მეძახდნენ, პოეტები — ფარმაცევტს. და მე ვეძებდი ჩემს ადგილს მზის ქვეშ, როგორც სამყაროს უკანონო შვილი, რომელიც ვერაფერში გაერკვა... „მოაზროვნე გომბეშოში“ ასეთი ფრაზაა: „მე რომ დავბერდი, ჯერაც ნორჩი იყო სამყარო“...

„ჩემი ნათესავის საფლავია ერთგან, საბურთალოს სასაფლაოზე. იქ მისვლამდე ნიკო სამადაშვილის საფლავი უნდა გაიარო. სულ მიკვირდა, პანთეონში რომ არ იყო დაკრძალული... რაღაცნაირი იდუმალი ადგილია, ერთი საფლავი შემხვდა იქ, მხოლოდ ეს ანერია: „პაპა-ინტელიგენტი“ — მთელი რომანია. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე კიდევ ერთი საფლავი — „სკაზკა აკონჩენა“... ჰოდა, ადამიანს ფილოსოფოსობის მეტი რა დარჩენია, ყველანი გავლით ვართ“.

პორტრეტის ბოლო მონასმი: „მოაზროვნე გომბეშოს“ შემპირდა, თუმცა სულ რამდენიმე ვგზავნი დამრჩაო. ის კრებულებიც ბესიკ ხარანაულის სიტყვებით ინყება: „ცხოვრება ჩემი საქმე არ არის“.


დანარჩენს ინტერვიუში მოჰყვება.

— სულ თავიდან მინდა, დავიწყოთ. „არმურში“ ამოვიკითხე, მარიამ ნიკლაური წერდა თქვენზე — მამა მეზღაპრე ჰყავდა და წარმოშობით გუდამაყრიდან არისო. მეზღაპრე მამა და გუდამაყარი ისეთი იდუმალებით, ისე საინტერესოდ, თითქოს რომანტიკულადაც უღერს, რომ ვიფიქრე, იქნებ, სხვა ფაქტორებთან ერთად, ესეც არის დიმიტრი ნიკლაურის მწერლობის სანინდარი-მეთქი.

— ყოველთვის მომწონდა მამაჩემის საქმიანობა. პატარა ზღაპრებს წერდა, სტატიებს აქვეყნებდა პერიოდიკაში („სოფლის ცხოვრება“, „სამგორი“), „მერანმა“ წიგნიც გამოუცა სახელწოდებით „ყინულის ქალი“. ზღაპრებისა და ლექსების რამდენიმე ბროშურა აქვს „ილო პაპას ზღაპრების“ სერიით. დაბალი კლასის სახელმძღვანელოშიც წავაწყდი მის ზღაპარს. ჩემი ნაწერების პირველი შემფასებელიც მამაჩემი იყო. კარგად გამოგდისო, მაქეზებდა. ბებიჩემი რომ გარდაიცვალა, თვეების ვიყავი. დიმიტრი რატომ დაარქვითო, ნუხდა, ქმრის სახელს როგორ დაგუძახებო. არც მოუწია დაძახება. მართა ერქვა, ჯანიაშვილი. ჩემს შვილიშვილსაც დემეტრე ჰქვია.

არის დუშეთში ერთი სევდიანი საფლავი, სადაც ბებიჩემი და პაპაჩემი განისვენებენ, ანი უიკვე მშობლებიც. 2009-ში მამაჩემი დავკრძალეთ, 2019-ში დედაჩემი, ლიანა სიორიძე, მთელი ცხოვრება პედაგოგად რომ მუშაობდა. მე და ჩემმა ძმამ სასაფლაოს ერთი მხარე მოვშალეთ და ღობე გავაფართოვეთ, საფლავები ერთ სივრცეში რომ მოგვექცია. იდუმალი ადგილია, შორიახლო წმინდა ბარბარეს ბაზილიკა ჩანს.

ბავშვობა მართლაც საუკეთესო ხანა იყო — კუს ტბაზე ხეტიალი, ლისის ტბაზე ფეხით ასვლა. პლატოს მშენებლობა მაშინ იწყებოდა. ვაკე-საბურთალოს გზაჯვარედინზე ვცხოვრობდით, პავლოვის 24 ა-ში, მეექვსე სართულზე, ერთოთახიანი ბინაში. შესასვლელში სარკე გვედგა, მაგიდას მწ-



ვანი მაუდი ეფარა. ზედ წიგნები ეწყო ორ მწკრივად — „ენიდა“, კალიდასას „შაკუნტალა“, „თეორი შავზე“, ანა ზეგერსის „მიცვალეულნი ახალგაზრდები რჩებიან“... ეზოში თონის სურნელება ტრიალებდა. კედლის მომიჯნავედ პურის ქარხანა მდებარეობდა. ახლა იქ საცხოვრებელი კორპუსებია აღმართული. ქარხნის ტერიტორიას რკინისგისოსებიანი ღობე ჰქონდა შემოვლებული. კაკუნით ჩავუვლიდი ხოლმე ნაპოვნი ტოტით, გეგონება, კლავიშები. მიყვარდა ის უღერადი ხმა, რომელსაც ამ დროს გამოსცემდა. თითქოს საყოველთაო ხმაურში ჩემი წვლილი შემქონდა. პავლოვის გამზირი მაშინ ორმხრივი იყო. ვაჟაზე რაღაც სამუშაოები მიმდინარეობდა, მეტროს მშენებლობასთან რომ იყო დაკავშირებული. მანქანების დიდი ნაკადი ვაკისკენ მიემართებოდა და ხმაურიანი უბანი იქმნებოდა. სადარბაზოსთან მომცრო ოთახი ლიფტით ირებს ეკუთვნოდათ, რუს ქალბატონებს, ქერთიანი ფერებს რომ ჰგა-

ვდნენ და ლიფტის კაბინებში გაჭედული მოქალაქეები სათნო ღიმილით გამოჰყავდათ ახალი, ბედნიერი ცხოვრების დასაწყებად. სადარბაზოს ვეება მინიდან თრიალეთის ქედი, ფუნქციონირის მიდამოები მოჩანდა. საღამოობით ოთახს მასუქები ანათებდა მონაცვლეობით და ბიაზიან ჭერზე იდუმალ გამოსახულებებს ქმნიდა. ჩვენ წინ არკიანი კორპუსი იდგა, მის გვერდით — მე-60 სკოლის ნაცრისფერი შენობა. საბავშვო ბაღში ანტონოვსკაიას ქუჩის მიმდებარედ დავდიოდი. დღესავით მახსოვს კედლის ნახატი — წითელქუდა და რუხი მგელი. ერთხელ, კვირის ბოლო დღეს, მამაჩემმა მომაკითხა ნასაყვანად, სოფელში მივდივართო. თანაჯგუფელს გადავუღალა-პარაკე, ეს იმიტომ, რომ პაპაჩემს წერილებს ვწერდი-მეთქი, მაგრამ გარეთ რომ გამოვედი, იმედგაცრუებული დავბრუნდი შინ. თურმე იმიტომ ეთქვა, მასწავლებელს რომ გამოვევძი. მე რე ორთახიანი ბინა მივალეთ. 14 წლის ვიყავი. საცხოვრებლად ვაჟას ძეგლთან გადავედი, მე-7 კვარტალში. იმ პერიოდის ამბები რომანში მაქვს აღწერილი, რომელიც მამაჩემს მივუძღვენი. „ლივერპულის მონყალეა“ ერქვა. 2014-ში გამოქვეყნდა „ლიტერატურულ პალიტრაში“. მაღლიერი ვარ მანანა ჯანელიძის. ახლა ეგ ჟურნალი აღარ გამოდის. შოთა იათაშვილმაც დაბეჭდა ფრაგმენტი „ახალ საუნჯეში“. კარგი იქნებოდა, წიგნადაც გამოსულიყო.

„გამონაგონის მომხრე პარ“



— როგორც ვიცი, რომანამდე პოეზიით დაიწყეთ და დიდი ხანი წერდით ლექსებსა და პოემებს. საინტერესოა, რა წლები იყო ის, რა გამოძრავებდათ სწორედ ლექსით რომ ლაპარაკობდით. — წერა გენიალურ ხელოვნებად მიმაჩნდა. პატარაობიდან ვწერდი ლექსებს, ცოტა მოგვიანებით პოემებსაც. პირველი ლექსი სტუდენტობის დროს დაიბეჭდა ჟურნალ „გულანში“, „ლაბორატორიაში დაკლულ ბაყაყს“ ერქვა, მას მალევე მოჰყვა „ბაღადა ჭიაღუაზე“, ბოლოს კი — „მოაზროვნე გომბეშო“, რითაც ეგ ამბავი გასრულდა. იქ ასეთი სტრიქონებია: „მე ვარ პოეტი შელამების და ჩემ ნააზრევს გვიან ვაქვეყნებ, როცა თავის პენსაც კარგავს და აქტუალობასაც, დიადი ბრძოლის მეორე დღეს ველზე მხრჩოლავი თივის ბულუღივით“. ეს წიგნი მთელ საახლობლოს დაუფრია-

გე. ვჩუქნიდი ყოველ ნაცნობს, რადგანაც მთელი ტირაჟის ბატონ-პატრონი ვიყავი. შენობის დარაჯსაც კი ვუსახსოვრე წარწერით, ასი წელი რომ არ წაიკითხავდა. მერე მართლაც ვიპოვე საპირფარეოს კედლის თახჩაზე ჩამოდებული. ერთ სახელგანთქმულ მოძღვარსაც ვუსახსოვრე, კვირა დღეს ტაძრიდან გამოსულმა რომ მომმართა, შებინდების პოეტს ვახლავარო. იმ დღიდან მრევლში ასე მეძახდნენ. პოემაში სიტყვა შელამება შებინდებით შევცვალე. შემდგომ კრებულს, 2003 წელს რომ გამოვიდა, სათაურად „შებინდების პოეტი“ ვუწოდე.

გუდამაყარს რაც შეეხება, ოდესღაც ხშირად ვსტუმრობდი. ეზოში ბევრი ვაშლის ხე გვედგა. ფერდობზე თივის ზვინები მოჩანდა და მდინარის მონოტონური ხმაური გაისმოდა. სალი ქვებით მოპირკეთებული წყაროდან ყინულივით ცივი წყალი მოჩქეფდა. პოემა მაქვს დაწერილი „ეკლესიის კრეფა გვირგვინისთვის“, სადაც მოქმედების არეალად ჩემი სოფლის ლანდშაფტები გამოვიყენე — ალიშურთის ხევი, არაგვს რომ უერთდება, ხოლო ზემოდან ქიჭვლის კლდე დაჰყურებს. სოფელს ბანთუკანა ვუწოდებ, რადგან ოდესღაც იქ ბანებიანი სახლი გვექონია. ისე მაქართა ჰქვია. პოემას ასე ვინყებდი, შემდეგ კი განვავრცე:

„ქიჭვლის უფსკრულთან ალიშურთის ველზე, ვინროებს, დიდი სიმართლე მოადგა და დიდი სიცრუე. გადაღმა მხარეს ხრიოკებზე სოფელი ჩანდა, აბოლებული თეთრი ნისლი ებურა ჩადრად. ჰკითხა სიცრუემ დიდ სიმართლეს, მოარულს კენტად, უჩვენოდ როგორ ცხოვრობენო სოფელში ნეტა? გზას ვერ მიაგნეს, თუმც დაძებნეს თავგამოდებით და თქვა სიცრუემ, შენს ბილიკად არ გამოვდგები. გაღმა სოფელში მე ვავალო, გამინეჭ ხიდად! გულში კი ბილნი ზარ-ზეიმი ხრავდა და ღრღინდა. და რომ ვერ მიცნონ, ვიქცევით ადამიანად, განვა სიმართლე, ზედ სიცრუემ გადაიარა“...

მერე იმ სოფელში მთელი ამბები ხდება. სოლიდური პოემა გამოვიდა. მოკლედ, მართლაც პოეზიით დავიწყე, მერე მოთხრობებით განვაგრძე. მიყვარდა წიგნების კითხვა. დიდ გავლენას ახდენდა ჩემზე საუკეთესოდ ნათარგმნი ამერიკული პროზა. ჰემინგუის რეპორტაჟივით მშრალი და მიმზიდველი სტილი, ჯეკ ლონდონის მწვანეყვანილი ხუთტომეული — „ჯის უკის ამბავი“, მილმუტ კიდი, ჯოი გასტელი, ნაბლისფერთიანი გოგონა ინდიელის სისხლით, სმოკ ბელიუ თოვლზე დაშვებული ფარდავით, თითქოს მფრინავი ხალიჩა ყოფილიყო, დაბა დარო-დარა-რა, სადაც კაფანდარას თანხლებით მრავალ სახალისო თავგადასავალში ეხვევიან. მარკ ტვენის „მისისიპი“ ჯეკსონის კუნძულითა და ილინოისის შტატის იდუმალი ნაპირებით. მაინ რიდის პატარა ზღვის მგელი, ტრიუმფი რომ გამოიკეტა და ათასგვარი ხერხით ეცადა გემბანზე ამოღწევას. ოკეანეში დაკარგულედი, დამშუღლი, მფრინავ თევზებს რომ იჭერენ და დასარწყულეზლად წვიმას ელოდებიან, საღამოობით კი ჩამავალ





მზეს სევდიანად გაჰყურებენ მყარ და საიმედო ხმელეთზე ფიქრით და ოცნებით. პროზა დიდი სიამოვნების მომგვრელია, პოეზიას კი თითქოს მანამ წერ, სანამ ხანძრის მიბაძვა ძალგდის, ცეცხლის გაცეკვება შეგიძლია სარკესავით გლუვ და პრიალა პარკეტზე. პროზა გაცილებით დინჯი პროზაა, იისფერი კოცონის ირგვლივ ჩამომსხდარ ინდიელთა ფიქრით დაღლილი მზერა, ნიჩბებივით გრძელი მუნდშტუკები პირში რომ გაუჩრიათ და კვამლის ვეება ქულებს ირგვლივ ბოლქვებად ფენენ და ახრჩოლებენ. პოეტსაც და მწერალსაც ის შეგრძნება ამოძრავებს, რომ ორივე შემთხვევაში უკიდურესი ზეიმის თანამონაწილე ხდება. უფრო მეტიც, თვითონ ქმნის ამ ზეიმს. უცხო სამყაროში დახეტიალა, სადაც ყოველგვარ ხმაურს ჩქამად აღიქვამს. სურს, სათქმელი საახალწლო ნაძვის ხესავით მორთოს და ფერადი ნათურებითა და ნაირგვარი სათამაშოებით აღჭურვოს. ლიტერატურა დღესასწაულია, თუნდაც სხვა სოციალური დატვირთვა ჰქონდეს. ერთგან ასეთი ფრაზა მაქვს: ყველას სიცოცხლე ერთმანეთს ჰგავს — დაბადებით, გზით და სიკვდილით, დანარჩენი უმნიშვნელო ზიზილ-პიბილა.

**— სანამ პროზაზე გადავალთ, პირველი კრებული, „ჭაობის ლოტოსები“ რომ გაიხსენოთ?**

— „ჭაობის ლოტოსები“ 1993 წელს დავებეჭდე ავჭალაში კონიაკის დასახლების ერთ-ერთ სტამბაში. მისი მფლობელი მერე საფრანგეთში წავიდა. სასიგნალო ეგზემპლარები რომ გადავმოცა, ერთი იქვე დავუტოვე წარწერით. მთელი ტირაჟის გაჩუქებას ვაპირებდი. იმგვარმა სიხარულმა მომიცვა, იქიდან ფეხით წამოვედი დილომში, სადაც მაშინ ვმუშაობდი, რესტორან „ნისქვილის“ პირდაპირ ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში, რომლის ბაზაზეც ერთი კერძო ფარმაცევტული ფირმა მოქმედებდა. გზაში სტრიქონებს ხმამაღლა ვკითხულობდი. გამვლელებს შეშლილი ვეგონე. ფრაგმენტებს წარმოვიდგინებ იმ კრებულიდან:

„ვილას სჭირდება სიღრმეები,  
დაფლული სიბრძნე,  
მთავარია, რომ  
ზედაპირი მოავარაყო“...  
„რომ გმირი არ ვარ,  
ზუსტად იმ დროს გარდავიცვალაო,  
როცა სიცოცხლის  
დიდებული ნამები დგება“...  
„თუკი ამ ბორცვზე დამარხავდნენ,  
რატომ ვერ გრძნობდი?  
მე ხომ მრავალჯერ ჩავუარე  
მას მხიარულად“...  
„და საითაც სახელი გამივარდა,  
ბოლოც იქით მხრიდან მომელო“...  
„მე ვარ გომბეშო, ფილოსოფოსი და  
ჩემთან რჩევის საკითხავად  
თვით ბრძენი თავკომბალებიც კი  
დადიან.  
ჩემს სასახელოდ უნდა ითქვას,  
რომ არა მაქვს მდაბიო სული,  
ჩემი მანერებით  
სადაც გინდა ვიამაყებდი,  
ჩემს ყესტებში არის რალაც  
ამაღლებული,  
მე მძულს პროვინციალიზმი,  
მძულს ბუზღუნია და ფუქსავატობა,  
და აქაც, ამ ბლანტ და  
მქისე სიმყარალებში,  
ჭემმარიტ მოქალაქედ ვრჩები,

ზრდილობის და პასუხისმგებლობის  
გრძნობით შემკული,  
ინტელიგენტის ყველა თვისება  
მახასიათებს  
და ამ პეპლებში და კუტ-კალიებში,  
წურბელებში და ლოკოკინებში  
ისე გამოვიყურები, როგორც  
არისტოკრატი ჯიბვირებში“...  
„ფეშენებელურ რაიონში  
მაცხოვრებელ კაცს  
გარეუბნულზე მეტად  
უყვარს განა სამშობლო?!“  
„შენობა და ხე, შენობა და ხე,  
სავსეა ქუჩები ასეთი წყვილებით“...  
„სისულელეა კუზინი  
ჩრდილს დაემდუროს“...  
„ისინი ჩემი თეთრთმიანი  
დიდელები იყვნენ,  
ჩემი ძვირფასი ბეზაქალები,  
ჭალარა ქალები —  
დამჭყნარი ყვავილები,  
ლერქამობილებს თმები მხრებზე  
გამდნარი ვერცხლივით რომ  
ელვრებოდათ,  
თითები დაკოჟრილ სტაფილოებს  
მიუგავდათ,  
და რომ არ მცოდნოდა, ანგელოზთა  
ლაშქარს ეკუთვნოდნენ,  
ჯადოქრები მეგონებოდნენ“...  
— **თქვენ ზემოთ საოცრად საინტერესოდ და მხატვრულად დაახასიათეთ პოეზიაც და პროზაც, მაგრამ მაინც მინდა, გკითხოთ — რა უფრო რთული და პრობლემატურია, პროზაში მუშაობა თუ პოეზიაში?**

— პროზაში მუშაობა უფრო პრობლემატური მგონია, მით უმეტეს, თუკი რომანს წერ. თუმცა პროზაც და პოეზიაც გაუფერულებული ოქროსა და ვარსკვლავების ძებნას ჰგავს, ოღონდაც მინის სიღრმეში, რომლის თხრასაც დიდხანს უნდა იქნაპოვნი ზეცას რომ მიუბრუნო. რაც უფრო ლაღად იკითხება, მით უფრო მეტი შრომა გჭირდება. ასე მეჩვენება, რომ ლექსის დაწერისას განვიღო გზას რომ გამოხედო, ორმოებს დაინახავ, რომანის წერისას კი — უფსკრულს. სადაც უფსკრულია, ორმოები უფერულდება.

**— რელიგიური ადამიანის დაწერილია თქვენი ტექსტები, სულიერი გამოცდილება ძალიან ჩანს მათში. იქნებ ყველაზე ნაკლებად გსურთ ლაპარაკი იმაზე, რითაც სავსეა თქვენი შემოქმედება, მაგრამ მაინც მინდა, გთხოვოთ, თქვენს სულიერ ცხოვრებაზე მომიყვით.**

— ტაძარს 1997 წელს მივადექი. ჯობდა, ადრე მივსულიყავი. ბევრი მნიშვნელოვანი ამბავი გამოვტოვე. გაბრეულ ბერს გავიცნობდი, მამა ვიჭაობს, სიდორენკოს. მაგრამ ასე არ მოხდა. წირვებს ვესწრებოდი, ყველაზე დიდ საქმეს, რაც შეიძლება მინაზე აღესრულოს. სულიერი ცხოვრება სად მქონდა, მხოლოდ უზადრუკი ჯახიერი იყო. სახარებაში წერია, მამა არავის დაუძახო, ერთადერთი ღმერთია მამა. მაგრამ ჩვენს ხელ ვუძახით. დასკვნა ასეთი გამოქმენდა: როცა მშობელი ხარ, მამის მიმბაძავი უნდა იყო მოთმინების გამოვლინებაში.

— **არაქანი — ეს ის ადგილია, სადაც თქვენი არაერთი ნაწარმოების მოქმედება ვითარდება. მგონი, ჯერ კიდევ 2000 წლის დასაწყისში თქვენი პოემების პერსონაჟებმა მალქოზ-სალოსმა და გონსო ჩალაბმა დაიწყეს იქ „მიმოხეტილობანი“ და მას შემდეგ არაქანი იმგვარ ლიტერატურულ გამოწვევად იქცა, სადაც ცხოვრება დღეს და გადმოიდის. აი, სულ ბოლო თხზულებაც, თქვენი რომანი „ქორების მინა“, არაქანში ვევატიყუება. მიამბეთ მისი წარმოშობის შესახებ, რა ადგილია ეს და თქვენ თვითონ როგორ „აღმოჩნდით“ არაქანში?**

— არაქანი მინიშნებაა წარმოსახვით ქალაქზე, ქანებისგან რომ არ შედგება და მეხსიერების ფსკერზეა დავანებული. „მათხოვრის ქისაში“ აღწერილი მაქვს მდინარის გასწვრივ მდებარე ვაგზალი, რომლის მეორე ნაპირზე უზადრუკი ქობახები და ფარალაღა ფანჩატურებია ახორხილი. არაქანის ფრაგმენტი ჩემი სახლის ივნიდანაც ჩანს. 1995 წლიდან დილომში ვცხოვრობ მტკვართან ახლოს. გაღმა რკინიგზა და მოლითის ქუჩა ჩანს. როცა იქით ვიყურები, შთაგონების წყაროდ მივიჩნევ. არის ერთი იდუმალი მონასტერი მწვანე მესრით, თითქოს ტომ სოიერმა შელგაო. იგი მონასტრების განცდას აღძრავს, თუმცა ხელის განვადენაზეა.

ერთს დავამატებ. ჩემი დედუღეითი ახალდაბაა, ბორჯომის ხეობის ულამაზესი სოფელი. იქაური სასაფლაოს შუაგულში, სადაც ბევრი ნათესავი გვყავს დაკრძალული, იოანე ნათლისმცემლის ტაძარი მდებარეობს. არის კიდევ ღვთისმშობლისა და წმ. გიორგის ბაზილიკები. საფლავებს შორის გამავალი ბილიკის გასწვრივ ერთგან ქვა ჩანდა წარწერით „აქ განისვენებს ასული გაბრიელ დარბაიძისა“. მას შემდეგ წარმოსახვაში ვცდილობდი ამ ამბის ხორცშესხმას. ბოლოს როცა ვიყავი, ის წარწერა აღარ იკითხებოდა, ჟანგისფერმა მინამ და ხეცმა გადაფარა. არც კი ვიცი, რა დროინდელი საფლავია. იქნებ წინა საუკუნის დასაწყისისა. ასე რომ, არაქანში დიდი ხნის წინ აღმოვჩნდი.

**— ბერი მალქოზიც, თქვენი არაერთი ნაწარმოების გმირი და თქვენი ტექსტების მოზინადრე ცნობილი სალოსია. სადა აღარ გვხვდება ის, მათ შორის „ქორების მინაში“. როგორ შექმენით მისი სახე, რამდენად იცვლება ის სხვადასხვა ტექსტში და რამდენად გეხმარებათ როგორც ავტორს, გადმოსცეთ თქვენი ამბავი?**

— ცხოვრების აქტიურ წვერობას ყოველთვის დამკვირვებლობა მერჩივნა, იმ ნაფიქრალის გადმოცემა, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რომ იყო. მალქოზს ჰყავდა რეალური პროტოტიპი. ცხოვრობდა ამ ქალაქში კაცი, სახელად მალხაზ ლუკაშვილი. დიდუბის ტაძართან გლახაკობდა. ნახევარი თბილისი იცნობდა, მგონი. მეც ვახლოობლობდა მასთან. ცხრა წელი ციხეებში ჰქონდა გატარებული, ბოლოს ტაძარს მიადგა და აღარც მოშორებია. მდუმარე მეუფის პროტოტიპი ეპისკოპოსი ილარიონ სამხარაძეა, თერთმეტი წელი რომ დუმდა. მასაც პირადად ვიცნობდი. მათი შემხედვარე ვგრძნობდი, რომ ცხოვრების მთელი საიდუმლო სიმდაბლის მიღწევაშია. ბერობა ყველაზე მნიშვნელოვანი ღვაწლია დედამიწის ზურგზე. შესაძლოა, ერისკაცი წარემატოს, მაგრამ ბერი თუ გადარჩა, პირდაპირ ღვთის ოჯახში ირიცხება.

**— მგონი, დროა, გქარებოს მინაზე“ ილაპარაკოთ. როგორ გაჩნდა მისი დაწერის იდეა, რამდენად რთული ან იოლი იყო მასზე მუშაობა?**

— მანამდე იმავე თემაზე სამი პოემა მქონდა დაწერილი — „ცოდავი გახა“, „მათხოვრის ქისა“ და „მზიდავი“. პირველი 2003-ში დავებეჭდე, მეორე 2006-ში, რომლის ერთ-ერთი ეპიზოდი გრუნიას ქორწილია. იქ ასეთი ფრაზა მაქვს:

„ვინ აღარ იყო იმ ქორწილში,  
თავად გერა დარბაიძეც კი  
მოლასლასდა,  
ბევრი უბედურების მიზეზი.“

მამინ უკვე ჩაფიქრებული მქონდა რომანის ბევრი სცენა. დეტალებს ვხვევდი და ვასწორებდი, მაგრამ ვერაფრით ვაგრძელებდი. მამინ „მზიდავი“ დავეწერე, „მათხოვრის ქისის“ უშუალო გაგრძელება. „ქორების მინას“ კი გვიან შევუღებდი. იქ მოქმედება „ცოდავი გახასა“ და „მათხოვრის ქისას“ შორის არსებულ პერიოდში ვითარდება. მხოლოდ ფინალი ეხება საბოლოო დროს, როცა უკვე ყველაფერი გასრულდება. მასზე მუშაობა, რა თქმა უნდა, რთული იყო, მაგრამ სწორედ ამ სირთულის გადალახვა აიოლებდა.

— **მამ, დიდხანს წერდით?**  
— ამ რომანზე ოცი წელი ვფიქრობდი და სადღაც ორი წლის განმავლობაში ვწერდი. ხან გადავასწორებდი, ხან ძველს მივუბრუნებდოდი, სანამ საბოლოო სახეს მივცემდი. „მათხოვრის ქისაში“ ერთგან მალქოზი ასე ამბობს: „ტექსტის დახვეწა დაუსრულებლად შეიძლება, მთავარია, რომ წერტილის დასმა გაბედო!“

**— მგონი, მთელი რომანი შიგნიდან ყურებაა, შინაგანიდან ჭვრეტაა საკუთარი თავის და ალბათ ამიტომაც ძალიან მკვეთრად ჩანს სხვა ადამიანებს ცოდვაცა და მადლიც, ვნებებიცა და სათნოებებიც. თქვენ როგორ აღიქვამთ ამ ტექსტს?**

— რომანი თავისთავად შიგნიდან ყურებაა. როცა შედიხარ, ზურგს უკან გადარაზვის ხმა ჩაგვსმება, სანამ ბოლოში არ აღმოჩნდება, თავი რომ ვერაფრით დააღწიო. ამ ტექსტს ისე აღიქვამ, როგორც ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანს.

**— „საბაზეა“ წარდგენილი თქვენი რომანი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული ჯილდოა „საბა“. რა მოლოდინი გაქვთ ან რა განწყობით ელოდებით ფინალს?**

— რომანი „საბაზე“ ზვიად კვარაცხელიამ წარადგინა, რომლის დიდი მადლიერიც ვარ, უპირველესად იმიტომ, საერთოდ წინადა რომ აქცია. ამ რომანის პირველი თავი „ლიტერატურულ გაზეთში“ დაიბეჭდა. ჰონორარიც ავიღე, ხელფასზე მეტი სიტკბო რომ აქვს. მთლიანი ტექსტი შოთა იათაშვილს გაუფუზავნე, რომელიც იმ დროს თავის წიგნზე მუშაობდა და ერთი განამანია ჰქონდა. ეს ამბავი მერე გავიგე, თორემ არც მოვაცდენდი. მომდევნო დღეს დამირეკა, „ინტელექტი“ გადავგზავნეო. მერე ზვიად კვარაცხელია დამიკავშირდა, დავებეჭდო. ნინო სადლობელაშვილმა, მშვენიერმა პოეტმა და მწერალმა, ანოტაცია დაწერა.

მაქვს თუ არა მოლოდინი? მე ძველი წესების ერთგული ვრჩები, გამონაკლისს მომხრე ვარ, მომავალი კი, შესაძლოა, ნონ ფიქშენს ეკუთვნოდეს. კარგ მწერალთა კონკურენცია დიდია, თუმცა სადღაც, გულის სიღრმეში, როგორც დანტე ალიგიერი ამბობს „ღვთაებრივ კომედიაში“, „სადაც იმედის ერთი მაინც თრთის ფოთოლი“.

**— თქვენ, ასე ვთქვათ, მხოლოდ მწერლობით არ ცხოვრობთ და ჩვეულებრივ სამსახურშიც მუშაობთ, ხომ? მაგრამ მწერლობა ხომ ძალიან ბევრს ითხოვს ავტორისგან? როგორც ახერხებთ, როგორ ასწრებთ წერას?**


— მხოლოდ მწერლობით ვერც ვიცხოვრებდი. მყავს მეუღლე, სამი შვილი, რძალი და შვილიშვილი, რომელიც სექტემბერში სკოლაში შედის. სამსახური ყოველთვის მქონდა, მაგრამ შინაგანი ცხოვრებით ლიტერატურას ვეკუთვნოდი. ყოველთვის ვწერდი — მინიშნებებს ვაკეთებდი, ფრაგმენტებს ვხვევდი, სიუჟეტს ვაყალიბებდი, მერე ამ ყველაფერს თავს ერთად ვუყრდი. მოკლედ როგორღაც ვახერხებდი.


**— ალბათ ყველა საყვარელი ავტორები, რატომღაც მგონია, რომ რელიგიური ლიტერატურა თქვენი საყვარელი საკითხავია, შეიძლება, ვცდები?**

— საყვარელ ავტორებს რა გამოლევს: ჰერმან მელვილი თავისი უკვდავი „მოზი დიკით“, სერვანტესი, თომას მანი, კიპლინგი, კაფკა, კამიუ, ჩაპეკი, კამილო ხოსე სელა, დოსტოვესკი, ანდრეი პლატონოვი, ისაკ ბაბელი, კობო აბე, რობერტ პენ უორენი... სია ძალიან გრძელია, ვარსკვლავებით მოჭედო ცას ჰგავს, ყოველი მათგანი რომ ციმციმებს. რელიგიური ლიტერატურაც მიყვარს — უპირველესად, პავლე მოციქულის ეპისტოლეები. აგრეთვე გვიანი ღვთისმეტყველნიც — პოპოვიჩი, ბრიანჩანინოვი... ზოგადად, ვინ არის ყველაზე დიდი პოეტი — რუსთაველი? დანტე? შექსპირი? გოეთე? ჰომეროსი? ფირდოუსი? ჰაფეზი? ომარ ხაიამი? ჩემი აზრით, ყველაზე დიდი პოეტი დავით მეფესალმუნეა, ვისი პოეზიაც ლოცვად იქცა. პოეზიის ზეცაა, რომელიც პირველივე სტრიქონიდან საგალობელია — ნეტარ არს კაცი, რომელსაც ემინის უფლისა... არ ხის აყვიათა საკრეულულოში... არ შეიძლება ზიტანებთან უხამსობა, მონივნებას ჰკარგავ, ფერდობზე დაგორებულ ლოდს ემსგავსები, მონყვეტილ ზვავს, რომლის შეჩერება შეუძლებელია.

— **ახლა რაზე მუშაობთ?**  
— რომანის მერე დავწერე მოთხრობა „ისეს ვერცხლი“, რომელიც „ლიტერატურულ გაზეთში“ დაბეჭდეს. რალაც ჩანანერებს ვაკეთებ, მერე და მერე გამოიკვეთება, რა გამოვა...

ესაუბრა თამარ ჟურული





# მათე ნიკლაური ერთი მწერლის პორტრეტი შთაბეჭდილებების მიღმა

ციების პალიტრაა, შექმნილი იმ მიზნით, რომ შენც მოგაგონოს ამერიკელი კლასიკოსის ის ფოტო, რომელზეც „ძველ პიჯაკსა და სამხრეთულ კომბინეზონში გამოწყობილი უკვე ხნიერი ფოლკენერი სამჭედლოს კართან დგას“ ან ჰემინგუეის ის სურათი, ყველას მანდ რომ ჰყავდა ნანახი მხოლოდ. გველაპარაკება ისტორიულ გამოცემებზე — დიკენსის, მარკ ტვენის, ბირსის — და ისხენებს, როგორ მოულობდა ნიგნებს და გაბრუნებს წარსულში და ამას მაშინ იაზრებ, როცა გახსენდება, რომ შენც ასე დარბოდი ნიგნების საშოვნელად, შენც ასე უცდიდი ჟურნალის თითოეულ ნომერს, რომ იქ დაბეჭდილი, ვთქვამთ, დიკენსის რომანის ფრაგმენტი წაგეკითხა.

— შუქი რომ არ იყო?... — მერე რა, „დიკენსის სანთელი უხდება“ — და უცბად გიპყრობს საოცარი სიცხადე, შენ ახლა აღმოაჩინე, რომ აკა მორჩილაძე წარსულში და გაბრუნა, რომ მისი მაგიური თხრობის ხერხების ტყვეობაში ხარ — სასიამოვნო ტყვეობაში.

„მწერლებსა და ნიგნებზე“ მკითხველის კარგ გუნებაზე დასაყენებლად შექმნილი კრებულაა. ავტორი, თითქოს, ლიტერატურას ამარტივებს და გიხსნის, რომ კითხვები: „რომელი სჯობს?“ „რომელი უფრო მაგარია?“ და ასე შემდეგ, ცალსახად უადგილოა. ლიტერატურა ხომ გარკვეულ წილად ემოციაზე გადის. რომელიღაც ავტორი გვრისხავს რაღაცით — შეიძლება ხშირად ვერც ახსნა რით, მაგრამ თან ვერასდროს გაეცქერე პირველი წაკითხვისას გაჩენილ შთაბეჭდილებებს. მკითხველი ვერასდროს ამოშლის ცხოვრებიდან იმ მიშს, რომელიც ედგარ პომ გაუჩინა; ყოველთვის უგულუმემატკივრებს ჰემინგუეის მოხუცს; სულ ეგონება, რომ ბირსის გმირი ფიქრებში კი არ იყო, არამედ მართლა გაიქცა და გადაურჩა სიკვდილს და ეს იმიტომ, რომ ლიტერატურაში ობიექტური ვერასდროს იქნები, ან კი როგორ უნდა იყოს შეგვრძნება ობიექტური?

ერთ-ერთ ესეიში აკა მორჩილაძე წერს, რომ ადამიანს სამი ცხოვრება აქვს: პირადი, საჯარო და საიდუმლო. ამის მოსმენის შემდეგ რამდენჯერმე გადავიკითხე ეს კრებული და გადავწყვიტე, რომ საიდუმლო ემოციურ სამყაროში მიმდინარე ამბების გაზიარება მკითხველისთვის. ჩვენ კი აქედან შეგვიძლია, კითხვის სტრატეგიები ვისწავლოთ, აქამდე წაკითხულ რომანებსა თუ მოთხრობებზე გაჩენილი შეხედულება აკასეულ ხედვას შევადაროთ და სხვა, მაგრამ მკითხველის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, ალბათ, მაინც ავტორის რეალური ხასიათის აღმოჩენაა, ბოლოს და ბოლოს, მას ხომ შთაბეჭდილებების მთელი არმია ეფარება?

ჩემი, როგორც მკითხველის, აზრით, აკა მორჩილაძის რომანები მისი „საჯარო“ ცხოვრებაა, ხოლო ჩანაწერები ლიტერატურაზე, ნიგნის თბილისურ თუ არათბი-

ლისურ თაროებზე, ფეხბურთზე, მე-19 საუკუნის თბილისსა თუ საქართველოზე — საიდუმლო შრე. მიმანია, რომ ყველა დიდ მწერალს იქ აქვს დამალული რეალური განწყობა, სადაც ყველაზე ნაკლებად ელოდება მკითხველი.

მაგალითად, უმბერტო ეკო, გაბრიელ გარსია მარკესი, მიგელ დე უნამუნო, თომას სტერნზ ელიოტი ან ნებისმიერ სხვა კლასიკოსი რომ გაიხსენოთ — ჩამოთვლით მათ რომანებს, შესაძლოა, ყველასაც კი, მაგრამ უცბად არ გაგახსენდებათ ახალგაზრდა გაბო, რომელიც კოლუმბოს ქუჩებში რედაქციიდან რედაქციაში დარბობდა — აი, საგამოძიებო რეპორტაჟი გავაკეთე და გამომიქვეყნეთო. არ დაფიქრდებით, თუ რამდენ ნიგნს ჩაჰკირკიტებდა ეკო ერთ პატარა ესეიზე მუშაობისას. უნამუნოს პემთხვევაში „ბურუსს“, „დეიდა ტულას“ გაიხსენებთ, შეიძლება, დავით კლდიაშვილსაც მიამსგავსოთ სახით, მაგრამ ესეები პირველი არასდროს გაგახსენდებათ, რადგან ადამიანებს რამდენადაც უყვართ, იმდენად ეძნელებათ სხვათა საიდუმლოებების გამოკვლევა. ამ გარემოებაში ესეისტური ან, გნებავთ, ბიოგრაფიული ხასიათის ტექსტები საზოგადოებას თითქმის დაავინწყა და ასაკოვანი ხალხის საკითხავად აქცია.

ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობაზე წარმოთქმულ სიტყვაში აკა მორჩილაძე კულტურების სხვადასხვა სახეზე ისაუბრა და განმარტა, რომ არსებობს დავინწყებული კულტურები, მკვდარი კულტურები, დიადი და ძველი კულტურები, რომლებიც, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტამ იცის, მაგრამ მათ რაღაც ძალით მოაღწიეს დღემდე. ლიტერატურაც ასე იყოფა — არსებობს დიადი, ძველი, მკვდარი და დავინწყებული ლიტერატურა. აი, სწორედ დავინწყებული ლიტერატურაა ესეებისა და ჩანაწერების ჟანრი — დავინწყებული, მაგრამ ცენტრალური, მწერლის აზრებში საუკეთესოდ მწვდომი; მკითხველის გიდი მწერლის შემოქმედების ლაბირინთებში.

ამ ესეებში აკა მორჩილაძე საკუთარ ხედვებს გვიზიარებს დიკენსზე, ბირსზე, ჰემინგუეზე, ფოლკენერზე, მარკ ტვენზე... რაღაცაა ჩამოთვლა, დასაწყისში ხომ წარმოვადგინე ეს სია. თუ მხოლოდ ფურცელს წაიკითხავთ, იფიქრებთ და, ვერც ვერავინ შეგედავებათ, რომ ეს უბრალოდ აზრებია კლასიკოსებზე, მაგრამ ფურცლის, შთაბეჭდილებების მიღმა სრულიად სხვა სამყაროა — კერპებზე საუბრისას აკა საკუთარ თავს გვაცნობს და ამ ჯადოსნური გადმოცემის ხერხებშია მისი გენიალურობა. შემთხვევითი სულაც არაა, რომ ის არავისზე წერს, ყველას სჯობსო — თუ კარგად დააკვირდებით, არავის არავის არ ადარებს, უბრალოდ ამბობს, რომ მისთვის იმ კონკრეტული, გვერდებდაფლეთილი გამოცემის ფოლკენერი ან ტვენი იყო ყველაფერი; რომ პირველად ედგარ პომ შეა-

შინა, რომ ამ ხალხთან, ამ ნიგნების თბილისურ თუ არათბილისურ თაროებთან ერთად გაიზარდა, რომ მისი ბავშვობა ეს არის. პირველ ემოციებზე, შთაბეჭდილებებსა და განცდებზე გვესაუბრება და ამ ხერხით ხატავს ავტოპორტრეტს.

ესეების ბოლო გადაკითხვისას ჩანანერმა, „ჰაკ ფინის შორიახლოს“, ყველაზე დიდი ყურადღება მიიქცია. მარკ ტვენის ტრაგიკული ბიოგრაფია არ მახსოვდა — მეუღლე და სამი შვილი გარდაცვლია, მაგრამ ასეთ კაცს მაინც შეეძლო სახუმარო რამეების წერა, იმიტომ, რომ ის ამერიკის სიცილი იყო, ამერიკის სიცილი... ალბათ ქართულ ლიტერატურაში საქართველოს სიცილიც არსებობს, ან უფრო ღიმილი... სევდიანი, ცრემლნარევი, შემოქმედის დარდების შემფუთავი, მეტწილად ქვეყნის ტყვილებზე მიბმული.




ჩემს წარმოსახვაში აკა მორჩილაძეც ასეთი მწერალია... საკუთარი ქვეყნის ისტორიის კულუარებში მინაურულად მოხეტიალე, ყველა კუთხე-კუჭულს რომ იცნობს და სევდაშეპარული ხმით, ღიმილით გამასპინძლობს. ისე გიყვება საუკუნეების წინანდელ ამბებს, თითქოს გუშინ, მის თვალწინ მოხდა. მისი თანამედროვე პერსონაჟებიც ასეთები არიან — ქემერა, პლენონოველი მოგელა, და ძველი მადათოველები... იცინიან, გაცინებენ, ხუმრობენ, მაგრამ ამ ყველაფრის მიღმა მათი ნაღვლიანი ცხოვრებაა...

მასსოვს, „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ რომ წავიკითხე და ცოტა სხვა აკაც, მივხვდი, ის იქნებოდა ჩემთვის ავტორი, რომელიც არასდროს მომწყინებოდა, რომელსაც პერიოდულად, მთელი ცხოვრების განმავლობაში მივხრუნვდებოდი და სულ გაუგებდი, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ყველაზე მკაფიოდ მისი პორტრეტი ჩემთვის მაინც წერილებში ჩანს, თავისი შთაბეჭდილებებითა და განცდებით.

ეს ესეები თუ ჩანაწერები, ვინ იცის, უკვე მერამდენედ გადავიკითხე, მაგრამ ახლა, ალბათ, უფრო დინჯად, ვიდრე წინა წაკითხვაზე, ან იმის წინაზე... აკას ტექსტებში ბევრი რამე არ მომწონებია, ბევრზე — ალტაცება ვერ დამიმაღლავს და ასე კარგი მეგობარივითაა მისი ნაწერები, ხშირად ბევრი რამე რომ არ მოგწონს და მაინც კომფორტულად ხარ.

„მწერლებსა და ნიგნებზე“ ჩემი ერთ-ერთი ფავორიტი კრებულია მისი ჩანაწერებისა — კითხულობ ამბებს დიკენსისგან წამოსულ სიტოზე, ფოლკენერზე, ბირსისა თუ კონან დოილზე, ამ საოცარ ხალხზე, და ხედები, რომ კითხვის პროცესი სახლში მშვიდად ყოფნასავითაა, არაფერი და არავინ გაწუხებს, ყველაფერი თავისით ლაგდება. ასეცაა — ზოგმა მწერალმა უნდა აგრიოს, ზოგმა დაგაღაგოს. ალბათ დალაგება უფრო ხშირად გვჭირდება, თან მას ხომ სულ იდეალურად გამოსდის ისე, სიცივეში, რომ ბუხართან გათბები, ცეცხლს თვალს გაუშტერებ და ალყას ათასწარი ფიქრი შემოგარტყამს — მაშინ, თითქოს, დანარჩენ სამყაროსთან წვეტე კავშირს. აი, სწორედ ეს არის აკა მორჩილაძეც, ნამდვილი გამტაცებელი მძიმე და დაძაბული გარემოდან, მაგრამ ეგ უკვე სხვა ამბავია.

აი, ასე მიყვარს მე გიორგი ახვლედიანი, ჩვენთვის უფრო ცნობილი, როგორც აკა მორჩილაძე...



ლიტერატურული გაზეთი  
საქართველოს კულტურის, საორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო  
საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი  
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
ჟურნალისტი თამარ ჟურული  
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com  
ISSN 2346-7940  
9 772346 794004